№ 30 კედელთანაა ზედა დონეებზე დაკავშირებული № 41 კედელი, რომელიც HC კვადრატის დასავლეთ განაპირას მდებარე, ნაწილობრივ HB კვადრატში შეჭრილ მოზრდილ ეზოს ზღუდავს. ეს ეზო მდებარეობს HB — 60, 70, HC — 52, 53, 61, 62, 63, 71, 72, 82 კვადრატებში. ეზოში შესასვლელი კარი გაჭრილია HC — 81, 82 კვადრატების მიჯნაზე — სამხრეთის მხრიდან; შესასვლელის დასავლეთ მხარეს № 41 კედლის ბოლოში კარგად გამოყვანილი პილასტრია, აღმოსავლეთ მხარეს კი მცირე კედელი — შვერილი, რომელიც მიდგმულია № 30 კედელზე. № 41 კედელი, რომელსაც შუა ნაწილში აგრეთვე ერთი პილასტრი ჰქონდა, ჩრდილოეთ მხარეს მიდგმულია № 28 ნაგებობაზე (ტაბ. V).

№ 28 ნაგებობა მდებარეობს HB — 40, 50, HC — 41, 42, 51, 52 კვადრატებში — 2,60—3,51 მ დონეზე. 3 მეტრამდე დიამეტრის თითქმის წრიული ეს ნაგებობა არსებობის ზედა დონეზე ტიხარით არის დაკავშირებული ჯერ კიდევ 1973 წელს გათხრილ № 17 ნაგებობასთან, რომლის სტრატიგრაფიული კუთვნილებაც მაშინ მთლად ნათელი არ იყო[6]. აღსანიშნავია ერთი გარემოება — № 28 ნაგებობის იატაკში, ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში, —3,22—3,45 მ დონეებზე შეინიშნებოდა 10—15 სმ დიამეტრის ორმო, რომელიც შესაძლოა ნაგებობის არაგუმბათური გადახურვის საყრდენი ბოძისა იყოს.

HC კვადრატის გათხრილი ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გან-

[6] იხ. ლ. ღლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

ცალკევებით იდგა № 35 ნაგებობა, რომელიც ოთხკუთხა მოყვანილობისაა. ეს ნაგებობა ექცევა 86, 96 კვადრატებში (მისი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის) — 2,22—3,33 მ დონეებზე. განსხვავებით სხვა ნაგებობებისაგან აქ თიხის იატაკი საგულდაგულოდაა მოტკეპნილი. თიხის იატაკზე ალაგ-ალაგ თითქოს ჭილობის კვალიც კი შეიმჩნეოდა. ამ ნაგებობაში იატაკი მოფენილი იყო ქვებით, რომელთა შორისაც გვხვდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. იატაკზევე აღმოჩნდა რამდენიმე ძვლისა და ირმის რქის იარაღი და ქვის გახეხილ-გაპრიალებული ორი ცული, რომელთაგან ერთი შევიწროებულ და გამოყვანილყუიანია. ამავე ნაგებობაში აღმოჩნდა გამოუწვავი თიხის ანთროპომორფული ქანდაკების ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტიც.

HC კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში ყველაზე ზედა დონეებზე მდებარეობდა ერთმანეთთან ტიხარით დაკავშირებული ორი ნაგებობა — № 33 და № 34. ნაგებობა № 34 აქ გათხრილ ნაგებობათა შორის ყველაზე დიდი ზომისაა. მისი დიამეტრი 4 მეტრზე ცოტათი მეტია. იგი მდებარეობდა HC — 14, 15, 16, 24, 25, 26, 34, 35 კვადრატებში — 2,65—3,33 მ ნიშნულებს შორის. აღსანიშნავია, რომ ნაგებობაში არსებობის ბოლო პერიოდში — ე. ი. შერჩენილ სულ ზედა დონეზე — ორი ტიხარია მოწყობილი (სურ. 1), რომლებიც ნაგებობაში ცალკეულ სათავსოებს გამოყოფს; ამ ტიხარების დონეზე, და რამდენადმე უფრო მაღლა, ნაგებობის შუა ნაწილში იდგა თიხის ფიალისებური ფორმის კერა. ნაგებობის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში ცეცხლის კვალი შეინიშნებოდა — იმდენად ძლიერი, რომ კედლის ალიზები ამ მხარეს თითქმის გამომწვარი იყო. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის აღმოსავლეთ კედელთან იატაკის ქვეშ ჩადგმული იყო თიხის მთელი ჭურჭელი, რომელიც ცხოველის (გოჭის?) ძვლებით იყო სავსე.

როგორც აღნიშნული გვქონდა № 34 ნაგებობა ტიხარით უკავშირდება მისგან აღმოსავლეთით HC — 16, 17 კვადრატებში მდგარ № 33 ნაგებობას, რომელიც მდებარეობს — 2,31—3,47 მ დონეებზე. ამ ნაგებობათა შორის მდებარე ფართობი ტიხარისაგან სამხრეთით ქვებით იყო მოგებული. ძლიერი ცეცხლის კვალი აქაც კარგად შეინიშნებოდა. № 33 ნაგებობაში იატაკის ქვეშ ფართობი ქვებით იყო „მოგებული“.

ნაგებობა № 34-ის სამხრეთით, HC — 35, 36, 45, 46 კვადრატებში მდებარეობდა № 29 ნაგებობის ფრაგმენტი, რომელიც ნაწილობრივ ჭრიდა № 34 ნაგებობის კედელს. № 29 ნაგებობა HC კვადრატში გადარჩენილი ყველაზე ზედა ჰორიზონტისა. იგი მდებარეობდა — 2,2—2,70 მ დონეებზე. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაზიანებული იყო ჯერ № 36 სამარხის, ხოლო შემდეგ ფეოდალური ხანის მიწურის მიერ.

HC — 27, 28, 37, 38 კვადრატების მიჯნაზე გაიწმინდა ერთი მეტად საინტერესო ოთხ რიგად დაწყობილი ალიზების მორკალული კედლის ფრაგმენტი (№ 39), რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან გადაჭრილი იყო მიწურით, ხოლო სამხრეთიდან № 21 კერით. ალიზები, ზომით 45×20×7 სმ, ამ ძეგლისა და საერთოდ კულტურისათვის დამახასიათებელი ძირბრტყელი-ამოზურგულია.

ამავე, № 21 კერის მიერ იყო ჩაჭრილი HC — 37, 38, 47, 48 კვადრატებში მდებარე № 38 ნაგებობის კედელი. ამ ნაგებობის თავზე გადადიოდა № 37 ნაგებობის კედელი. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის კედლის ზედა ნაწილი

ძლიერ იყო დაზიანებული და მხოლოდ — 2,37 მ დონეზე ჩანდა. მისი ძირი ჩადიოდა — 2,70 მ დონემდე. № 37 ნაგებობის ფრაგმენტი № 29 ნაგებობის მსგავსად ხრამის დიდ გორაზე გათხრილ ყველაზე ზედა ჰორიზონტს ეკუთვნის, ისევე, როგორც № 26 ნაგებობა.

№ 26 ნაგებობა, რომელიც ჯერ კიდევ 1974 წელს იყო გამოვლენილი, მდებარეობდა HC — 42, 43, 52, 53 კვადრატებში. ნაგებობის ზედა გადარჩენილი ნაწილი მდებარეობდა — 2,10 მ დონეზე, ძირი კი დაახლოებით — 2,75 მ სიღრმეზე მოდიოდა. ამ ნაგებობას შესასვლელი კარი NW მხრიდან ჰქონდა მოწყობილი, კარის წინ ქვებით მოგებული ზღურბლი იყო. შესასვლელის მარჯვენა მხარეს კედელი პილასტრით იყო გამაგრებული, მარცხენა მხრიდან კი მოდგმული იყო ნაგებობასთან დაკავშირებული ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული შუაში გადაჭრილი ტიხარი, რომელიც თითქოს ამ ნაგებობას № 29 ნაგებობასთან აკავშირებდა.

HC — 64, 65, 74, 75 კვადრატებში განცალკევებით დგას შედარებით მცირე ზომის № 40 ნაგებობა, რომლის შერჩენილი პირი მოდის — 3,03 მ დონეზე, ძირი კი ჩადის — 3,82 მ დონეზე. ამ ნაგებობას SW მხრიდან ეტყობა ადრე არსებული და მერე ამოქოლილი კარის — ვიწრო კვადრატული შესასვლელის ადგილი.

1977 წელს აღნიშნულ ნაგებობათა და მათთან დაკავშირებულ ტიხართა ერთი ნაწილი ავიღეთ, მათ შორის — №№ 26, 27 29, 34 ნაგებობები. ყველა ნაგებობა და მათთან დაკავშირებული ტიხარები, ისევე როგორც ხრამის დიდი გორის ყველა სხვა შენობა, ნაშენებია ნამჯანარევი თიხის ხსნარზე დაწყობილი ალიზით. ალიზის ზომები უმეტეს შემთხვევაში „სტანდარტულია" — სიგრძე მერყეობს 40 და 42, სიგანე 18—22, სისქე 7—7,5 სმ შორის. გვხვდება სხვა ზომებიც — მაგ. № 34 ნაგებობაში 48—49×24×7 სმ და ზემოაღნიშნული № 39 კედლის ალიზები — 45×20×7 სმ. ალიზების აბსოლუტური უმრავლესობა ძირბრტყელი-ამოზურგულია, მეტად იშვიათია ბრტყელი ალიზები. შემაკავშირებელი თიხის ხსნარის სისქე არათანაბარია — მერყეობს 1—4 სმ-მდე. კედლები თითქმის ყოველთვის გადაბმული წყობითაა ნაშენები. როგორც ნაგებობები, ისევე „ტიხარები" გარედან და შიგნიდან ნამჯანარევი თიხის ხსნარითაა შელესილი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, № 27 შენობის ქვეშ მდებარეობდა № $27_1$ ნაგებობა. ნაგებობის იატაკი, უფრო ზუსტად იატაკის ქვეშ მდებარე შრე, ჩრდილო კუთხის გარდა „მოგებული" იყო ქვებით, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით და ძვლებით. მათ შორის ერია ირმის რქის ოთხი იარაღი, ძვლის თოხი და თოხის ნამზადი, დაუმუშავებელი რქა და გახეხილ-გაპრიალებული ქვის ცული.

№ 26 ნაგებობის ქვეშ მდებარეობდა ნაგებობა № 45, იმავე ადგილას მდგარი თავისი წინამორბედი № $45_1$ ნაგებობით. ეს ნაგებობანი მდებარეობს HC — 43, 44, 53 კვადრატებში, პირველი — 2,7—3,60, მეორე — 3,61—4,15 მ დონეზე. № 45 ნაგებობის ქვეშ კი გამოიკვეთა № 61 კედლის კონტური, რომლის პირიც მოდის — 4,15 მ დონეზე.

№ $45_1$ ნაგებობასთან ჩანს № 55 კედლით დაკავშირებული № 51 შენობა (HC — 12, 13, 22, 23 კვადრატებში — 3,67—3,86 მ დონეებზე). ეს ნაგებო-




სურ. 2. ხრამის დიდი გორა. 1977 წ. გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილები

ბები № 54 და № 55 კედლებთან ერთად კრავს საკმაოდ მოზრდილ ეზოს (ტაბ. VI—3).

№ 29 ნაგებობის ქვეშ მდებარეობდა № 46 ნაგებობა. იგი ექცეოდა НС — 35, 36 კვადრატებში — 2,70—3,35 მ დონეებს შორის. ეს ნაგებობა დაზიანებული იყო, როგორც ჩანს, № 36 სამარხითა და მიწურით. ნაგებობა ოთხკუთხა მოყვანილობის ყოფილა (სურ. 2).

№ 46 ნაგებობა № 34 შენობასთან ერთად ჭრიდა მათ ქვეშ მდებარე № 50 ნაგებობას. ეს უკანასკნელი ექცევა НС — 25, 26, 35, 36 კვადრატებში,—3,33—3,86 მ დონეებზე. № 34 და № 33 ნაგებობების ქვეშ ექცევა № 49 ნაგებობაც (НС — 15, 16, 25, 26, 27), რომელიც — 3,33-დან—4,39 მ ნიშნულებს შორის მდებარეობს.

№ 49 ნაგებობა და მასთან დაკავშირებული კედელი № 52, ისინი ერთ დონეზე (-3,33—4,39 მ) მდებარეობენ, დასავლეთის მხრიდან ზღუდავენ ერთ დიდ ეზოს, რომელიც აღმოსავლეთი მხრიდან შემოზღუდულია № 47 ნაგებობით (НС —17, 18 კვადრატებში, დონე —3,04—4,00 მ), № 60 კედლით და № 38 ნაგებობით, თუ მის ქვეშ მდებარე უფრო მცირე დიამეტრის № 56 ნაგებობით (სურ. 2).

შენობების ერთმანეთზე გადაშენება რამდენიმე შემთხვევაში შეინიშნება. მაგ., ნაგებობა № 37 (ზემოდან I ჰორიზონტი) გადადიოდა № 38-ის თავზე და ნაწილობრივ ჭრიდა მას, ნაგებობა № 38-ის ორი გადაშენება შეინიშნება (II და III ჰორიზონტები ზემოდან); ეს უკანასკნელი შენობა გადადიოდა № 56 ნაგებობის თავზე (ზემოდან IV ჰორიზონტი).

№ 29 ნაგებობის (ზემოდან I ჰ.) ქვეშ მდებარეობდა № 46 შენობა (ზემოდან II ჰორიზონტი), რომელიც № 34 შენობასთან ერთად ჭრიდა № 50 ნაგებობას (ზემოდან III ჰ.). № 50 ნაგებობა კი უფრო გვიანდელია, ვიდრე ერთ-ერთი ეზოს შემკვრელი № 52 კედელი (IV ჰორიზ.).

№ 26 (I ჰორიზ.) ნაგებობის ქვეშ ექცევა № 45 ნაგებობა (ზემოდან II) და მისი წინამორბედი № $45_1$ შენობა (III ჰორიზონტი), რომელთა ქვეშაც გამოჩნდა № 61 კედელი. ზემოდან IV ჰორიზონტი უნდა შეესაბამებოდეს 1972 წელს გამოყოფილ ქვევიდან V საამშენებლო ჰორიზონტს.

ამავე დროს მათ გვერდით დგას მათთან დაუკავშირებელი შენობები და ისეთი ნაგებობები, რომლებიც ორ, შესაძლოა სამი ჰორიზონტის დროს არსებობს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეზოების ტრადიციულობა. № 41 კედლის ქვეშ მდებარეობდა ზუსტად ისევე მიმართული, იგივე ეზოს ფართობის მომზღუდავი კედელი № $41_1$. № 41 კედლის ეზოს შესასვლელის ქვეშ გამოჩნდა № 44 კედელი (НС —72, 73 კვადრატებში,—3,32—3,87 დონეებზე). მეტად საყურადღებოა, რომ № $41_1$ კედელთან, ცენტრალურ ნაწილში ეზოს მხრიდან გაიწმინდა ხარის თავის ქალა რქებითურთ, რომელიც კედელზე მიშენებულ ბაქანზე იყო მოთავსებული (ტაბ. VII—4). ასევე ერთიანი გეგმარება აქვს № 27 და მის ქვეშ მდებარე — № $27_1$ ნაგებობის აღმოსავლეთით მდებარე ეზოს. შესაძლოა კიდევ უფრო დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა №№ 38, 47, 49 და 56 ნაგებობებთან დაკავშირებული ეზო. აღსანიშნავია, რომ ამ ეზოს შემკვრელ № 52 და № 60 კედლებს, დაახლოებით შუა ნაწილში თითო პილასტ-

რი გააჩნია. ამავე ეზოში საკმაოდ ღრმად ჩასული ორმოების ნაწილი შესაძლოა ეზოს რაღაც მსუბუქი გადახურვის (სახურავის) დამჭერი ბოძებისა იყოს (ყველა ორმო თავიდან მიწურის ბოძების ნაკვალევად მივიჩნიეთ).

ასევე თითო პილასტრი გააჩნია „№ 45 და № 51 ნაგებობების“ ეზოს მომზღუდავ გვერდით კედლებს. ამ ეზოში რამდენიმე ქვის მასიური როდინი და ხელსაფქვავები იყო ნაპოვნი, სხვა ეზოებსა და ნაგებობებში ჩვეულებრივ ფართოდ გავრცელებული ინვენტარის გვერდით. საყურადღებოა, რომ ეზოს მთელი ფართობი დაფარული იყო ლერწმისა თუ ფიჩხის თხელი ფენით, რაც გვავარაუდებინებს, რომ ეზოს ფართობი შესაძლებელია მსუბუქი სახურავით იყო გადახურული. ამ ეზოს აღმოსავლეთი მხრიდან კარგად გამოყვანილი კარი აქვს — მომრგვალებული და მოლესილი წირთხლებით. ამ კარით აღნიშნული ეზო არსებობის გარკვეულ პერიოდში უკავშირდებოდა „№ 27 და $27_1$ ნაგებობების“ ეზოს (ტაბ. VI—3).

როგორც ჩანს, ამ ეზოებში მიმდინარეობდა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა. ეზოების ფართობზე ვხვდებით მძლავრ ნაცრიან ფენებს. ეზოებსა და ნაგებობებში მოპოვებული ინვენტარი ერთგვაროვანია. აღსანიშნავია, რომ ძირითადად ეზოებში ვხვდებით ე. წ. კერებს. ეს კერები წარმოადგენს ნამჯანარევი თიხისაგან ნაძერწ 3—4 სმ სისქის კედლიან დერგისებურ „ჭურჭელს“, რომლებიც სავარაუდოა, რომ ძირითადად მიწაში იყო ჩაფლული. ზოგიერთი კერის სიმაღლე 1 მეტრს აღწევს, დიამეტრი კი — 70—80 სმ-ს. სახელწოდება „კერა“ პირობითია, ვინაიდან მათი ზუსტი დანიშნულება ჩვენთვის უცნობია. „კერებს“ ვუწოდებთ იმის გამო, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში წმინდა ნაცრითაა შევსებული. ამავე დროს მათი კედლები გამოუწვავია. სავარაუდოა, რომ „კერების“ ფუნქცია სხვადასხვანაირი იყო. კერების შევსებაში საკმაოდ მრავალრიცხოვან ინვენტარს ვხვდებით. ამგვარ „კერებშია“ ნაპოვნი ანთროპომორფული ფიგურების აბსოლუტური უმრავლესობა. კერების უმეტესობაში გვხვდება ძვლისა (თოხები, სადგისები, საპრიალებლები) და ირმის რქის („თოხები“, „ცულები“, „კვერთხისთავები“) იარაღები, ობსიდიანისა და კაჟის ლამელა-ანატკეცები თუ იარაღები (ერთ მათგანში ობსიდიანის ტრაპეციაცაა ნაპოვნი), სამეურნეო დანიშნულების ქვები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ცხოველის ძვლები და შურდულის ქვები (ერთ-ერთ კერაში ნაპოვნია 171 შურდულის ქვა). ზოგიერთ კერაში გვხვდება თიხის გუნდები თუ „კვერები“. ერთ-ერთი კერის ზედა ნაწილში იყო ჩაბრუნებული ხელსაფქვავი თავისი კურანტით (ტაბ. VI—5), ორ კერას კი ერთი მოზრდილი ხელსაფქვავის ქვედა ქვა ფარავდა. იშვიათი გამონაკლისის გარდა კერები გარედან ძვლისა თუ ირმის რქის იარაღებითაა შემოწყობილი; ხშირად აქვეა გახეხილ-გაპრიალებული ცულები თუ სატეხები. ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ „კერებს“ სარიტუალო-საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

ეზოებში ვხვდებით აგრეთვე სტაციონარულ ღია კერებს, რომლებიც წრიული თუ ოვალური მოყვანილობისაა და ქვებითაა მოგებული. მსგავსი კერები ზოგჯერ ორი კედლის შეხვედრის კუთხეშია გამართული.

საანგარიშო წლებში ხრამის დიდ გორაზე გათხრილი ფართობიდან მეტად მრავალრიცხოვანი მასალა მომდინარეობს. აღსანიშნავია რამდენიმე მთელი თიხის ჭურჭლის აღმოჩენა, რაც საერთოდ მეტად იშვიათი მოვლენაა შულა-

ვერ-შომუთეფეს კულტურის წრის ძეგლებზე. ორი მთელი ჭურჭელი ნაპოვნია № 31/36 ნაგებობის W-ით მდებარე ეზოში. ერთი მათგანი მოწითალოდ გამომწვარი დიდი ზომის ოდნავ პირმოყრილი დერგისებური ჭურჭელია, მეორე კი პირმოყრილი მაღალი ვიწროტანიანი ქილაა, რომელსაც პირს გარშემო ნუშისგულისებური კოპები აქვს ვერტიკალურად დაძერწილი. ხუთი ჭურჭელი პირმოყრილ კვერცხისებურტანიან ძირისაკენ შევიწროებულ დაბალქუსლიან ქილებს თუ დერგებს წარმოადგენს. აღმოჩენილია თითქმის სწორკედლიანი მაღალი დერგის ნახევარი. ცალკე აღსანიშნავია წითლადშეღებილი და მოგლუვებულზედაპირიანი პირგადაშლილი თითქმის უქუსლო ჯამი და მოყავისფროდ გამომწვარი დაბალქუსლიანი გადაშლილპირიანი ჯამი. რამდენიმე ფრაგმენტია ჯამებისა თუ ჯამისებური ჭურჭლებისა. კერამიკის დიდი ნაწილი უხეშზედაპირიანია. მრავლადაა მოგლუვებულზედაპირიანი ჭურჭლები; შედარებით ნაკლებად — გაპრიალებულზედაპირიანი ჭურჭლები. ცალკე გამოიყოფა შედარებით თხელკედლიანი, წითლად შეღებილი ზედაპირ და შიდაპირგაპრიალებული ჭურჭლების ჯგუფი, რომელიც უფრო დამახასიათებელია ზედა ჰორიზონტებისათვის. რელიეფური ორნამენტი ჩვეულებრივ გვხვდება უხეშ და მოგლუვებულზედაპირიან ჭურჭლებზე. შემკულობა წარმოადგენს პირის გარშემო დატანილ კონუსურ ან ვერტიკალურ ნუშისგულისებრ კოპებს. ზოგჯერ კოპები ორრიგადაა დატანილი, ერთ შემთხვევაში კი ჭურჭლის მთელი ზედა ნახევარი კონუსური — ვიწრო კოპებით იყო დაფარული. გვხვდება რელიეფური ღილები V-სებრი ნაძერწები და სხვ. ზოგიერთ ფრაგმენტს პირს ქვემოთ დაძერწილი ჰორიზონტალური ყურისებრი შვერილი აქვს.

აღმოჩენილია რამდენიმე მცირე ზომის, უხეშად დამუშავებული ქვის ჭურჭელი.

მრავლადაა ნაპოვნი რქისა და ძვლის ნაწარმი. ძვლის ნაწარმში ვხვდებით მრავალრიცხოვან სხვადასხვა ტიპის სადგისებს, საპრიალებლებს, ლულოვან და ბეჭის ძვალზე ნაკეთებ თოხებს, საკინძისებურ ნივთებს. ირმის რქის ნაწარმი წარმოდგენილია თოხებით, ცულებით, ე. წ. კვერთხისთავებით, რომელთა დიდი ნაწილიც ზედმიწევნით კარგი დამუშავებით გამოირჩევა. აღსანიშნავია მთლიანად გახეხილ-გაპრიალებული, ჭდეული და რელიეფური ორნამენტით შემკული ირმის რქის იარაღების აღმოჩენა.

დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი კაჟისა და ობსიდიანის მასალა — ნუკლეუსები (უმეტესად უხეშად დამუშავებული), ანატკეც-ანამტვრევები და ლამელები და მათზე ჩამოყალიბებული იარაღები. იარაღთა შორის ვხვდებით საჭრისებს, საფხეკებს, ხოწებს, ბურღებსა თუ სახვრეტებს და სხვ. მრავლადაა შომუთეფეს ტიპის ნამგლის ჩასართავები. ზედა ჰორიზონტებში აღმოჩნდა ობსიდიანის ორი მაღალი ზურგათლილი ტრაპეცია.

მრავლადაა ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღი — ორმხრივლესილი ნაწილობრივ მოკოდილი სოლისებური ცულები, მთლიანად გაპრიალებული სატეხები. ყურადღებას იმსახურებს საგულდაგულოდ დამუშავებული წაგრძელებული მოყვანილობის მეტად თხელი სატეხების აღმოჩენა, რომელთა შორისაც ერთი დუბლირებულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია № 34 ნაგებობის ზედა დონეებზე სოჭი-ადლერის — იგივე ჰასუნას ტიპის თოხის აღმოჩენა. ეს ფაქტი მეტად საინტერე-

სოა, რადგანაც მსგავსი ნივთი შულავერ-შომუთეფეს კულტურაში აქამდე აღმოჩენილი არ ყოფილა.

ფენებში მრავლად გვხვდებოდა ხელსაფქვავების ქვედა და ზედა ქვები, სახეხები, სანაყები, როდინები (ტაბ. VI—1, 2, 4), შურდულის ქვები და სხვ.

ხრამის დიდ გორაზე საანგარიშო წლების აღმოჩენათა შორის ყველაზე საყურადღებოა ანთროპომორფული ქანდაკებები, რომლებიც სხვადასხვა ადგილასაა ნაპოვნი. ყველა გამოუწვავი თიხისაა. მათი უმეტესობა ძლიერ ფრაგმენტირებული და დაზიანებულია. ერთი მათგანი აღმოჩნდა № 31/36 ნაგებობაში მდებარე № 53 კერაში — იგი წარმოადგენს შედარებით რეალისტურად შესრულებული ქალის ქანდაკების წელსზედა ნაწილს. ქანდაკება კარგადაა მოდელირებული. პატარა თავი ოდნავ ზეაწეულია და მთავრდება წოპით. სახის სიბრტყეები ფაცეტირებულია. თვალები წრიული, ღრმა ნაჭდევებითაა გამოსახული, მორკალული წარბები კი წვრილი და ღრმა ნაჭდევებითაა გამოყვანილი, პატარა ფოსოთია აღნიშნული პირი. მაღალი ბიუსტი ზედმიწევნით ხაზგასმითაა მოდელირებული. ქანდაკება უხელოა; მცირე ზომისაა (ტაბ. VII, 1).

მეორე ანთროპომორფული ქანდაკება აღმოჩნდა № 31/36 ნაგებობის კედლის ძირში, გარედან, დასავლეთ მხარეს ნაცრიან ფენაში. სამწუხაროდ, ეს ქანდაკებაც დაზიანებულია — აკლია წელსქვედა ნაწილი და წატეხილი აქვს თავის წვერი. ძნელი სათქმელია ქალის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე თუ მამაკაცისა. ქანდაკებას სრულიად სადა, ოდნავ მორკალული ცილინდრულ-კონუსური ტორსი აქვს; თავი ამ ფიგურასაც ოდნავ უკან გადახრილი აქვს და როგორც ჩანს კონუსური წოპით მთავრდებოდა. სახის სიბრტყეები ფაცეტირებულია. თვალები და წარბები ზემოაღწერილი ქანდაკების ანალოგიურად აქვს გამოყვანილი. თავი და კისრის ნაწილი შავი საღებავითაა მოხატული (ტაბ. VII, 3). მსგავსი ფიგურა უცხოა არა მარტო ხრამის დიდი გორისათვის, არამედ უნიკალურია კავკასიის ძეგლებისათვისაც.

ასევე განცალკევებით დგას № 55 კერაში აღმოჩენილი ქანდაკება, რომლის თავი წააგავს ხრამის დიდი გორის სხვა ქანდაკებებს, ოღონდ საგულდაგულოდაა დამუშავებული. ტანის მოდელირებით კი ის აბსოლუტურად განსხვავდება ყველა დანარჩენი ქანდაკებისაგან — ცილინდრული მოკლე კისრის თუ ტორსის ქვემოთ კვერცხისებური გუნდის სახით გადმოცემული, წელსქვედა ნაწილი ფეხებითურთ გაერთიანებულია. სტეატოპიგია ხაზგასმულია, რაც მიგვანიშნებს, რომ ქალის ფიგურასთან გვაქვს საქმე. ქანდაკება შემკულია წერტილოვანი და ხაზოვანი ორნამენტით. თავზე წოპთან გარშემოუყვება წერტილების ორი, ყელზე კი ღრმა და განიერი წერტილების სამი რიგი. მუცლის ადგილას ვიწრო ვერტიკალურ ზოლად დატანილია მოკლე ნაჭდევები. მუხლებთან (?) გარშემოუყვება სავარცხლისებურად დაშტრიხული ლენტური ზოლი (ტაბ. VII, 2).

ამავე კერაშია აღმოჩენილი ქალის ქანდაკების ფრაგმენტი გახვრეტილი მხრით. თითქმის მთელი ქანდაკებაა ნაპოვნი № 56 კერაში. იგი მიეკუთვნება შედარებით რეალისტურად შესრულებული, ხრამის დიდ გორაზე ცნობილი, დამჯდარი, ზეაწეული — შეტყუპებულმუხლებიანი ქალის ქანდაკებების ტიპს. ქანდაკება სტეატოპიგიურია.

საანგარიშო წლებში აღმოჩენილი დანარჩენი ქანდაკებები მცირე ფრაგ-
მენტითაა წარმოდგენილი. ხრამის დიდ გორაზე მცირე პლასტიკის სხვა ნი-
მუშებიდან ნაპოვნია თიხის ერთი „მსხლისებური“ ფიგურა და რამდენიმე
ძირშედრეკილი კონუსი.

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია აგრძელებდა დაზვერვით
გათხრებს სოფ. სიონის ტერიტორიაზე, ადგილ „ფარეხებზე“, სადაც მიკვლე-
ული იყო ადრესამიწათმოქმედო ფენა და ბრინჯაოს ხანის სამაროვანი (სურ.
3). საანგარიშო წლებში გათხრები კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა, ისე
რომ, გათხრების საერთო ფართობმა 200 კვ მ გადააჭარბა. 1976 წ. პირველ
რიგში გაითხარა აქ გამოვლენილი ქვის „წრიული“ ნაგებობის SW კუთხეში
შერჩენილი შემაღლებული ნაწილი. აქ საკმაოდ ნათელი სტრატიგრაფიული
სურათი მივიღეთ — მიწის ზედაპირიდან 0,5—0,6 მ სიღრმეზე ჩნდებოდა ფეო-
დალური ხანის კერამიკის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები; შემდეგ მოდიოდა
0,2—0.3 მ სისქის ფხვიერი, ნაცროვანის მაგვარი ფენა, რომელშიც იშვიათად
გვხვდებოდა როგორც ფეოდალური, ისე ადრესამიწათმოქმედო ხანის თიხის
ჭურჭლის ნატეხები; უფრო ქვევით კი მდებარეობდა მოშავო მიწის ფენა, რო-
მელიც მხოლოდ ადრეულ მასალას — ადრესამიწათმოქმედო კერამიკის ფრაგ-
მენტებსა და ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმს შეიცავდა. ამის შემდეგ დავი-
წყეთ მთელი ნაგებობის ფართობზე ჩაღრმავება. საშუალოდ 1,50 მ ნიშნულ-
ზე, ზოგიერთ ადგილას (მაგრამ არა მთელ ფართობზე) გაიწმინდა უხეშად მო-
ტკეპნილი იატაკის ფრაგმენტები, რომელიც ერთ ადგილას ცეცხლის ძლიერი
მოქმედების შედეგად გაწითლებულ-მომწვარიც იყო. ეს მოტკეპნილი იატაკი
1975 წელს გათხრილ ასეთსავე იატაკზე 10—15 სმ-ით უფრო დაბლა მდება-
რეობდა, რაც გვავარაუდებინებს იატაკის ორი სხვადასხვა დონის არსებობას.
ამ იატაკის ქვეშ 10—20 სმ სისქეზე ფენა ჯერ კიდევ მძლავრად იყო გაჯერებუ-
ლი კულტურული ნაშთებით — ცხოველის ძვლებით, კერამიკის ფრაგმენტე-
ბითა და ობსიდიანის მასალით. უფრო ქვეშ მდებარე ფენა კი კულტურულ
ნაშთებს მეტად მცირე რაოდენობით შეიცავდა.

ნაგებობის დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში B —64, 65 კვადრატებში
—1,9 მ დონეზე გამოჩნდა წრიული მოყვანილობის ორმო, რომელიც გრუნტ-
შია ამოღებული. ორმო ქვებით იყო ამოვსებული. ქვების ქვეშ იდო მსხვილ-
ფეხა რქოსანის (ხარის?) თავის ქალის (რქებითურთ) ნაშთი. იქვე ოდნავ უფ-
რო დაბლა აღმოჩნდა ფრაგმენტირებული თიხის ჭურჭლის თითქმის ნახევარი.
ორმოს ძირი ჩადიოდა — 2,30 მ დონეზე.

ამ ნაგებობის კედელი ორ ადგილას იყო გაწყვეტილი. NO ნაწილში, სადაც
შესასვლელი ჩანს გაჭრილი, აღმოჩნდა სავარაუდო ზღურბლის ქვა, რომე-
ლიც მოტკეპნილი ქვედა იატაკის დონეზე —-1,50 მ-ზე მდებარეობდა. სამწუ-
ხაროდ არ გაიწმინდა, საერთოდ არ ჩანს ნაგებობის დასავლეთი კედელი, რო-
მელიც NW კუთხეში იყო ჩაჭრილი № 4 სამარხის მიერ (სურ. 3).

აღნიშნული ნაგებობა, რომელსაც მივეცით სახელწოდება № 1, ერთად-
ერთი არ არის. 1977 წელს გაფართოებულ თხრილში A —04, 05, 9Ⴠ, 06. ႢႬ
კვადრატებში მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 0,8 მ სიღრმეზე გამოჩნდა მოზრ-
დილი ქვების კედელი, რომელიც ოდნავ მორკალულად, თითქმის სწორხაზოვ-
ნად მიემართება S—N ხაზზე. ამ კედელს ვუწოდეთ № 2. ამ კედლის, რომ-




სურ. 3. ს. სიონი, „ფარეხები". გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილი

ლის დიდი ნაწილიც შედის ჯერჯერობით გაუთხრელ ფართობში, უკვე გამოჩენილი ნაწილის სიგრძეა 6,20 მ, სიგანე — საშუალოდ 0,80 მ. ეს კედელი № 1-ის მსგავსია აგების ტექნიკით. ის ჯერჯერობით ძირამდე არ არის გაწმენდილი; როგორც კედელში, ისე მის გარშემო ამოდიოდა არქაული კერამიკა, ობსიდიანი და კაჟი.

№ 2 კედლისაგან დასავლეთით, დაახლოებით 0,4—0,5 მ მანძილზე, ამ კედლის პარალელურად მდებარეობდა მასიური ქვებისაგან ნაგები (რომელთა შორისაც წვრილი ქვები იყო გაჭედილი) კედლის ფრაგმენტი. ამ ორი კედლის ერთმანეთთან დაკავშირება ჭირს; როგორც ჩანს, ისინი ორი სხვადასხვა კედელია, შესაძლოა სხვადასხვა პერიოდისაც (სურ. 3).

№ 1 და № 2 კედლებს შორის მდებარე ფართობზე თითქმის ყველგან ჩნდებოდა ადრესამიწათმოქმედო მასალა, მაგრამ სხვა სათავსოს კვალი არსად არ შეგვხვედრია.

სავსებით ერთგვაროვანია მთელ გათხრილ ფართობზე მოპოვებული მასალა, რაც მიუთითებს, რომ აქ ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ერთ ფენასთან გვაქვს საქმე. ეს ფენა ჩრდილოეთით ბევრად უფრო მაღლა ამოდის და თხელია, ვიდრე სამხრეთით — ე. ი. ხუდის წყლისაკენ ფენის სისქე მატულობს და ერთ მეტრზე მეტი სიმძლავრისაა.

ადრესამიწათმოქმედო ფენის მონაპოვარში ყველაზე მრავალრიცხოვანი ხელით ნაძერწი კერამიკაა, რომელიც ძირითადად მცირე ზომის ნატეხებითაა წარმოდგენილი. ამის გამო ჭირს ფორმებზე მსჯელობა. აქ უპირატესად გავრცელებული ჩანს ოდნავ პირგადაშლილი დაბალყელიანი გამობერილმუცლიანი ჭურჭლები. აქვეა მაღალყელიანი, სწორ ან გადაშლილპირიანი ჭურჭლები, გვხვდება აგრეთვე პირმოყრილი ქილების ფრაგმენტები. ჯერჯერობით ერთადერთი ჩანს ჯამისებური ჭურჭლის ფრაგმენტები.

სიონის ნამოსახლარის თიხის ჭურჭელი კარგადაა გამომწვარი; კეცი უმეტეს შემთხვევაში ორფეროვანია — ძირითადად შიდა მხარე შავი, გარეთა მხარე კი მოვარდისფროა. თიხაში გასამჭლევებლად უპირატესად არაორგანული ნივთიერებანია (სილა, ხვინჭა, დანაყილი ობსიდიანი, კირქვა, ქარსი) შერეული, იშვიათ შემთხვევაში კარგად შეიმჩნევა დაკეპილი ნამჯის ან ბზის მინარევი.

ჭურჭლის ზედაპირი უპირატესად კარგად მოგლუვებული და გაპრიალებულია. ხშირად გვხვდება თხელი ანგობით დაფარული და ბრწყინვალედ გაპრიალებულზედაპირიანი ნატეხები. სიონის კერამიკის დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ჭურჭლის ზედაპირზე, ზოგჯერ კი შიდაპირზეც, ჯერ კიდევ სველ თიხაზე სავარცხლისებური ნივთით, უფრო კი ნაფოტით დატანილი „უსისტემო" ზოლები, რომლებიც ზოგჯერ მოგლუვებულია, ზოგჯერ კი დაუმუშავებლადაა დატოვებული.

ჭურჭლის პირები უმეტესად მომრგვალებულია, თუმცა ხშირია ბრტყელი, ზემოდან წაკვეთილი პირებიც. ყელიდან მხარზე გადასვლა ძირითადად არ შეიმჩნევა, თანაბარია, მაგრამ გვხვდება საგრძნობლად პროფილირებული ცალებიც, ზოგჯერ კარგად გამოსახული გარდატეხის ხაზით.

ჭურჭლების უმეტესობა ბრტყელძირაა, დაბალქუსლიანი ან ბლაგვკუთხა

გადასვლით კედელზე. ორიოდე ფრაგმენტი სავარაუდოა, რომ მომრგვალე-
ბულძირიან ჭურჭლებს ეკუთვნოდეს.

სიონის კერამიკას ფაქტიურად არ ახასიათებს ჭურჭლის კორპუსის შემ-
კობა. რელიეფური ორნამენტი — ნუშისგულისებური დანაძერწი მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დამოწმებული. ერთადერთი შემთხვევაა, აგრეთვე, კორპუ-
სის ჭდეული ორნამენტით შემკობისა — ფრაგმენტს ყელიდან მხარზე გადასვ-
ლის ადგილას ლერწმისა თუ ნამჯის ღეროთი მრგვალად ჩაჩხვლეტილი წრეე-
ბის ჰორიზონტალური ზოლი მიუყვება.

სამაგიეროდ სიონის კერამიკისათვის მეტად დამახასიათებელია ჭურჭლის პირების (ქობის) შემკობა სხვადასხვა სახის ორნამენტით. ორნამენტირებული ჭურჭლების უმეტესობას პირი დაჭდეული აქვს ირიბი არაღრმა ნაჭდევებით; გვხვდება სწორად დატანილი ჭდეებიც. ხშირია ფართო და შედარებით ღრმა ირიბი ნაჭდევებიც.

სიონის კერამიკის ერთ ნაწილს პირი შემკული აქვს სავარცხლისებური შტამპით, ირიბად დატანილი ნაჭდევებით, ნაწილს კი წმინდა წერტილოვან-ხაზოვანი ორნამენტით. ზოგიერთ ფრაგმენტზე შეინიშნება სხვადასხვა ტიპის ნაჭდევების თანაარსებობა.

რამდენიმე ჭურჭელს ბრტყელი პირი შემკული აქვს ქობაზე ზემოდან და-
ტანილი წრიული ან ოვალური ღრმა და განიერი ფოსოებით.

სიონში ვხვდებით ჭურჭლებს, რომელთაც დაკლაკნილი, „ხერხის კბილე-
ბივით პირგადაყრილი" ქობა აქვთ.

ამათ გარდა გვხვდება ჭურჭლის პირები (ორიოდე ნატეხია), რომელთაც ტალღისებური ნაპირი აქვთ — მათ ქობაზე ალაგ-ალაგ თითით გამოყვანილი ჩაღრმავებებია.

სიონის ნამოსახლარზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ნატკეცი ქვის მასალა, ძირითადად ობსიდიანი (90%-ზე მეტი). საერთო რაო-
დენობაში ჭარბობს ანატკეც-ანამტვრევები, რომელთა უმეტესობაც დაუმუ-
შავებელია. იარაღების დიდი ნაწილი ჩამოყალიბებულია ლამელებზე, მაგრამ გვხვდება ანატკეცებსა და ანამტვრევებზე ნაკეთები იარაღებიც. ლამელების უმეტესობა რეტუშირებულია. რეტუში სხვადასხვა სახისაა. სიონის მასალაში ცალკე გამოიყოფა ლამელების ერთი სერია, რომელთაც ზურგი მთლიანად ან დიდ ნაწილზე ათლილი აქვს მცოცავი რეტუშით. სწორედ დამუშავების ეს ხერხი, რომელიც ხშირად გვხვდება აგრეთვე საფხეკებზეც, მეტად თავისე-
ბურ სახეს აძლევს სიონის ნამოსახლარის ქვის ინდუსტრიას.

იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია სათლელისებური იარაღე-
ბი ანუ ხოწები; შემდეგ მოდის საფხეკები (რომელთა უმეტესობაც კარგი დამუშავებით ხასიათდება), საჭრისები, სახოკები, სახვრეტები თუ ბურღები, დანები, კომბინირებული იარაღები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „შომუთეფეს ტიპის" ნამგლის ჩასართის აღმოჩენა № 1 შენობაში. იგი ტიპი-
ური ნიმუშია შულავერ-შომუთეფეს კულტურის წრის ძეგლებში განვითარე-
ბის მოგვიანო საფეხურზე გაჩენილი ჩასართებისა და გარკვეული თვალსაზრი-
სით დამათარიღებლად გვევლინება ძეგლისათვის — რადგანაც ჩასართების ეს ტიპი შულავერ-შომუთეფეს კულტურის განვითარების მხოლოდ III საფეხუ-
რიდან ჩნდება, შეუძლებელია სიონის ნამოსახლარზე უფრო ადრე მოხვედ-
რილიყო.

ადრესამიწათმოქმედო ფენიდან მომდინარეობს ბაზალტის უხეში საჩეხ-საპობი იარაღი და დისკოსებური მოყვანილობის სახეხ-სასრესები.

ძვლის სულ სამი იარაღია ნაპოვნი: ორი გაპობილ ლულოვან ძვალზე ნაკეთები სადგისი და ერთი მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალზე ნაკეთები ნივთი.

ფრაგმენტების სახით გვხვდებოდა სადაფის საკიდები — შუაში გახვრეტილი კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედები.

აღსანიშნავია, რომ სიონში არ შეგვხვედრია არც ერთი ფრაგმენტიც კი ხელსაფქვავის ქვებისა, არ ჩანს შურდულის ქვებიც.

როგორც მასალის განხილვიდან ჩანს, სიონის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის სახით მეტად თავისებურ ძეგლთან, უფრო ზუსტად უცნობ, ახალ კომპლექსთან გვაქვს საქმე, რომელიც განსხვავდება სხვა, აქამდე ცნობილი ძეგლებისაგან

ს. სიონში, ადგილ ფარეხებზე, ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის ტერიტორიაზევე გამართულ გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანზე საანგარიშო წლებში 6 ორმოსამარხი გაითხარა, 3—3 თითოეულ წელს (სურ. 3). ს ა მ ა რ ხ ი № 5 B—78 კვადრატის N ნაწილში მდებარეობდა და მცირედ გადადიოდა B—79 კვადრატში. სამარხი დაზიანებული იყო, მონგრეული ჰქონდა S ნაწილი (ტაბ. VIII—1). გადარჩენილი ნაწილის სიგრძე იყო 0,85 მ, სიგანე —0,75 მ, ხოლო სიღრმე —0,70 მ. სამარხი აგებისა და დაკრძალვის წესითა და ინვენტარით წინა წლებში აქ გათხრილ სამარხებს გავდა; განსხვავებული იყო მხოლოდ დამხრობა — იგი N—S ხაზზე იყო ორიენტირებული[7], თავით N-კენ. სამარხის გადარჩენილ ნაწილში ჩონჩხი შედარებით კარგად იყო შენახული, მაგრამ ხელის ფალანგები აქაც გაბნეული იყო სამარხის სხვადასხვა ნაწილში. მოზრდილი ადამიანი[8] იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელები სახესთან ჰქონდა მიტანილი. სამარხში აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი (სახესთან — ლანგრისებური ჯამი, კეფასთან — ხელადა და ზურგთან — ბადიისებური ჯამი), ბრინჯაოს მოზრდილი სატევარი (წელის არეში) და 2 საკინძი (სატევრის სატარესთან). სამარხის ალაგების შემდეგ ვიპოვნეთ ადამიანის ნეკნის ძვალში გარჭობილი ბრინჯაოს ისრისპირი.

ს ა მ ა რ ხ ი № 6 მდებარეობდა № 5 სამარხის აღმოსავლეთით B—27, 28, 37, 38 კვადრატების საზღვარზე. ორმო კარგად იხაზებოდა — იგი კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა, რომლის სიგრძე იყო 1,05 მ, სიგანე —0,90 მ, სიღრმე —0,90 მ. მიცვალებული დამხრობილი იყო N—S ხაზზე, თავით N-კენ. იგი მარჯვენა გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი ხელ-ფეხით; ჩონჩხი შედარებით კარგად და სრულად იყო შენახული. სამარხში აღმოჩნდა თიხის 3 ჭურჭელი (სახესთან — ლანგრისებური ჯამი, ზურგთან — ბადისებური ჯამი და ფეხებთან — მოზრდილი ორყურა დერგი).

ს ა მ ა რ ხ ი № 7 მდებარეობდა № 6 სამარხის დასავლეთით, B—47 კვადრატის NO ნაწილში, მცირედ გადადიოდა B—48 კვადრატში. ოვალური მოყვანილობის ორმოს სიგრძე 1,30 მ იყო, სიგანე — 1 მ, ხოლო სიღრმე — 0,7 მ.

---

[7] ადრე გათხრილი სამარხები ბავშვებს ეკუთვნოდა და ორიენტირებული იყო W—O ხაზზე, თავით W-კენ.

[8] შეიძლება ამითაც აიხსნას ძვლების უკეთესი დაცულობა.

დამხრობა — N—S ხაზზე, თავით N-კენ. ჩონჩხი კარგად იყო შენახული, მაგრამ ძვლების გარკვეული ნაწილი სრულიად არ გადარჩენილა. უნდა აღინიშნოს ძვლების რამდენადმე უცნაური მდებარეობა — თავის ქალა მარჯვენა გვერდზე იდო, წელსზედა ნაწილი კი ზურგზე იყო დასვენებული; მარჯვენა ხელი ნიკაპთან, ხოლო მარცხენა — გულზე ედო; ქვედა კიდურების ძვლები მარჯვენა გვერდზე იდო, ხოლო მენჯი და ხერხემლის ნაწილი საერთოდ არ იყო (ტაბ. VIII—2). სამარხში აღმოჩნდა თიხის 2 ჭურჭელი (მარჯვენა ხელის მაჯასთან — ლანგრისებური ჯამი და მარცხენა მხრის ძვალთან — ორყურა დერგი) და ბრინჯაოს საკინძი (სამარხის შუა ნაწილში ძვლებისაგან თავისუფალ ადგილას, იქ სადაც მიცვალებულის წელია სავარაუდებელი).

ს ა მ ა რ ხ ი № 8 მდებარეობდა № 5 სამარხის SO-ით, B—67, 68, 78, 77 კვადრატების საზღვარზე. მისი ნაწილი დანგრეული იყო (ტაბ. VIII—3). გადარჩენილი ნაწილის სიგრძე 0,90, სიგანე — 0,65 ,სიგრძე — 0,70 მ იყო. სამარხი დამხრობილი იყო N—S ხაზზე. ძვლები არეული იყო. როგორც ჩანს, ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იყო დასვენებული მოხრილი ხელ-ფეხით (ფეხების ადგილი მონგრეული იყო). ხელები სახესთან ჰქონია მიტანილი, მაგრამ მაჯისა და ხელის მტევნების ძვლები ადგილზე არ აღმოჩნდა. უძრავ მდგომარეობაში მხოლოდ თავის ქალა იყო. ნეკნის ძვლები მის გარშემო ეყარა. ქალაში ნიკაპთან მოხვედრილა ლავიწის ძვალი. ყბის ქვეშ რამდენიმე ფალანგა იდო; კისრის ადგილას კი — ბეჭის ძვალი. ასეთივე არაბუნებრივი მდებარეობა ჰქონდა ყველა დანარჩენ ძვალს. სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი: ორყურა ქოთანში ჩადგმული იყო პატარა კოჭობი (იდო მიცვალებულის სახის წინ, მოშორებით).

ს ა მ ა რ ხ ი № 9 მდებარეობდა A—06, B—16 კვადრატების საზღვარზე. აქ გათხრილი დანარჩენი სამარხებისაგან განსხვავებით, იგი ზევიდან გადახურული იყო ქვის ბრტყელი ფილებით, რომლებიც ზოგან დაფარული იყო ღორღითა და რიყის ქვებით[9]. აღნიშნული ქვებით მოფენილი ფართობის სიგრძე 2 მ, ხოლო სიგანე 1 მ იყო. ღორღისა და რიყის ქვების აღების შემდეგ ქვის ფილებით მოფენილი ფართობის სიგრძე 1,5 მ-მდე დამოკლდა. ზევიდან სხვადასხვა ზომის ქვის 4 ფილა იყო დაწყობილი, რომელთაგან 2 ცალი წახნაგით ქვევით იყო ჩაბრუნებული. მათი ალაგების შემდეგ შუა ნაწილში გამოჩნდა კიდევ ერთი ფილა, რომელიც ცალი ბოლოთი ღრმად იყო ჩავარდნილი ორმოში. მისი აღებისთანავე გამოჩნდა თიხის დოქის პირი.

სამარხის ორმოს სიგრძე 1,20, სიგანე — 0,70, ხოლო სიღრმე — 1,20 მ. იყო. სამარხში W—O ორიენტაციით ბავშვი იყო დაკრძალული. ძვლების ნაწილი მტვერად იყო ქცეული. შედარებით უკეთ შენახულა ფეხის ლულოვანი ძვლები. მიცვალებული ჩასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, სამარხში აღმოჩნდა თიხის 4 ჭურჭელი, რომლებიც ორმოს S კედელთან იყო ჩაწყობილი, და ბრინჯაოს მოზრდილი სატევარი — შუა ნაწილში (სურ. 3; ტაბ. VIII, 5).

---

[9] მსგავსი გადახურვა ჰქონდა შემდგომ გათხრილ № 10 სამარხსაც. საფიქრებელია, თავის დროზე სხვა სამარხებიც ყოფილიყო გადახურული, მაგრამ, შემდგომ, მიწის სამუშაოების დროს იყოს აღებული ქვები.

ს ა მ ა რ ხ ი № 10 მდებარეობდა № 9 სამარხის სამხრეთით[10], A —05, B —15 კვადრატების S ნაწილში. ორმო ზევიდან ქვის 3 ბრტყელი ფილით იყო გადახურული, რომელთაგან 2 ნაწილობრივ ერთმანეთზე გადადიოდა. ზევიდანვე ჩანდა, რომ სამარხი პატარა ზომის იყო. ორმო კარგად იხაზებოდა, რომლის სიგრძე 1, სიგანე —0,58, სიღრმე — 1,5 მ იყო. სამარხი ორიენტირებული იყო W—O ხაზზე. თავის ქალის ნაშთი W ნაწილში იდო. აქაც ბავშვი იყო დაკრძალული[11]. ჩონჩხი თითქმის მთლიანად დაშლილი იყო. აქა-იქ გაბნეული ძვლების ნაშთების გამოცნობაც კი ჭირდა. დაბეჯითებით თქმა ძნელია, მაგრამ ვფიქრობთ, მიცვალებული მარჯვენა გვერდზე უნდა ყოფილიყო დაკრძალული (ტაბ. VIII-4). სამარხში აღმოჩნდა თიხის 4 ჭურჭელი, ბრინჯაოს საკინძი და სარდიონის 1 ც. კასრისებური მძივი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამარხი მეტად პატარა იყო და თიხის ჭურჭელი ნაწილობრივ ძვლებზე იდგა.

ამით ამოიწურება საანგარიშო წლებში სიონში გათხრილი სამარხები. სულ აქ შესწავლილია 10 ორმოსამარხი, რომელთაგან № 4 სამარხი შუაბრინჯაოს ხანისაა, დანარჩენი კი ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. სიმცირის მიუხედავად, აქაური მონაპოვარი უკვე საინტერესო დაკვირვებებისა და დასკვნების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა 1977 წ. სეზონი, რომელმაც რამდენადმე დააზუსტა ადრე წარმოჭრილი სავარაუდო საკითხები. მაგალითად, თითქმის ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ სიონის სამაროვანზე ცალ-ცალკე უბნებად ასაფლავებდნენ სრულასაკოვნებს და ბავშვებს. მსგავსი ვითარება მანამდე მხოლოდ მადნისჭალის სამაროვანზე იყო შენიშნული ნ. თუშიშვილის მიერ, ოღონდ სიონში სამარხთა ორიენტაცია უფრო მკაცრად არის განსაზღვრული. მაგ.: სრულასაკოვნები იკრძალებიან N—S ხაზზე თავით N-კენ, ხოლო ბავშვები —W—O ხაზზე, თავით W-კენ.

ადგილი, სადაც ჩვენი ძეგლია განლაგებული, უკანასკნელ ხანებში ინტენსიურად იყო გამოყენებული საღორეებისა თუ ფარეხებისათვის. ამის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ სამარხთა ზედა ნაწილი მნიშვნელოვნად დაზიანებულია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს №№ 9 და 10 სამარხები, რომლებსაც ზევიდან გადახურვაც კი ჰქონდათ შერჩენილი. სამარხები აგებითაც და ინვენტარითაც ორივე უბანზე ერთგვაროვანია. იარაღის ერთადერთი ტიპი, რომელსაც სამარხებში ვხვდებით — ბრინჯაოს სატევარია. სატევარიც კი თანაბრად გვხვდება ბავშვებისა თუ მოზრდილთა სამარხებში. ერთადერთი სამარხი, რომელშიც ორი სატევარი აღმოჩნდა, ბავშვს ეკუთვნის. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ სატევრების მეტად საინტერესო კოლექციაა შეკრებილი. ზოგადად ეს სატევრები, ალბათ, ფოთლისებური სატევრების სახესხვაობაა, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ტიპიური ფოთლისებური სატევრებისაგან ზომითაც და პროპორციებითაც.

ინვენტარით სიონის სამაროვანი ყველაზე ახლოს დგას მადნისჭალისა და სამთავროს სამაროვნის უადრესი ორმოსამარხების ინვენტართან და, ვფიქრობთ, მათი თანადროული უნდა იყოს.

[10] ამავე ხაზზე, უფრო S-ით არის გათხრილი 1974—75 წწ. ბავშვის სამარხები W—O ორიენტაციით, თავით W-კენ.

[11] როგორც ჩანს, ბავშვის ძვლები განსაკუთრებით ცუდად ინახება ადგილობრივ გრუნტში.

М. В. МЕНАБДЕ, Т. В. КИГУРАДЗЕ, З. К. КИКОДЗЕ

# РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ КВЕМОКАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ (1976—1977 гг.)

Резюме

(Табл. V—VIII)

Квемокартлийская археологическая экспедиция Гос. музея Грузии в 1976—1977 гг. продолжала работы в Марнеульском р-не: разведочные раскопки на территории с. Сиони и стационарные раскопки на раннеземледельческом поселении Храмис Диди-гора.

На Храмис Диди-гора изучался раннеземледельческий слой в квадрате НС (рис. 1, 2), где раскоп был доведен в среднем до уровня — 4 м. Здесь выявлены круглопланные жилые и хозяйственные строения и примыкающие к ним дворики 4-х верхних строительных горизонтов. Засвидетельствованы факты неоднократного обновления комплексов, существовавших в двух или же трех горизонтах. В основном в двориках, реже в жилых домах зафиксированы т. н. «очаги» (табл. V).

В помещениях, двориках и «очагах» обнаружен однородный материал. Среди находок особенно примечательные антропоморфные фигурки из необожженной глины (табл. VI, VII).

В Сиони, в местечке «Парехеби» изучался слой раннеземледельческого поселения. Обнаруженная здесь керамика отличается от керамики других раннеземледельческих памятников Восточного Закавказья. Каменная индустрия также своеобразна. По нашему мнению, археологический комплекс поселения Сиони существенно отличается от комплексов других, известных раннеземледельческих памятников Восточного Закавказья.

На могильнике, находящемся на упомянутом сионском поселении, в отчетных годах раскопано 6 грунтовых погребений эпохи поздней бронзы. На могильнике зафиксированы территориально разделенные захоронения взрослых и детей. Эти группы погребений различаются и по ориентировке. Инвентарь представлен глиняными сосудами, бронзовыми кинжалами, булавками и т. д. (рис. 3, табл. VIII).

ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი

# მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976—1977 წლების მუშაობის ანგარიში

(ტაბ. IX—XI)

1976—1977 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობას აგრძელებდა არტაანის მტკვრის აუზში, სადაც წინა წლებში გამოვლინდა თრიალეთური კულტურის (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) ახალი მძლავრი კერა[1].

1975 წელს ექსპედიციამ დაიწყო მტკვრის მარცხნივ (დასავლეთით) მდებარე ყველაზე მაღალი ტერასის ნიალის ველის შესწავლა.

შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები ნიალის ველზე შეჯგუფულნი არიან დუმეილის ნასოფლარის მიდამოებში მდ. ნიალის წყლის ორივე ნაპირზე. აქ ყორღანების ტოპოგრაფია საკმაოდ განსხვავებულია წინა წლებში არტაანის სხვა ტერასებზე დამოწმებული ყორღანების განლაგებისგან. ისინი განცალკევებით დგანან, რაც საკმაოდ იშვიათად გვხვდება მესხეთ-ჯავახეთის ყორღანების ტოპოგრაფიაში. ჩვეულებრივ ტერასებზე დიდი ყორღანების გარშემო ჯგუფდება შედარებით მომცრო ზომის სამარხები.

განსაკუთრებით საინტერესოა ნიალის წყლის მარჯვენა სანაპირო ფერდზე, ლოდოვანში, ე. წ. „ყაჩაღებში", დაახლოებით 3 ჰა ფართობზე დადასტურებული ყორღანთა უჩვეულო კონცენტრაცია. ყორღანთა რიცხვი აქ 200-მდე აღწევს. ყორღანები ნაგებია ჯგუფ-ჯგუფად, ზოგჯერ, ერთმანეთთან მიჯრით. უნდა აღინიშნოს, რომ ყორღანული სამარხების ასეთი კონცენტრაცია კავკასიის არქეოლოგიაში აქამდე დამოწმებული არ ყოფილა.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ასპინძიდან ვარძიაში მიმავალი გზის მე-5 კმ-ზე აღმოჩნდა „ყაჩაღების" ანალოგიური სამაროვანი[2]. სამაროვანი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „გელათ ხარძალებს"[3] უწოდებს, მდებარეობს ჯავახეთის პლატოს ძირში, ხიზაბავრას ტერასების თავზე. მას საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უჭირავს და ისე, როგორც „ყაჩაღების" სამაროვანი გა-

[1] საანგარიშო პერიოდში ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, ზ. ბაქრაძე, კ. მეგრელიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, მ. აბრამიშვილი, მ. კუპუხიძე (არქიტექტორი), ა. ნასყიდაშვილი (მძღოლი).

[2] ცნობა მოგვაწოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მესამე შრომითი სემესტრის ხელმძღვანელმა მ. ბერიძემ.

[3] „ხარძალები" ქვაყრილს აღნიშნავს.




სურ. 1. ოკამის გორა. ციკლოპური სიმაგრის სქემატური გეგმა

მართულია ფერდზე. ყორღანები ერთმანეთთან მიჯრით არიან განლაგებულნი. ფერდის ძირა ყორღანები მომცრონი არიან, თავისკენ შედარებით მოზრდილნი, თუმცა „გელათ ხარძალების“ ყორღანები სიდიდით არ გამოირჩევიან. შესასვლელი უმთავრესად დატანილი აქვთ აღმოსავლეთით, იშვიათად სამხრეთ-აღმოსავლეთით ან დასავლეთით.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციამ მესხეთ-ჯავახეთში თრიალეთის კულტურის ნამოსახლარები ვერ დაამოწმა, მაგრამ ყორღანული ტერასების სიმრავლე და ყორღანების უჩვეულო კონცენტრაცია ამ მხარის მჭიდროდ დასახლებაზე მეტყველებს შუაბრინჯაოს ხანაში. „ყაჩაღები“ და „გელათ ხარძალები“ საკმაოდ მოზრდილი სოფლების სამაროვნები უნდა ყოფილიყვნენ.

1976 წელს ექსპედიციამ გათხარა სამი ყორღანი: ერთი — დუმეილას მინდორზე, ნიალის წყლის მარცხენა ნაპირის ამაღლებულ ტერასაზე (ყორღანი № 2), ორიც — „ჰოკუაანთ კოჟორზე“, რომელიც დუმეილას მინდვრის აღმოსავლეთით მდებარეობს ერუშეთის პლატოს კიდეზე და უშუალოდ ემიჯნება ახჩიის თავს. დუმეილას მინდვრიდან „ჰოკუაანთ კოჟორს“ სუთოქვილანის ხევი ჰყოფს, რომელიც ნიალის წყალს ჩრდილოეთიდან შეერთვის.

დუმეილას ყორღანი № 2 საკმაოდ მოზრდილი ყორღანია, რომელსაც დაბალი მიწა-ქვა-ღორღიანი, შუაში ჩაღრმავებული ყრილი აქვს და დიდი ქვის ლოდებისგან შედგენილი წრიული სარტყელი. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ნიალის წყლის ნაპირას შემაღლებულ ტერასაზეა გამართული, ისე რომ, მდინარის მხრიდან სარტყლის ქვები და ყრილი კარგად იხედება, ჩრდილოეთით და დასავლეთით კი ყრილი უშუალოდ გადადის მიწის ზედაპირზე და მისგან არ გამოიყოფა (ტაბ. IX. 1).

ყორღანის ზომებია: სიმაღლე — 2, 20 მ, დიამეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთით — 28,5 მ; ჩრდილოეთიდან სამხრეთით — 25 მ. მართალია, ეს ყორღანი გარეგნულად არაფრით განსხვავდება მესხეთ-ჯავახეთში დამოწმებული სხვა ყორღანებისგან, მაგრამ კამერა უჩვეულოდ არის ნაგები. იგი ფართოა, ოვალური მოყვანილობის და ნაშენია შედარებით უხეშად. მომცრო ქვებს კედლების ქვედა რიგი უკავიათ, მოზრდილი ლოდები კი ზედა რიგშია დატანებული. ზედა რიგის ქვები რამდენადმე წინ არიან წამოწეულნი და თითქოს ცრუ თაღს კრავენ. კედლის თავში მდებარე ქვა ძირაქვაზემთელი 0,40 მ-თ წინ არის წამოწეული. დრომოსი სარტყლის ქვებიდან იწყება და თანაბრად ღრმავდება. მისი ზომებია: სამხრეთ კედლის სიგრძე —3,40 მ, ჩრდილოეთისა —3,60 მ; სიგანე დასაწყისში —1,60, კამერისგან გამომყოფ ტიხართან — 2,30 მ. კედლების წყობა დასაწყისში ერთი რიგია, ტიხართან 2—3 რიგი. სხვაობა დრომოსის და კამრის იატაკების დონეებს შორის 1,40 მ-ია. კამერა, როგორც აღვნიშნეთ, ოვალური მოყვანილობისაა, მისი ზომებია: ჩრდილოეთ კედლის სიგრძე — 4,30 მ, სიმაღლე — 2 მ; სამხრეთ კედლის სიგრძე —2,4 მ, სიმაღლე —2,30 მ; სამხრეთ კედლის სიგრძე —3,10 მ, სიმაღლე —2,30 მ; იატაკი წარმოადგენს მოყვითალო ფერის თიხნარს, რომელიც აქა-იქ ამოღრმავებულია.

ქვაყრილის აღების დროს დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვე, 20—30 სმ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა თიხის პატარა კვირისთავი.

კამერა ამოვსებული იყო მიწით და ქვის დიდი ლოდებით. წმენდის დროს დიდი რაოდენობით გვხვდებოდა შავპრიალა და წითელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც, მსგავსად მესხეთ-ჯავახეთის ყორღანებში დადასტურებული კერამიკისა, შემკული იყვნენ წერტილოვანი, ხაზოვანი, ამოკაწრული ორნამენტითა და რელიეფური ხაზებითა და კოპებით. დუმეილას ყორღანი № 2 მესხეთ-ჯავახეთის ყორღანებში იშვიათი გამონაკლისია — გაძარცული არ იყო. პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ოთხი ნემსი შემსხვილებული თავით და ყუნწით. კამერის ცენტრალურ ნაწილში 2 მეტრის სიღრმეზე იდო ქვის ჯამი, აქვე ფიქსირებულ იქნა ძლიერ დაშლილი ადამიანის თავის ქალა. თავის ქალის გვერდზე ეწყო პატარა ცალყურა სასმისი და საქონლის ძვლები. ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები, უმთავრესად კიდურები, ელაგა აგრეთვე ჩრდილო და დასავლეთი კედლების გასწვრივ. ნაწილი ძვლებისა ამავე კედლებთან მდებარე თიხის დიდ დერგებში იყო ჩაწყობილი. თიხის მოზრდილი ჭურჭლები — დერგები განლაგებულნი იყვნენ კედლების გასწვრივ; სამი დიდი დერგი დასავლეთის, ერთიც სამხრეთ კედელთან. კამერის ცენტრში ჩალეწილი იყო სხვადასხვა ზომის ჭურჭლები. აქვე შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალიც. აღმოჩნდა აგრეთვე მძივები: 22 პასტის წვრილი მძივი, ერთი თეთრი ქვის, რომბისებური და ერთიც ოქროს მძივის ფრაგმენტი (ტაბ. XI —1—3).

„ჰოკუაანთ კოჟორის“ ყორღანები დუმეილას № 2 ყორღანიდან დაცილებულნი არიან 800—1000 მეტრით. იქ, როგორც აღვნიშნეთ, ორი ყორღანი გავთხარეთ. ყორღანები თითქმის ერთად მდებარეობენ „ჰოკუაანთ კოჟორის“ ყველაზე ამაღლებულ ნაწილში. ერთი მათგანი (ყორღანი № 1) მაღალია, ქვაყრი-

ლიანი, მეორე (ყორღანი № 2), რომელიც მის ჩრდილო აღმოსავლეთით, 15 მ-ის დაშორებით მდებარეობს, დაბალი, დიდი ქვებისგან შემდგარი წრიული სარტყლით გარსშემოვლებული.

ყორღანი № 1 მოზრდილი ყორღანია. ყრილი საკმაოდ დიდი ქვებისგან შედგება. ფუძეზე შემოუყვება სამი მეტრის სიგანის მიწაყრილი. ყორღანის სიმაღლეა: აღმოსავლეთიდან — 1,80 მ, ჩრდილოეთიდან — 2,90 მ, დიამეტრი — 23 მ, ქვაყრილის დიამეტრი — 17 მ. გათხრების დაწყებამდე ყორღანის ყრილის ცენტრალურ ნაწილში, ძაბრისებურ ჩაღრმავებაში ჩანდა კამერის დასავლეთი კედლის წყობის ზედა რიგი და სახურავის ბოლო, უკანა ქვა (ტაბ. X. I).

ყორღანის შესასვლელი მიმართულია აღმოსავლეთისკენ. იატაკი კამერისკენ თანაბრად დაქანებულია. კამერა მოწყობილია მიწაში ამოღებულ ორმოში. მისი ძირი წარმოადგენს კლდეს, რომლის ჩაღრმავებები შევსებულია ქვის ფილებით ისე, რომ მოპირკეთებული იატაკის შთაბეჭდილებას ტოვებს. დრომოსისა და კამერის კედლები ნაგებია მშრალად, თითქმის თანაბარი წყობით. როგორც საერთოდ ახასიათებთ მესხეთის ყორღანებს, აქაც კედლების წყობის ქვედა რიგში ქვის დიდი ლოდებია მოქცეული, ზედა რიგი კი, უფრო მომცრო ქვებისგან შედგება. სახურავიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ ბოლო, უკანა ქვა, რომელიც სცილდება დასავლეთის კედელს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყორღანი გაძარცვული აღმოჩნდა. კერამიკა მიმოფანტული იყო მთელ ფართობზე — როგორც კამერაში, ასევე დრომოსში. ინვენტარიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს თავებგახსნილი სამაჯური, ბრინჯაოსვე წვრილი მავთულის რგოლი და რკინის ხელშუბისა თუ ისრის პირი. როგორც ჩანს, ყორღანი არა ერთგზის იყო გამოყენებული. ტიპიურ თრიალეთურ კერამიკასთან ერთად ყორღანის წმენდის დროს ამოდიოდა ფეოდალური ხანის კერამიკის ფრაგმენტებიც. მესხეთის ყორღანების უმრავლესობაში ჩვენ დავამოწმეთ ქვის დაბალი ფიალები. „ჰოკუაანთ კოჟრის" ყორღან № 1-ში აღმოჩნდა მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან ტლანქად ნაძერწი თიხის ჯამი, რომელიც აშკარად ქვის ფიალების იმიტაციას წარმოადგენს და როგორც ჩანს, სამარხში მას ენაცვლება. კამერის ცენტრალური ნაწილის წმენდის დროს აღმოჩნდა ხის ძლიერ დაშლილი ნაშთი, ბრინჯაოს ორი ფირფიტა, ბრინჯაოსვე მანჭვალი და ანთიმონის (?) რაღაც ნივთი, რომელსაც, ეტყობა, გამოსახულება ამკობდა და უკანა მხარეს ჰქონდა დასამაგრებელი შვერილი. ტიხარისა და კამერის სამხრეთ კედლის კუთხეში ფიქსირებულ იქნა საქონლის ძვლები. კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჭურჭლის ნატეხების გროვაში, ვიპოვენთ მოწითალო სარდიონის პატარა, მრგვალი მძივი. აქვე აღმოჩნდა ანთიმონის შუაზე გატეხილი მძივი. ტიხარისა და კამერის ჩრდილოეთ კედლის კუთხეში ამოვიდა პასტის ფიგურული, ექვს ნაწილად დაღარული მძივი და სარდიონის პატარა მძივი.

„ჰოკუაანთ კოჟრის" ყორღანი № 2 დიდი ზომისაა. მას, როგორც აღვნიშნეთ, ფუძეზე ქვებისგან შემდგარი წრიული სარტყელი შემოუყვება. ყორღანის ცენტრში 8-იანის მოყვანილობის ქვა-ღორღისაგან შემდგარი დაბალი ყრილია, მიმართული აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ (ტაბ. $X_2$).

ყორღანის დრომოსისა და კამერის კედლები წინასწარ ამოღებულ ორმო-

შია ამოყვანილი. შესასვლელი დატანებული აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთით, და დაცილებულია სარტყლის ქვებს 11 მეტრით. იგი წარმოადგენს საფეხურიან ტალანს, რომელიც აგრეთვე საფეხურით გადადის კამერაში.

კამერა მთლიანად ორმოშია ამოყვანილი და ნაგებია მეტად დიდი ქვის ლოდებით. კედლების წყობა 5—7 რიგისგან შედგება. ჩრდილოეთ კედლის სიგრძე —5,90 მ-ია, სიმაღლე — 3,30 მ; სამხრეთ კედლის სიგრძე —6 მ, სიმაღლე —3,10 მ; დასავლეთ კედლის სიგრძე —2,15 მ, სიმაღლე —3 მ. კამერა ამოვსებული იყო მიწითა და ქვის დიდი ლოდებით. სახურავიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ ერთი ქვა. ყორღანი გაძარცვული აღმოჩნდა. კერამიკა მიმოფანტული იყო კამერის მთელ ფართობზე. დასავლეთ კედელთან 2,30 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ადამიანის მთლიანი ჩონჩხი, რომელსაც თან არაფერი ახლდა. ამავე დონეზე ტიხართან და ცენტრალურ ნაწილში ამოვიდა ფეოდალური ხანის ჭურჭლისა და სადღვებელის ნატეხები. როგორც ჩანს, ყორღანი № 2-იც ფეოდალურ ხანაში გამოყენებული იყო სამარხად.

კამერის იატაკზე ფიქსირებულ იქნა ორად გატეხილი ქვის ჯამი, მკვეთრად გამოყვანილი ქუსლით და თრიალეთური ტიპის შავპრიალა ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი (ტაბ. XI-4). იქვე აღმოჩნდა თხის თავის ქალა, მსხვილფეხა საქონლის ძვლები და გაურკვეველი დანიშნულების თიხის ნავისებური ნივთი.

1977 წელს ექსპედიციამ მუშაობა გააგრძელა ჯავახეთის პლატოზე. ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია რა დროიდან ხდებოდა ოკამის გორის დასახლება, რომელსაც, ასე ვთქვათ, გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ჯავახეთის პლატოს დასავლეთ ნაწილში, და დაგვედგინა თუ რა ხანიდან იგება აქ საფორტიფიკაციო სისტემა (ტაბ. IX-2).

გორაზე გავავლეთ რამდენიმე სადაზვერვო თხრილი და გავწმინდეთ ზღუდე. გაირკვა, რომ გორას გარს ევლებოდა ქვის მშრალი წყობით ნაგები გალავანი, რომელიც ზუსტად იმეორებს ბორცვის კონფიგურაციას. ზღუდეს სიმტკიცისათვის დატანებული აქვს შვიდი კონტრფორსი თუ ბურჯი. განსაკუთრებით უზრუნიათ გორის ადვილად მისადგომი ნაწილის გამაგრებისთვის. ამ ნაწილში კედლების ჩვენამდე შემორჩენილი სიმაღლე ორ მეტრს აღწევს. ოკამის გორის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი კლდოვანია, რაც გამოუყენებიათ კიდევაც გამაგრებისთვის და იგი ჩართულია გალავნის კედელში. გალავანი დიდი ზომის ქვებითაა ნაგები, ისე, რომ იგი ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს. კედლის სისქე 3 მ-დან 5,5 მ-მდე მერყეობს, ნაპირები ამოყვანილია ქვის ლოდებით, შუა ნაწილი კი, შევსებულია ღორღით. კონტრფორსები კედელს სცილდება 1,60—1,80 მ-ით. მათი სიგანე ზოგ შემთხვევაში 5,70 მ-ს აღწევს. გორის სამხრეთ-დასვალეთ ნაწილში, იქ, სადაც ბუნებრივი გამაგრება მთავრდება, როგორც ჩანს, გაჭრილი იყო კარი. შესასვლელი დასაწყისში 3,20 მ-ის სიგანისაა და ორი ქვისაგან შედგენილი საფეხურით გადადის გალავნის ძირზე, სადაც სიგანე 2 მ-ია და კიდევ ერთი საფეხური ჩანს. აქედან ციხეში ქვების თითო რიგით ამოშენებული 1,70 მ-ის სიგანის გზა მიემართება (სურ. 1).

გორის ცენტრში გავავლეთ 8×4 მ თხრილი. თხრილს შუაზე ჰყოფს 0,5 მ სიგანის აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმართული უღელი. თხრილში ფიქსირებულ იქნა სამი საამშენებლო ჰორიზონტი, რომლის უძველესი, ქვედა

ფენა, აქ აღმოჩენილი წითლად გაპრიალებული და შავლაკიანი ჭურჭლების ნატეხებით, ელინისტური ხანით უნდა დათარიღდეს. სამხრეთ კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ნაცრით და მიწით ამოვსებული ყამირში ჩაჭრილი ორმო. ორმოდან ამოვიდა წითლად და შავად გაპრიალებული თიხის ჭურჭლის ნატეხები და დამწვარი ძვლები. ორმოს სამხრეთი კედელი სამი დიდი ქვით იყო აშენებული. კედლის თავზე აღმოჩნდა თიხის შავპრიალა ჭურჭლის ნატეხი ხარის გამოსახულებით. აქვე აღმოჩნდა წითლად გაპრიალებული ჭურჭლის ნატეხი და გახვრეტილი ფალანგა. მეორე ასეთი ფალანგა ამოყვა ამავე ადგილიდან ამონაყარ მიწას.

თხრილის ამავე კვადრატში, აღმოსავლეთ კედელთან 2,15 მ-ის სიღრმეზე, დიდი ქვის ლოდის ქვეშ აღმოჩნდა სამარხი. იგი დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ჩრდილო-დასავლეთით, ოვალური მოყვანილობისაა. კედლები შედგენილია პატარა და საშუალო ზომის ქვებით. მიცვალებული ესვენა ძლიერ მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სამარხის ზომებია: სიგრძე — 1,20 მ, სიგანე — 0,55 მ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დიდი ქვა სამარხის სახურავი უნდა ყოფილიყო. იგი მომრგალებულია — დიამეტრი 1 მ, სისქე — 0,40 მ. სამარხშიც და მის გარშემოც შეინიშნებოდა ცეცხლის კვალი. მიცვალებულის ფეხებთან პატარა, ნაცრით სავსე ორმო იყო ჩაჭრილი. სამარხში ნაპოვნი იქნა თიხის ელინისტური იერის ჭურჭლის ნატეხები.

გარდა გათხრითი სამუშაოებისა ექსპედიცია აწარმოებდა ფართო მასშტაბით დაზვერვებს. მიუხედავად ბეჯითი ძიებისა ჯავახეთის პლატოზე ახალქალაქის რაიონში ყორღანული სამარხები ვერ დავამოწმეთ. როგორც ჩანს, ახალქალაქის პლატო, ისე როგორც შიდა ქართლის ვაკე, ინტენსიურად მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანაშია დასახლებული. პლატოზე თითქმის ყველგან იკრიბება მტკვარ-არაქსის კულტურის იერის ჭურჭლის ნატეხები. შემდგომ აქ ცხოვრება ნელდება და იგი შედარებით თხლად არის დასახლებული. ელინისტურ და შეიძლება უფრო ადრეც — ადრეანტიკურ ხანაში აქ ჩნდება ქალაქური ტიპის დასახლებები, გამაგრებული შიდა ციხეებით, რისი ერთ-ერთი მაგალითი ოკამის გორა და მისი შემოგარენი უნდა იყოს.

О. М. ДЖАПАРИДЗЕ, Я. А. КИКВИДЗЕ, Г. Б. АВАЛИШВИЛИ, А. Т. ЦЕРЕТЕЛИ

## ОТЧЕТ РАБОТЫ МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1976—1977 гг.

### Резюме

(Табл. IX—XI)

В 1976—1977 годах экспедиция Тбилисского государственного университета и Государственного музея Грузии продолжала археологические исследования в Месхет-Джавахети, где в 1970 г. экспедицией был выявлен новый мощный очаг триалетской культуры (первая половина II тысячелетия до н. э.).

В 1976 г. продолжались раскопки в долине Ниала. На территории Думейла раскопан курган № 2 с большой каменной насыпью, окай-

мленный кругом из больших камней. Камера имела овальную форму и этим отличалась от камер других курганов Месхети, а также короткий дромос, который ступенькой переходил в камеру. В камере в большом количестве обнаружены глиняные сосуды больших и малых размеров, чернолощенные, с точечным, резным и рельефным орнаментом, с выпуклыми шишками. Есть посуда красноватого и желтого обжига, лощенная. Найдены также четыре бронзовые иглы, фрагмент золотой бусины, маленькая каменная чаша. В большом количестве встречались кости мелкого и крупного рогатого скота (табл. $IX_1$, $XI_{1-3}$; рис. 1).

В 800 м к востоку от Думейла, в местечке Хокуаант Кожори вскрыты два больших кургана. Курган № 1 представлял собой большую каменную насыпь, в центре имеющую впадину, в которой была видна часть западной стены камеры. Камера и дромос образовывали один длинный коридор, разделенный перегородкой из рваного камня. Камера не была перекрыта и, к сожалению оказалась разграбленной. В ней обнаружены: фрагменты керамики характерных для месхетских курганов форм и орнаментации, а также две сердоликовые бусины и несколько пастовых бусин. Курган № 2 находился в 15 метрах от кургана № 1 и имел низкую каменно-землянную насыпь, окаймленную кругом стеной из крупных каменных глыб. Стены дромоса и камеры возведены в специально вырытой яме из крупных камней, насухо. От перекрытия остался лишь один огромный плоский камень, лежавший на месте перехода дромоса в камеру. Дромос представлял собой ступенчатый коридор, который упирался в перегородку у входа в камеру. Курган был ограблен; по всей площади разбросаны фрагменты чернолощеной керамики; здесь же обнаружены две половины каменной чаши с хорошо выделенной подставкой и глиняный предмет с ручкой, неопределенного назначения. В камере найдены кости крупного рогатого скота и фрагменты черепа и нижних челюстей человека. Судя по ним, в камере были захоронены по крайней мере три человека (табл. $X_{1,2}$; $XI_4$).

В 1977 году экспедиция начала исследование древней крепости— Окамисгора, расположенной на Джавахетском плато, между с.с. Оками и Гогашени.

Еще в 1974 году исследуя каменные насыпи на данной территории, были выявлены каменные постройки, которые по сопутствующему материалу (краснолощенная керамика) можно было датировать второй половиной I тысячелетия до н. э. Наряду с этим было обнаружено большое количество керамики куро-аракского типа. По-видимому, эта территория густо была населена еще в III тысячелетии до н. э., а в эллинистическую эпоху здесь появляется большое поселение городского типа. Исследуемую в отчетном году крепость, которая господствует над окружающей территорией, можно считать цитаделью этого поселения. Крепость представляет собой площадь, огражденную стеной, возведенной из больших каменных глыб сухой кладкой. Внутренняя площадь крепости составляет 56 м×28 м. В центре крепости был проведен контрольный шурф (8м×4 м). Выявлены три строительных горизонта. Древнейший из них датируется эллинистическим временем (фрагменты краснолощеной и чернолаковой импортной керамики (Рис. 2; табл. $IX_2$).

Как видно, крепость возведена в эллинистическую эпоху на поселении куро-аракской культуры и функционировала, также, в феодальную эпоху.

Э. М. ГОГАДЗЕ, Л. Н. ПАНЦХАВА, М. В. ДАРИСПАНАШВИЛИ, И. Д. КОРИДЗЕ

# РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ НОСИРИ-МУХУРЧСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1976—77 гг.

(табл. XII—XV)

Основные раскопочные работы в отчетном периоде экспедиция[1] производила на трех объектах: 1. На могильнике эпохи поздней бронзы — раннего железа, расположенном в 1 км к сев.-зап. от сел. Мухурча Гегечкорского р-на (рис. 1; табл. XII); 2. На жилом холме




Рис. 1. План раскопок Мухурчскоог могильника.

[1] В экспедиции принимали участие сотрудники отдела археологии Гос. Музея Грузии: Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н., Дариспанашвили М. В. (1976г.), Коридзе И. Д. (1977 г.), Коридзе М. Д., Абрамишвили М. Р., сотрудник отдела культуры Цхакаевского райисполкома Циргвава В. В. (1977 г.); житель села Мухурча Почхуа Н. Э. (в качестве художника — архитектора); водители автомашины Гагуа Дж. (из Гегечкорского АТК, 1976 г.), Квирикашвили И. (из ГМГ, 1977 г.), Адамия Дж., Дудучава М. (из Цхакаевского АТО, 1977 г.).

бронзовой эпохи — Кекелури Зуга, расположенном на зап. окраине того же селения (табл. XII, 4; XIII, 1); 3. На жилом холме сел. Второй Носири (бывш. Третий Носири) Цхакаевского района (рис. 2—3; табл. XIII₂₋₃). Разведочные работы небольших масштабов были проведены на горе Ломури в сел. Хорши Цхакаевского р-на, где были обследованы остатки поселения и нескольких погребений античной эпохи.

Мухурчский могильник. В 1976 г. раскопки могильника были завершены. Посредством разных раскопов и шурфов была детально обследована нераскопанная часть могильника. В этих целях был использован также небольшой канал (по направлению SW—NO), прорытый в южной половине территории могильника незадолго до приезда экспедиции. По обеим сторонам этого канала были заложены новые раскопы — № 12 и № 13 (табл. XII, 1—2), примерно совпадающие с квадратами ЕВ 23—25, 33—35, 43—45, 53—55; ЕС 21—22, 31—32, 41 (раскоп № 12); ЕВ 55 (угол SO), ЕС 51—52, 61 (раскоп № 13). Вещественный материал преимущественно обнаруживался в желтой глине, черноватой земле или же в их смеси. На глубине 0,7—0,9 м обычно начинался коричневый глинистый грунт. В общем-то площадка эта несколько возвышалась над окружающей местностью.

В раскопе № 12 были обнаружены малые обломки сожженных костей покойников, фрагменты разной керамики, обломки железных ножей и бронзового предмета, сердоликовая и фаянсовая бусины, половина большой бусины из белого мрамора или известняка (табл. XIV, 1—3). Этот материал слишком малочисленен, но определить его вполне возможно: типологически мы его отнесли к материалам «верхней погребальной площадки»[2], а хронологически определили поздним периодом могильника — VII—VI вв. до н. э. Место упомянутого раскопа возможно являлось продолжением «верхней погребальной площадки». Здесь происходили захоронения остатков кремации вместе с сопровождающим инвентарем. Однако создается впечатление, что погребальный слой когда-то подвергся разрушению, а основной части погребального инвентаря на месте не осталось. Возможно, что здесь же совершалась кремация. Менее вероятно, что эта площадка предназначалась только для кремации.

Старый раскоп № 2, в сев. части территории могильника, был расширен к югу (южн. часть квадратов BD 22—23—24 и кв-ты BD 32—33, 34) и немного к востоку (табл. XII, 3). Верхний уровень здесь глубиной 0,2—0,8 м от поверхности земли, представлял желтоватую, частью красноватую (от действия огня), глину (ниже с примесью черноватой земли), содержавшую фрагменты краснообожженной или коричневатой керамики, принадлежавшие к коллективному погребению № 1 с кремацией (раскопки 1974 г.). Оно приблизительно синхронно «верхней погребальной площадке». Расположение керамики указывало на сравнительно большие размеры погребения.

В той же южной части раскопа, на глубине 0,8—1,5 м, в черно-серой глинистой земле, была выявлена часть (продолжение) нижнего, ингумационного погребения № 2, также коллективного. Кости из этого погребения большей частью были плохой сохранности. При углублении же дна погребения, в центральной части старого раскопа, обнаружились сердоликовые бусы и пара бронзовых подвесок с ладье-

---

[2] Отчет предыдущих лет, см. Археологические экспедиции ГМГ, V, Тбилиси, 1977.

видными концами (табл. XIV, 4—5). В погребении найдены также фрагменты керамики — преимущественно от черных и сероватых малых сосудов, иногда со слабо обозначенными узкими вертикальными каннелюрами на поверхности, типа керамики IV культ. слоя Носирского холма, или же дериватного вида той же керамики (табл. XIV, 9—10).

Этот последний вид керамики, выявленный лишь в нижнем из двух стратифицированных коллективных погребений раскопа № 2, подтверждает возможность предполагаемого нами хронологического расчленения комплексов Мухурчского могильника. Наиболее ранние из них (коллективные погребения: № 2 и, в южн. части могильника, № 3) хронологически приближаются к позднейшему IV слою Носирского холма или же частично совпадают с ним. Комплексы последующих ступеней из того же могильника, на основании многочисленных параллелей, довольно прочно определяются по абсолютной хронологии. Это материалы «нижней погребальной площадки», отнесенные, в общем, к VIII—VII вв. до н. э., и «верхней погребальной» площадки, определенные концом VII — началом VI вв. до н. э. Следовательно, упомянутые ранние мухурчские комплексы можно датировать концом IX—началом VIII в., а IV слой Носирского холма — X — IX вв. до н. э. Последней дате не противоречат новейшие данные, полученные из раскопок в Носири (см. ниже).

В 1976 г. на Мухурчском могильнике были еще раскопаны небольшие участки на сев. краю «верхней» и «нижней» погребальных площадок, давшие редкие находки отдельных предметов. Изучение могильника было закончено прорытием 11-ти шурфов, сосредоточенных на необследованных участках территории могильника. Никаких остатков погребального слоя в этих шурфах обнаружено не было.

Кекелури Зуга. Здесь раскопки производились в сев.-зап. секторе холма (кв. НН), (табл. $XII_4$, $XIII_1$). Всю намеченную площадь мы старались раскапывать приблизительно равномерным снятием земли. Правда, не всегда удавалось сделать это. Однако полученные малые разрезы использовались для соответствующей стратиграфической фиксации.

На всей раскапываемой площади был достигнут слой желтоватой глины, который по нашему предположению, должен представлять собой большую глинистую укладку, наподобие той, которая известна нам из Носирского холма. Близ центра холма этот слой лежит на очень незначительной глубине. Нами он в основном не был затронут, так как в первую очередь нас интересовало выяснение внешнего, поверхностного слоя. Поверх глинистой укладки, почти везде, лежал культурный слой с мощными глинобитными (краснопережженными) и древесными (обугленными) остатками стен, сгоревших от пожарища, или же с землей, содержащей частицы пережженной обмазки и угля. Помимо террасообразного расположения культурных напластований и строений, заметна также сосредоточенность крупных построек около южной части исследуемого сектора, а наиболее мощных сгоревших остатков— в восточной части разведочной траншеи, прорытой на холме в 1974 г. (табл. XII, 4). В других местах возможно предположить и существование малых помещений диаметром в 2—3 м., на что указывают сделанные в глинистом основании углубления в виде неглубоких «блюдцевидных» ям, заполненных остатками культ. слоя, иногда с пережженной обмазкой и углем (табл. $XIII_1$). Стены их могли представлять прутковый плетень с глиняной обмазкой.

Интересно, что эти полуземляночные постройки бронзовой эпохи, судя по аналогичным остаткам, совпадают по своему характеру с типом помещений античного поселения, расположенного тут же рядом с холмом на территории плантажа. Однако, нижней своей частью, те античные строения погружались в грунтовую глину. Можно отметить и то обстоятельство, что для обоих этих поселений характерно применение сходного состава каменных хозяйственных приспособлений (зернотерок, ступок, круглых плоских камней, вкладышей и т. д.). При этом, прямых генетических связей по керамике мы не замечаем, — возможно и потому, что эти памятники разделяет сравнительно большой промежуток времени; упомянутый слой холма Кекелури Зуга содержит керамические виды, наиболее характерные для II и отчасти III слоев Носирского холма (весь этот материал очень разнообразен и уточнение его классификации требует дальнейшей работы). Присутствие же керамики, соответствующей керамике IV (позднейшего) культурного слоя Носирского холма, на Кекелури Зуга пока что не замечалось[3].

Носирский холм. В 1976 г. здесь было заложено 4 раскопа: раскоп № 1(А) — в сев. части холма, в продолжение большого четырехугольного котлована на сев. сторону, более суженно (с разнообразным охватом квадратов: GD 38—39—30; 48—49—40; GE 31—32; 41—42) (рис. 2, 1; табл. XIII,2); раскоп № 2—в центральной части холма, в продолжение большого котлована на южную сторону, в сев.-зап. части большой желтоглинистой укладки (с разным охватом кв-ов; HD 18—19—10; 28—39—20; HE 11—12 (по ниж. уровню) (рис. 2, 2); раскоп № 3 — в южн. части холма, у южн. конца траншеи N—S, с западной ее сторны (разной площадью кв-ты: HE 91—92; 0,1; JE 11, 12) (рис. 2, 3); раскоп № 4—в сев. части холма, на соединении вост. части раскопа № 1 и большого четырехугольного котлована частью в нижнем, нераскопанном уровне последнего (разн. площ. кв-ты: GD 40—50; GE 41, 51), (рис. 2, 4).

Весь сезон полевых работ 1977 года (9.VIII—25.XI) был отведен раскопам Носирского холма. Продолжительные дожди вызвали затруднения в работе и вынудили продлить предусмотренные по плану сроки ее выполнения. Ввиду сложности памятника и большой трудоемкости работы (завершение работ здесь было предусмотрено еще в предыдущем году), для раскопок были выделены дополнительные средства.

В 1977 году на Носирском холме был расширен раскоп № 1 (участки В и С; — разной площадью кв-ты: GD 28—29, 20; 38—39—

---

[3] Более уверенно можно говорить об определенных генетических связях керамики упомянутого поселения раннеантичной эпохи с колхидской керамической продукцией типа IV слоя Носирского холма. Оба эти горизонта изобилуют керамикой с каннелюрным декором. В античном слое присутствуют и некоторые образцы ушек с роговидными выступами (налепными), фрагменты сосудов с широкой раструбной горловиной, гребенчатым штампом и т. д. Однако вся эта античная группа керамики характеризуется совершенно иной фактурой, иными признаками техники изготовления, обжига и т. д. Вертикальные каннелюры, в отличие от ранних образцов, получены здесь посредством ребристых налепных полосок, а не путем полосовой пластической обработки (вгибания) стенки сосуда. Но в отличие от более поздней (напр. эллинистической) керамики, внешне этот декор все еще сохраняет вид каннелюр, а не отчетливых налепных полосок (в свою очередь исходящих из позднейшего каннелюрного украшения).




Рис. 2. Генплан раскопок Носирского холма. 1—5—раскопы №№ 1—5; O—W 1, O—W 2—соответствующие траншеи; N—SA, N—SB, N—SC — соответствующие траншеи

30; GE 12; 21—22; 31—32) (рис. 2, 1); была расширена и частично углублена траншея O—W1 (транш. O—W, начатая в 1970 г.), находящаяся в зап. части холма (рис. 2). В вост. части холма были заложены новые раскопы — № 5 (прибл. кв-ты: GF 81—82; 91—92; 01) (рис. 2—3); и траншея O—W 2 (прибл. кв-ты: GE 80; 97—98—99—90; 05—06—07—08—09—00; HE 15—16—17) (рис. 2—3), которые в конечном счете были соединены друг с другом (рис. 2—3).

Основные результаты раскопок, произведенных на Носирском холме за отчетные годы, следующие:

Статиграфическое изучение холма дало ряд новых фактов. Прежде всего следует отметить, что на периферях холма была установлена бо́льшая расчлененность и мощность I—III культурных слоев (раскопы № 1 и № 5), чем это было нам известно до того времени (раньше об этом можно было предположить лишь по небольшому узкому участку в южном конце траншеи N—SA, достигавшему тогда наибольшей глубины). Мощность нижних (I—II) культурных слоев достигает здесь большей частью 1,5—2 м. В наиболее глубокой части раскопа № 1 выделяются, по крайней мере, по два подслоя I—II культурных слоев и в общем раскопе № 1 — три подслоя III слоя.

В первую очередь основанием такого выделения является стратифицированное залегание брусчатых кладок, тонких прослоек обугленных остатков растительного настила, разных обломков пережженных глиняных обмазок и структурная разность культурных наслоений. Однако у нас не везде беспрерывно представлены такие данные (напр. в тех же раскопах — № 1, № 5 и O—W2); кроме того, не исключена возможность еще большего стратиграфического расчленения в определенной своей части какого-нибудь слоя. Попытка выяснения этих вопросов в определенной мере может опереться в будущем на детальное типологическое изучение вещественного материала (керамики) и анализ других добытых остатков.

Устанавливается, что в центральной части холма, где находятся большая глинистая укладка и обрубочная субструкция и где поверхность грунта залегает на глубине 3—3,2 м от нулевого уровня, т. е. прибл. от вершины холма, в древнее время была естественная возвышенность, откуда по всем направлениям к периферням шло постепенное понижение. Культурные слои тоже наклонны по всем направлениям, местами довольно резко. Низ I культурного слоя, который везде лежит на глинистом грунте (иногда над прослойкой растительного настила или же уложенных в один слой мелких речных камней), в этих периферийных частях находится на большой глубине — 4,1—4,15 м от нуля в наиболее глубоком участке раскопа № 1 (в вост. его части) и на 4,5 м в наиболее глубокой южной полосе раскопа № 5.

В раскопе № 2, заложенном в центральной части холма и частично углубленном до грунта (1976—77 гг.) (рис. 2), также и в новом раскопе в сев. части траншеи N—SB (1977 г.) (рис. 2) были выяснены стратиграфия и структура сев.-зап. части большой глинистой укладки и существующей под ней брусчато-бревенчатых кладок, а также стратиграфия культурных слоев, лежащих над глинистой укладкой (наклонно к зап. краю) и за ее пределами до грунта. Стало ясно, что, внутри брусчато-бревенчатой субструкции, под глинистой укладкой, также отсутствует культурный слой. Аналогичный факт устанавливается в зап. части траншеи O—W2 (1977 г.), где была выявлена обрубочная кладка, ориентированная по направлению N—S (удалось отпрепарировать — ее небольшой отрезок); по-видимому, это — часть общей четырехугольной субструкции, ближайшая от ее сев.-вост. угла (рис. 2—3). Поскольку нам уже известен также один отрезок южной стенки упомянутой постройки (в средней части траншеи N—SA, 1972 г.), прибл. ориентированный по O—W, уже возможно составить общий план этой центральной постройки с частичной реконструкцией (рис. 2).

Основной вывод о цетнральной части Носирского холма, к которому мы сейчас приходим, заключается в том, что большая глинистая укладка (по крайней мере, нижняя ее часть) и лежащее под ней брусчато-бревенчатое строение обрубочной кладки предназначались не для поселения периода II культурного слоя, как это мы предполагали ранее, а для первоначального поселения (периода I культ. слоя). Пока что, этим мы можем объяснить тот факт, что под глинистой укладкой и внутри деревянной постройки не найдено никаких остатков культурного слоя, или же какого-либо отдельного предмета. Вся эта система, вместе с подстилающим ее компактным растительным настилом (из ветвей и листьев), опирается на древний грунт. При этом, повсюду, где мы производили раскопки близ этого цент-

рального сооружения или в некоторой отдаленности от него, было установлено существование нижнего (I) культурного слоя холма, во всяком случае, более древнего наслоения (скажем, слоя II A или I B), чем II слой (со следами пожарища), зафиксированный нами поверх большой глинистой укладки (на это указывает керамический материал). Однако отсутствие I культурного слоя над глинистой укладкой требует объяснений (здесь были встречены лишь редкие единичные фрагменты, похожие на типичную керамику I слоя). Можно предположить, что в свое время этот слой здесь имел незначительную мощность и глинистая укладка, в основном, использовалась для террасообразно расположенного обиталища (подобное явление как будто лучше замечается на Кекелури Зуга, где на вершине глинистой укладки в центре холма отсутствует культурное наслоение); или же, впоследствии (в начале поселения II культурного слоя), может быть, он был снесен. Возможно также, что первоначальную, более низкую укладку позднее повысили, а для ее упрочения полностью удалили рыхлое, лишенное вязкости напластование. Быть может следовало бы также считать признаком возрастного различия между отдельными уровнями глинистой укладки кое-где замеченную между ними разность, напр. в зап. части южного разреза траншей O—W2, где в среднем, приблизительно, уровне желтоглинистой укладки широкой полосой выделяется коричневатая глина (рис. 3). Но, разумеется, все эти предположения предварительны и при выводах требуют большой осторожности.

Ввиду больших затруднений в работе, не удалось углубить раскоп № 3, заложенный в южной части холма (рис. 2—3). Со стороны траншей N—S A и B этот раскоп открыт и продолжение здесь работы требовало полную расчистку и осушение этих траншей. Поэтому, в этой части холма мы удовлетворились тем вертикальным разрезом, который был получен в 1973 г. наибольшим углублением небольшого участка.

Также не удалось довести до грунта глубокий раскоп траншеи O—W1, хотя в этой траншее мы в общем выяснили расположение (в частности резкий наклон к периферии), структуру и мощность II и IV культурных слоев (рис. 2). И в этой траншее, судя по общим данным памятника, следует предположить наличие I культурного слоя.

Возможность максимального углубления имелась лишь на определенных, узких участках раскопов, которые, при этом, быстро наполнялись просачивающейся из нераскопанной земли водой. Этому во многом содействовали выкиды земли, лежащие толстым слоем на нераскопанной площади, пропитанные дождевой водой. Выносить же эту землю с территории холма, не было никакой возможности, так как свободной и доступной площади поблизости не было. Большие скопления земли определили и направление некоторых раскопов, напр., траншеи O—W2, которая имеет направление не точно по O—W. В той же траншее, а также в раскопе № 5, работы чрезвычайно усложнились ввиду неоднократной завалки верхней насыпной земли. С другой стороны, большого количества земли вполне хватило для окончательной консервации памятника путем засыпки раскопов до края этой землей.

Среди вещественных материалов, добытых на Носирском холме за отчетные годы, новыми являются: большой толстостенный черно-




Рис. 3. Вертикальный разрез южной части раскопа № 5 и траншеи O — W 2

лощеный сосуд (фрагментированный) с толстым граненым венчиком (табл. XV, 11), стебли и корень виноградной лозы из нижнего (I) культурного слоя; обломки обожженной глиняной обмазки с отпечатками толстого бревна или плетневых прутков из II слоя с пожарищем; бронзовые: плоский топор и сферическая бусина из III слоя (табл. XV, 13 — топор). Эти бронзовые предметы, в особенности топор, подкрепляют абсолютную хронологию, принятую для культурных слоев Носирского поселения. Сходная форма топора известна из цихисдзирского клада позднебронзовой эпохи, датированного XII—XI вв. до н. э. (Д. Л. Коридзе)[3]. Носирский топор принадлежит к самому верхнему горизонту III культурного слоя холма и думается, что позволяет нам предположить возраст этого слоя в пределах второй половины II тысячелетия до н. э. Вообще, все бронзовые предметы, найденные в Носири (фрагменты кинжала, резец и др.) происходят из упомянутого слоя. В отличие от него, I—II культурные слои сравнительно изобилуют каменными орудиями и др. предметами. Следовательно, датировка этих слоев первой половиной (хотя бы второй четвертью) и серединой того же тысячелетия, если мы учтем и значительную общую мощность и расчлененность этих слоев, предположительно должна быть допустимой.

В результате разведок 1977 г., произведенных экспедицией на горе Ломури в сел. Хорши, было установлено, что здесь существовало древнее поселение, разрушенное гравийным карьером. Основной культ. слой должен относиться к раннеантичному периоду. На месте карьера было обнаружено большое количество соответствующей керамики (большая часть пережженная). Должны были быть и более ранние слои, встречались фрагменты типа керамики жилых холмов бронзовой эпохи, в том числе фрагменты чернолощеных сосудов с желобчатым орнаментом. Несколько мест, незатронутых карьером, были обследованы нашими раскопками. На южной стороне было замечено наличие культурных слоев, на сев. стороне, у самого края карьера (у вершины горы) — погребения раннефеодальной эпохи (возможно, сравнительно поздних), содержащие по одному или два небольших сосуда.

---

[3] Д. Л. Коридзе, Вопросы взаимоотношения колхидско-кобанской и восточногрузинской культур, табл. II, 41 (на груз. яз. рукопись. Отдел археологии ГМГ). Публикацию клада см. также. у Б. А. Куфтина —«Материалы к археологии Колхиды», II, Тб., 1949, рис. 43, 3.

ი. გაგოშიძე

# დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის 1976—77 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში

(ტაბ. XVI—XVII)

შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია 1976—77 წლებში აგრძელებდა დედოფლის მინდორზე გამოვლენილი წარმართული სატაძრო კომპლექსის სტაციონარულ არქეოლოგიურ გათხრებს, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ტემენოსის ნაგებობათა გეგმის მეთოდური გამოვლენა*.

საანგარიშო წლებში ექსპედიცია ძირითადად მუშაობდა ტემენოსის ჩრდილო-აღმოსავლეთ მეოთხედში, მცირე ტაძრის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მცირე ტაძრის აღმოსავლეთით გაითხარა კედლებით ოთხმხრივ შემოზღუდული სამი ერთნაირი ყრუ ეზო, თითოეული სიგრძით 30 მ, ხოლო სიგანით 15 მ. ეზოების ამ სისტემას აღმოსავლეთიდან საზღვრავს ტემენოსის გარეთა კედელი, დასავლეთით — მცირე ტაძარი, სამხრეთით — ტემენოსის შიდა ეზო, ხოლო ჩრდილოეთით ფართო, 3,5 მ სიგანის გასასვლელი ქუჩა.

ქუჩის ჩრდილოეთით გაითხარა ნაგებობათა სამი სავსებით ერთნაირი კომპლექსი, რომლებიც ერთმანეთისაგან კედლებითაა გამოყოფილი. თითოეული კომპლექსი თავისთავად შედგება თითო შენობისა და მის წინ და უკან მოქცეული ეზოებისაგან, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება შენობის აღმოსავლეთით დატოვებული წვრილი კენჭით მოკირწყლული ვიწრო (2,2 მმ სიგანის) გასასვლელით. თითოეული შენობა შეიცავს თითო კვადრატულ ოთახს, ზომით 9×9 კვ. მ, მის დასავლეთით მოქცეულ ვიწრო, დერეფნისებურ სათავსოს, ზომით 9×9 კვ. მ, და მთელი შენობის სიგანეზე, სამხრეთისაკენ გახსნილ ვრცელ სვეტებიან პორტიკს, ზომით 11×6 კვ. მ.

კომპლექსების უკანა ეზოები ერთმანეთს უკავშირდება საკმაოდ ფართო (2 მ სიგანის) და კრამიტით დახურული ჭიშკრებით (სურ. 1).

შენობათა გეგმარება და მათი იზოლირება გვაფიქრებინებს, რომ აქაც ტაძრებთან უნდა გვქონდეს საქმე. სამწუხაროდ, შენობები გადარჩა მხოლოდ კედლების რიყის ქვის საძირკველთა დონეზე და იატაკებიც ყველგან დაზიანე-

* ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: უფროსი მეცნიერ თანამშრომლები, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნ. ჩუბინაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები მ. საგინაშვილი (ხელმძღვანელის მოადგილე), გ. ჯავახიშვილი, ი. გაგოშიძე (ხელმძღვანელი), უმცროსი მეცნიერ თანამშრომლები: თ. მორჩაძე, მ. მირიანაშვილი, რ. რამიშვილი, ბ. მჭედლიშვილ (1977 წ., რაზმის უფროსი), უფროსი ლაბორანტები მ. დარისპანაშვილი და გ. მახარაძე.




სურ. 1. დედოფლის მინდორი. ტემენოსზე გათხრილი ნაგებობების გენერალური გეგმა: 1. მთავარი ტაძარი; 2. აღმოსავლეთის კარიბჭე; 3. დასავლეთის კარიბჭე; 4. მცირე ტაძარი; 5. ნაგებობა ტემენოსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში; 6. ტაძრები ტემენოსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი.

ბული იყო სისტემატური ხვნის შედეგად. მაგრამ 1977 წლის საველე სეზონის ბოლოს ტემენოსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დაწყებულმა გათხრებმა გაარკვია, რომ აქაც ასეთივე სატაძრო კომპლექსებთან უნდა გვქონდეს საქმე. აქ კი იატაკები მიწის ზედაპირიდან უფრო ღრმადაა და, იმედია, უკეთაც იქნება დაცული.

ამრიგად, დედოფლის მინდვრის ტემენოსზე, მთავარი ტაძრის გარდა, უკვე გამოვლინდა ოთხი სატაძრო შენობა; რამდენადაც ტემენოსზე ნაგებობები მკაცრად სიმეტრიულადაა განლაგებული, მოსალოდნელია, რომ აქ კიდევ სამი, ე. ი. სულ შვიდი ტაძარი გაითხრება. ეს კი (მთავარი ტაძრის გარდა შვიდი ტაძრის არსებობა) საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ანტიკური ხანის იბერიის უმთავრეს ღვთაებათა მთელ პანთეონზე, კერძოდ კი იმ ღმერთებზე, რომელთაც თაყვანს სცემდა ქართლის სამეფო სახლი. მარტო ეს საკრალური რიცხვიც კი — შვიდი — საკმარისი იქნებოდა გველაპარაკნა იმაზე, რომ ქართლის მეფეთა საგვარეულო სარწმუნეობა რაღაცნაირად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ირანულ-მაზდეანურ რელიგიასთან, მაგრამ საამისოდ სხვა საბუთებიც არსებობს, რომელთა თაობაზეც ქვევით გვექნება საუბარი.

1977 წლის შემოდგომაზე ხეხილის ბაღების ჩასაყრელად ღრმად გადახნეს დედოფლის მინდორი ტემენოსის აღმოსავლეთით დამპალოს წყარომდე. გადახნული ტერიტორიის დაზვერვით გაირკვა, რომ მთელი ეს, თითქმის 30 ჰა ფართობი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში. მუზეუმის შუამდგომლობით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ამ ფართობზე დროებით შეჩერდა.

მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში გაიწმინდა და აღდგა დედოფლის მინდორზე წინა წლებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა. აღდგენილ ნივთებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ტემენოსის დასავლეთ კარიბჭეში ნაპოვნი მოხატული ორყურა ჭურჭლები, რომლებიც სამადლოური მოხატული კრატერების მოგვიანო რეპლიკებია (ტაბ. XVI). გეომეტრიული მოხატულობის გამარტივებული სახე ამ ჭურჭელს აახლოვებს გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანის მოხატულ კერამიკასთან, რომლის ტიპიური ნიმუშებიც, სხვათაშორის, მოპოვებულია დედოფლის მინდორზე 1972 წელს გათხრილ სამაროვანზეც. ტიპოლოგიურად ამავე ხანისა ჩანს მთავარი ტაძრის კარაპანში ნაპოვნი თიხის ჯამიც (ტაბ. XVII). ამრიგად, 1976—77 წლების გათხრებს დედოფლის მინდორზე წინა წლების მონაპოვრისაგან რაიმე პრინციპულად განსხვავებული არაფერი მოუცია. არ შეცვლილა ჩვენი ვარაუდიც დედოფლის მინდვრის ტაძრების აგების ხანაზეც — ძვ. წ. II—I სს. სავსებით ეთანხმება ამ თარიღს მთავარი ტაძრის დანახშირებული ძელის რადიოკარბონული ანალიზის შედეგებიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიაში ა. ბურჭულაძის ხელმძღვანელობით განისაზღვრა მათი ასაკი (ნიმუში თბ-93) 2220±40 წლით, ანუ ძვ. წ. 220±40 წ. თუ გავითვალისწინებთ, რომ კოჭები, საიდანაც ნიმუში ავიღეთ, თითქმის 60 სმ სისქის იყო, და მაშასადამე, ხეც მოჭრის მომენტში არანაკლებ 200 წლის იქნებოდა, ცხადი გახდება, რომ ზემოთ მოხსენიებული რადიონახშირბადული თარიღიც შეიძლება იყოს მხოლოდ ტაძრის მშენებლობის terminus ante quem non.

დედოფლის მინდორზე. 1972—75 წლებში ჩატარებული მუშაობის გა-
მოქვეყნებულ ანგარიშში[1] აღნიშნულია, რომ დედოფლის მინდვრის მთავარი
ტაძარი თავისი გეგმარებით გენეტიკურად უნდა უკავშირდებოდეს აქემენი-
დურ ტაძრებს. დედოფლის მინდვრის კაპიტელების დეკორის ყოველ ცალ-
კეულ ელემენტსაც შეიძლება მოეძებნოს შესატყვისი აქემენიდური ხელოვ-
ნებისათვის დამახასიათებელ ორნამენტთა შორის[2], ხოლო თავისი საერთო
ფორმითა და ორნამენტაციის სისტემით ისინი მოგვაგონებენ აქემენიდური
ხანის სუზისა და პერსეპოლისის ზარისებრ ბაზებს, თუ კი მათ გადაბრუნებუ-
ლად წარმოვიდგენთ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბაზებისაგან ჩვენი
სვეტისთავები პროპორციებითაც განსხვავდებიან (ისინი თვალსაჩინოდ უფრო
დამჯდარნი არიან), ხოლო აქემენიდურის მსგავსი ორნამენტული მოტივები
დედოფლის მინდვრის კაპიტელებზე სტილისტურად სხვაგვარადაა გადაწყვე-
ტილი და აქემენიდური ხელოვნებისათვის უცხო, თავისებური კომპოზიციებია
წარმოდგენილი, მაინც არ უნდა მოგვეჩვენოს მოულოდნელად, რომ დედოფ-
ლის მინდვრის სვეტისთავები შორეულ გენეტიკურ კავშირში იმყოფებიან აქე-
მენიდური ხანის ირანულ ზარისებრ ბაზებთან, რომლებიც აქ, ქართლში თა-
ვისებურად გააზრებული და გადასხვაფერებულია: ბაზა კაპიტელად იქცა,
შეიცვალა ორნამენტის კვეთის სტილი და მანერა, შეიცვალა ორნამენტის ცალ-
კეულ ელემენტთა ურთიერთშეხამებაც. დედოფლის მინდვრის კაპიტელებზე
წარმოდგენილი კომპოზიციები არ ახასიათებს აქემენიდურ ხელოვნებას, მაგ-
რამ ტიპიურია სასანური სასახლეების თაბაშირის ბათქაშზე ნაკვეთი რელიე-
ფებისათვის[3]. თუმცაღა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის მინდ-
ვრის ორნამენტი სტილისტურად მკვეთრად განსხვავდება სასანური რელიეფე-
ბისაგანაც.

სტილისტურად ბევრად უფრო ახლოა დედოფლის მინდვრის კაპიტელებ-
თან შიო მღვიმეში აღმოჩენილი და ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზე-
უმის ფონდებში დაცული ზარისებრი კაპიტელისა და კახეთის არქეოლოგიური
ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) მოპოვებული ზარისებრი ბა-
ზების ორნამენტაცია. აღნიშნული ძეგლები ქრონოლოგიურადაც უფრო ახ-
ლოს დგანან დედოფლის მინდორთან და თავის მხრივ, აგრეთვე, აქემენიდურ
პროტოტიპებს უკავშირდებიან. თუ ამას დავუმატებთ ნაქალაქარ სარკინის
გვიანელინისტური ხანის ფენაში ნაპოვნ სვეტისთავს (ა. ბოხოჩაძე), რომე-
ლიც თავისი ზოგადი ფორმით და პროპორციებით დედოფლის მინდვრის კაპი-
ტელების ანალოგიურია, თუმცა კი მოკლებულია კვეთილ დეკორს, შეგვიძლია
გაბედულად ვთქვათ, რომ დედოფლის მინდორზე მიკვლეული თვრამეტი კა-
პიტელი შემთხვევითი არაა საქართველოსათვის, და უკვე ახლავე შეიძლება ვი-

[1] ი. გაგოშიძე, წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე.
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V,
ს. ჯანაშიას სახელობის
თბ., 1977.

[2] ვარდულები და მათი რიგები, პალმეტები, გრეხილი სავსებით ჩვეულებრივია აქემენიდური
ტორევტიკის ძეგლებსა და მონუმენტურ სკულპტურაში. იხ. В. Г. Луконин, Искусство
Древнего Ирана, М., 1977; გვ. 85, მისივე, Искусство Ирана, Памятники мирового ис-
кусства, Искусство Древнего Востока, М., 1968, ტაბ. 287, 299, 306, 318, 319, 320.

[3] R. Ghirshman, Iran. Parthes et sassanides, Gallimard, 1962, ნახ. 229, 231;
A. U. Pope, A Survey of persian Art, I, გვ. 611, ნახ. 188; IV, ტაბ. 171, B, D; 178, E.
5. არქეოლოგიური ექსპედიციები, VI

ლაპარაკოთ გვიანელინისტური ხანის ქართლის სამეფოში საკუთარი ხელწერის მქონე ქვისმკვეთელთა ადგილობრივი სკოლის არსებობაზე.

ეს სკოლა შორეული ფესვებით უდავოდ დაკავშირებული იყო აქემენიდურ ხელოვნებასთან. შესაძლებელია, ირანული წარმომავლობის მოტივები იყო მისი შთაგონების წყარო. მაგრამ უცხოეთიდან ნასესხებ ფორმებსა და ორნამენტულ ელემენტებს იგი ყოველთვის თავისებურად იაზრებდა, გადაამუშავებდა და ამგვარად ქმნიდა არა ეპიგონურ, არამედ თავისთავადი მხატვრული ღირებულების ძეგლებს, რომელთა თავისებური დეკორატიულობა მკვეთრად განსხვავდება აქემენიდური ხელოვნების მონუმენტური სტილისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამგვარი ტენდენცია — დეკორატიულობის გაძლიერებისა — მონუმენტურობის დაკარგვის ხარჯზე ახასიათებს უფრო ადრეულ ქართულ ნასესხობებსაც აქემენიდური ხელოვნებიდან, როგორც ტორევტიკაში, ისე ქვის პლასტიკაში. ამ თვალსაზრისით, დამახასიათებელი ნიმუშია კავთისხევის ციხია-გორაზე 1974 წელს აღმოჩენილი აქემენიდური ტიპის კირქვის სვეტისთავი, რომელიც მოზვრების ორმაგ პროტომას წარმოადგენს[4]. კავთისხევურ სვეტისთავს ახასიათებს ზოგი ისეთი თავისებურება, რომელიც განასხვავებს მას რეალური თუ ფანტასტიკური ცხოველების პროტომებიანი ყველა ანალოგიური ირანული კაპიტელისაგან. მაგალითად, კავთისხევის მოზვრების ბეწვი არ არის გადმოცემული ბოლოებში სპირალურად ჩახვეული კავების სახით, რაც ესოდენ გავრცელებული ხერხია აქემენიდურ ხელოვნებაში[5]; თავისებურია მოზვრების ყურების შიდაპირის დამუშავების მანერა, რაც აგრეთვე ვერ პოულობს ანალოგიას ირანში. მაგრამ მთავარი ისაა, რომ კავთისხევის მოზვრებს, მიუხედავად მათი თითქოს და სავსებით აქემენიდური ფორმისა და სხვა აქსესუარებისა, მნიშვნელოვანწილად დაკარგული აქვთ ის მონუმენტურობა და დრამატული დაძაბულობა, რაც განუყოფელი თვისებაა საიმპერიო აქემენიდური სტილისა. კავთისხეური მოზვრები მშვიდი, საყვარელი ბოჩოლებია, რომლებიც ერთგვარი გაოცებითაც კი შემოგვყურებენ, და არა მძვინვარე მხეცები, რომლებიც ცნობილია სუზისა და პერსეპოლისის სასახლეებიდან და რომელთა პირდაპირი დანიშნულება აქემენიანთა მსოფლიო იმპერიის ურყევი ძლიერების პროკლამაცია იყო[6].

აქემენიდური პროტოტიპებისაგან დაშორების ეს პროცესი, რომელიც თავს იჩენს უკვე ძვ. წ. IV—III საუკუნეში საქართველოში შექმნილი ქვის ქანდაკების პირველ, ჯერჯერობით მცირერიცხოვან ძეგლებში (კავთისხევის კაპიტელი, რელიეფი სამადლოდან, სკულპტურული ფრაგმენტი უფლისციხი-

[4] Г. Цкитишвили, Результаты работ на Цихиа-гора, Полевые археологически исследования в 1974 году (краткие сообщения), Тб., 1976, გვ. 61.

[5] В. Г. Луконин, Искусство Ирана, ტაბ. 293, 305, 308, 312.

[6] В. Г. Луконин, Искусство Ирана, გვ. 64, ტაბ. 307, 308, 312. შდრ. გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. გვ. 54. კავთისხევის კაპიტელთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: იგი ისეთ სათავსოში აღმოჩნდა, რომელსაც სვეტი არ სჭირდებოდა, ე. ი. ეს კაპიტელი იმ სათავსოში სვეტისთავად არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. ისმება კითხვა: ხომ არა გვაქვს აქ საქმე კაპიტელის მეორად გამოყენებასთან, თუნდაც საკურთხევლად? კავთისხევის ციხია-გორაზეც, როგორც ჩანს, ცეცხლის ტაძარი გაითხარა და თუ ეს ასეა, გასაგები დება აქემენიდური ტიპის სვეტისთავის აქ აღმოჩენა და მისი საკურთხევლად გამოყენებაც კი.

დან და სხვ.), მთავრდება დედოფლის მინდვრის კაპიტელებსა და მისი წრის
ძეგლებზე. ეს უკანასკნელნი განიხილებიან უკვე როგორც საკუთრივ ქართუ-
ლი კულტურის პროდუქტი, რომელიც აქემენიდურთან მხოლოდ შორეულ
გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებს.
ამრიგად, დედოფლის მინდვრის სვეტისთავებმა გვაიძულეს ყურადღება
მიგვეპყრო აქემენიდური ხელოვნებისადმი. იქვეა საძებნელი, როგორც ითქვა,
დედოფლის მინდვრის საკულტო ნაგებობათა, კერძოდ კი მისი მთავარი ტაძრის
გეგმარების საწყისები.
დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძრის ძირითადი ხუროთმოძღვრული
თემა კვადრატული ცენტრალური დარბაზია, რომლის გვირგვინული გადა-
ხურვა ეყრდნობა თავისუფლად მდგარ ოთხ სვეტს. ამ ტიპის შენობამ გადამ-
წყვეტი როლი შეასრულა შუასაუკუნეთა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვ-
რების განვითარებაში და ხალხურ მშენებლობაში დღემდე შემორჩა ქართული
გლეხური დარბაზის სახით.
საკულტო ხუროთმოძღვრებაში ამ ტიპის ნაგებობებმა დასრულებული სა-
ხე პირველად აქემენიდურ ხანაში მიიღო. ესაა სუზის ცეცხლის ტაძარი, რო-
მელიც აგებულია არტაქსერქსე II (ძვ. წ. 404—358 წწ.) დროს, აგრეთვე კუჰ-
ი-ხოჯა სისთანში[7].
უნდა ითქვას, რომ თვით აქემენიდურ ირანშიც ამ ტიპის ნაგებობათა გე-
ნეზისი სადაოა[8], მაგრამ როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, სულერთია
დედოფლის მინდვრის ტაძრები გენეტიკურად მაინც აქემენიდურ წინამორ-
ბედებს, და უპირველეს ყოვლისა, სუზის ცეცხლის ტაძარს უკავშირდება. ხაზ-
გასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქ საქმე გვაქვს ძველაღმოსავლური, აქემე-
ნიდური ტრადიციების ადგილობრივ განვითარებასთან და არა თანადროული
მზა ნიმუშის პირდაპირ სესხებასთან.
როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და თვით საქართვე-
ლოშიც უკვე აქემენიდურ ხანაში შენდებოდა სასახლეები და ტაძრები პერ-
სეპოლისში შემუშავებული ეტალონების მიხედვით[9]. ამის დამადასტურებე-
ბელი საბუთია არინბერდზე გამოვლენილი ცეცხლის ტაძრები და აპადანად
გადაკეთებული ყოფილი ურარტული ტაძარი[10], ზარისებრი ბაზების აღმო-
ჩენა სარი-თეფეზე, ყაზახში[11] და კახეთში, აგრეთვე კავთისხევის ტაძარი და
კაპიტელი[12].

[7] K. Schippman, Die iranischen Feuerheiligtümer, Berlin, 1971, გვ. 57—70, 266—274.

[8] იქვე, გვ. 482.

[9] В. Г. Луконин, Искусство Древнего Ирана, გვ. 71.

[10] К. Л. Оганесян, Архитектура Эребуни по материалам раскопок 1950—1959 гг., Ереван, გვ. 78.

[11] И. Г. Нариманов, Находки баз колонн V—IV вв. до н. э. в Азербайджане, СА, № 4, 1960, გვ. 162.

[12] 1976 წელს ერევანში „ეირენეს“ კონფერენციაზე ჩემი მოხსენების შემდეგ ა. მარტიროსიან-
მა ყურადღება მიმაქცევინა დედოფლის მინდვრის ტაძრების ურარტულ ტაძრებთან მსგავსებაზე.
ეს მსგავსება მართლაც არსებობს და თუ კი დედოფლის მინდვრის ტაძრების სამშენებლო და ხუ-
როთმოძღვრულ თავისებურებებს წმინდა ფორმალური თვალსაზრისით მივუდგებით, მართლაც შე-
ძლებოდა საუბარი მათ კავშირზე ურარტულ ტაძრებთან. მაგრამ საკითხის უფრო ღრმა განხილვა
გვიჩვენებს, რომ ყველა ეს საერთო ნიშანი ირანულ-აქემენიდურ ხელოვნებასაც ახასიათებს

აქემენიანთა იმპერიის დაცემის შემდეგაც არ შეწყვეტილა საკუთრივ ირანში სუზის ტიპის ტაძრების მშენებლობა. ამ ტიპის ნაგებობათა სელევკიდური ხანის ნიმუშია პერსეპოლისის ბაქნის ძირას ძვ. წ. 300 წლის შემდგომ აგებული ტაძარი[13], ხოლო კუჰ-ი-ხოჯას ტაძრის ნანგრევებში უდავოდ გამოიყოფა პართული ხანის სამშენებლო ფენა[14].

პარადოქსალურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძარი თავისი გეგმარებით უფრო ახლოს დგას მასზე თითქმის სამასი წლით უძველეს სუზის ტაძართან, ვიდრე სელევკიდური და პართული ხანის ზემოთ მოხსენიებული ირანული ნიმუშები.

ძველი ნიმუშის ესოდენ გვიან რემინისცენციას ანალოგია ეძებნება აქემენიდური სამყაროს კიდევ ერთ ყოფილ განაპირა კუთხეში, კერძოდ, ნაბატეაში. სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე აგებული ნაბატეველთა ტაძრები (ბაალშამენისა და დუშარის ტაძრები ჰაურანში, ჰირბეთ-თანურის ტაძარი და სხვ.) სუზის ირანული ტაძრისაგან არიან განვითარებულნი[15].

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ტაქსილაშიც (ტაქშაშილა) — ძველინდურ ქალაქში, სადაც ძ. წ. II—I საუკუნეებში ძველი სპარსული ნიმუშების მიხედვით აშენდა ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი ჯანდიალი[16]. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ამავე ტიპის ტაძარი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გაითხარა დილბერჯინში, ჩრდილოეთ ავღანეთში[17].

დედოფლის მინდვრის ნაგებობათა დამოკიდებულება ძველაღმოსავლურ ტრადიციებთან თავს იჩენს არა მარტო მათ გეგმარებაში, არამედ სამშენებლო ტექნიკაშიც. მაგალითად, ქვის კაპიტელებიანი ხის შებათქაშებული სვეტები იდგა პერსეპოლისის ე. წ. საგანძურის დარბაზში. როგორც ფიქრობენ, ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტზე დაყრდნობილი დარბაზული გადახურვა (გვირგვინი) ჰქონდა ძველი ნისას პართული კომპლექსის ე. წ. კვადრატულ დარბაზს[18]. გარდა ამისა, შესაძლებელია სწორედ უძველესი მესოპოტამიური ტრადიციით იყო განპირობებული საკულტო ნაგებობათა ალიზით მშენებლობა: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით პერსეპოლისის გალავანი და სასახლე-

---

და სწორედ იქიდანაა შემოსული საქართველოში. ურარტუსთან უშუალო მეზობლობისა და სისტემატური კონტაქტების მიუხედავად, საქართველოზე ურარტუს პირდაპირი გავლენა ძალზე უმნიშვნელო ჩანს. აქ, შესაძლებელია, ამ ორი ქვეყნის სოციალური განვითარების დონეების დიდმა სხვაობამ თქვა თავისი სიტყვა. მხოლოდ ურარტუს დაცემის შემდეგ და, განსაკუთრებით, უკვე აქემენიდურ ხანაში ჩნდება ქართულ კულტურაში ბევრი ისეთი მოვლენა, რომელიც ურარტული გავლენით შეიძლება აიხსნას. ხშირ შემთხვევაში ხერხდება დამტკიცება იმისა, რომ ურარტული გავლენა საქართველოს კულტურაზე აქემენიდური ირანით იყო გაშუალებული.

[13] K. Schippman, დასახ. ნაშრ., გვ. 177—185.

[14] იქვე, გვ. 486.

[15] იქვე, გვ. 484.

[16] იქვე, გვ. 487, 488.

[17] И. Т. Кругликова, Дильберджин (раскопки 1970—1972 гг.), I, M., 1974, გვ. 16—22.

[18] Г. А. Пугаченкова, Реконструкция «Квадратного зала» парфянского ансамбля Старой Нисы, Труды туркменской археологической экспедиции, Ашхабад, 1953, გვ. 143—146.

ების კედლებიც კი ალიზით იყო ნაგები; ასევე ალიზის კედლები ჰქონდა პერსეპოლისის ბაქნის ძირას აგებულ სელევკიდური ხანის ტაძარსაც[19].

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის მინდვრის მთავარ ტაძარს ისეთი თავისებურებებიც გააჩნია, რომელიც განასხვავებს მას ჩვენთვის ცნობილი ყველა სხვა ანალოგიური უცხოური ტაძრისაგან. იგივე თავისებურებანი გვიჩვენებენ, რომ დედოფლის მინდვრის ტაძარი ადგილობრივი, ქართული ხუროთმოძღვრების პროდუქტია, ხოლო მისი ავტორი დიდი მასშტაბის შემოქმედი უნდა ყოფილიყო, შემოქმედი, რომელსაც ხელეწიფა ურთულესი კერძო და ზოგადი ხუროთმოძღვრული და ქალაქთმშენებლობის საკითხების გადაწყვეტა ამ გრანდიოზული კომპლექსის დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში.

ამ თავისებურებათა უმეტესობა აღნიშნული გვაქვს გათხრების ზემოთ მოხსენიებულ ანგარიშში. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს — ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თავისებურებას: ყველა ჩვენთვის ცნობილი ანალოგიური ტაძარი დახურულ ეზოში დგას, დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძარი კი შიდა ეზოსაკენ თავისი უკანა ფასადითაა მიქცეული, მთავარი შესასვლელი ღიაა, გარეთაა გახსნილი. ეს, ალბათ, კულტმსახურების თავისებურებებთან იყო დაკავშირებული და თუ შემდგომი გათხრები არ შეგვაცვლევინებს ამ აზრს, უნდა აღინიშნოს, რომ საქმე გვაქვს ფუნდამენტურ განსხვავებასთან ქართულ და აღმოსავლურ ტაძრებს შორის. ანალოგიური სხვაობა აღინიშნება ქართულ და აღმოსავლურ საცხოვრებელ ნაგებობათა შორისაც: ქართული საცხოვრებელი უჯრედი მუდამ გარეთ იყო გახსნილი, მაშინ როცა აღმოსავლური სახლების ცხოვრება დახშული შიდა ეზოს გარშემო მიმდინარეობდა[20].

დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის გრანდიოზული, ჭეშმარიტად „ძველაღმოსავლური“ მასშტაბები და მისი მდებარეობა ანტიკური ივერიის გეოგრაფიულ ცენტრში მიუთითებს იმ კულტების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. რომელთაც აქ სცემდნენ თაყვანს. ამ კულტების ხასიათის გარკვევა მეტისმეტად რთული პრობლემაა, როცა არ გაგვაჩნია წერილობითი წყაროების რაიმე მითითება ან ეპიგრაფიკული მონაცემები. მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლება.

თვით ტოპონიმი „დედოფლის მინდორი“, როგორც ჩანს, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც საქართველოს დედოფლების საკუთრება იყო. მართლაც, XVI—XVIII სს. ქართული სიგელ-გუჯრები პირდაპირ მიუთითებენ, რომ დედოფლის მინდორი და მისი შემოგარენი სამეფო დომენში შედიოდა და სადედოფლო მიწა იყო[21].

უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფლის მინდორი ძველთაგანვე სამეფო დომენში შედიოდა. ამგვარი ვარაუდის გასაქარწყლებლად რაიმე გონივრული

---

19 K. Schippman, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

20 Г. Н. Чубинашвили, Очерк развития в Грузии дофеодальной архитектуры, ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1959, გვ. 63.

21 ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, თბ., 1963, გვ. 24, ზ. ალექსიძე, შ. ბურჯანაძე, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბილისი, 1964, გვ. 21, 145, 233; ა. შანიძე, ორი წარწერა არადეთიდან, მიმომხილველი, I, თბილისი, 1924, გვ. 220.

არგუმენტის მოტანა გაჭირდებოდა, მის სასარგებლოდ კი შეიძლება გამოიძებნოს ზოგიერთი ირიბული საბუთი მაინც. 1926 წელს ა. შანიძემ გამოაქვეყნა ადრეული (XI საუკუნეზე უძველესი) ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ არადეთში ჯვარი აღუმართავთ მამასახლისებს (წარწერაში არქაული ქართული ფორმაა ნახმარი „მარადელნი")[22].

ანალოგიური შინაარსის წარწერებში ჩვეულებრივ ერთი კერძო პირია ხოლმე მოხსენიებული. აქ კი ჯვარს რამდენიმე მამასახლისი ერთად აღმართავს და სწორედ ეს გარემოებაა განსაკუთრებით საყურადღებო: დოკუმენტურად დასტურდება ერთ სოფელში (არადეთში) ერთდროულად რამდენიმე მამასახლისის არსებობა.

როგორც ცნობილია, სტრაბონის ცნობით, იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსის (λαοί, βασιλικοὶ δοῦλοι) ცალკეულ გვარებს (συγγένεια) მამასახლისები მართავდნენ—„ἄρχει δὲ καὶ ταμιεύει ἑκάστης ὁ πρεσβύτατος"[23].

ჩვენი აზრით, ამგვარი მდგომარეობა X—XI საუკუნემდე ყველაზე შეურყვნელად სწორედ ძველთაგანვე სამეფო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე უნდა შენარჩუნებულიყო. ასეთად მიგვაჩნია სოფელი არადეთი და საერთოდ მთელი დედოფლის მინდორი.

მეორე მხრივ, წარმართული ტაძრის ნაშთების მარტო აღმოჩენის ფაქტიც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ გამოგვეთქვა სრულიად საფუძვლიანი ვარაუდი დედოფლის მინდორზე სატაძრო მეურნეობისა და, მაშასადამე, სატაძრო მიწების არსებობის შესახებ. მაგრამ საამისოდ სხვა მონაცემებიც გაგვაჩნია.

დედოფლის მინდორზე და მის გარშემო არსებული სოფლების (წვერი, არადეთი, საღოლაშენი, ფცა, ქვენატკოცა, მოხისი, თამარაშენი) ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ზოგიერთი ცნობა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც ეს სოფლები ერთ სატაძრო თემში შედიოდნენ. გარდაცვლილის ერთობლივი გლოვა („მოხისში რომ კაცი მოკვდებოდა, ზარს ჩამოჰკრავდნენ და თუ ვხნავდით, ხარს გუთნიდან გამოვხსნიდითო" — ჩაწერილია სოფ. წვერში), საერთო სალოცავი („სარკის წმ. გიორგი", რომლის ნიში დედოფლის მინდვრის ცენტრში იდგა), წეს-ჩვეულებათა ერთობა (ყველა ამ სოფელში, მაგალითად, აკრძალული იყო ორშაბათობით ხვნა) და დედოფლის მინდორთან დაკავშირებული რელიგიურ-საკულტო შინაარსის თქმულება-ლეგენდების ერთიანი წრე — ყველა ეს ნიშანი სატაძრო თემის არსებობის მაუწყებელია. მაგრამ თუ ეს ასე იყო, მაშინ ისმება კითხვა: როგორღა შევათანხმოთ პირველი შეხედვით შეუთანხმებელი წინააღმდეგობა, რომ დედოფლის მინდორი ერთდროულად სატაძრო საკუთრებაც იყო და სამეფო დომენშიც შედიოდა? მაგრამ თუ უფრო ღრმად გამოვიკვლევთ ამ საკითხს, ჩვენი აზრით, უნდა გაირკვეს, რომ აქ არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს.

მივმართოთ ირანულ ანალოგიებს.

---

[22] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 220.

[23] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1957, გვ. 130; მისივე, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 153—154; ს. ჯანაშიას ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 140, შდრ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 186.

ფალაურ სამართლებრივ განჩინებათა კრებულის — Matakdān ī hasār
dātastān მონაცემებით სასანურ ირანში საღვთო კეთილმსახურების მიზნით იქ-
მნებოდა ხოლმე განსაკუთრებული ფონდი, რომელსაც xvāstak ī pát ruvān ეწო-
დებოდა. Pat ruvān-ის ფონდის დამაარსებლად ყოველთვის კერძო პირი
გამოდიოდა, ფონდი გამოიყოფოდა მისი კერძო საკუთრებიდან და მის მიერ
მითითებულ პირთა სულის საცხონებლად[24]. ფონდის დამაარსებლები და მისი
მემკვიდრეები, ჩვეულებრივ, არ ჰკარგავდნენ საკუთრების უფლებას pat ruvān-ად
გამოყოფილ ქონებაზე: თუ ქონების შემოსავალი გადაამეტებდა ფონდის და-
მაარსებლის განკარგულებათა შესასრულებლად განკუთვნილ თანხას, მაშინ
ფონდის დამაარსებელს და მის მემკვიდრეებს რჩებოდათ უფლება მიეთვისები-
ნათ ეს ნამატი.

ანალოგიური ინსტიტუტი, როგორც ჩანს, საქართველოშიც არსებობდა.
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკის ცნობით, IV საუკუნეში „აღაშენეს აზნა-
ურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამთაულეს დიდსა მას ეკლესიასა
სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“[25]. ზემოაღნიშნული სასანური
სამართლის წიგნის მონაცემებზე დაყრდნობით ვ. გაბაშვილმა დაასაბუთა, რომ
„ქარდაგი“ ქართლშიც იმასვე აღნიშნავდა, რასაც ირანში: ეკლესიისათვის
გამოყოფილ ქონების ნაწილს, რომელიც ამავე დროს შემწირველის საკუთრე-
ბაშიც რჩებოდა („სასანური სამართლის წიგნში სრულიად ნათლად არის აღ-
ნიშნული საკუთრების დაცვის პირობები“). ამგვარი შეწირულობის აღსანიშ-
ნავად ქართულში იხმარებოდა ირანულიდან ნასესხები ტერმინი „ქარდაგი“
(„kartak“)[26].

ირანში ამ ინსტიტუტის არსებობა დასტურდება პართული პერიოდის დოკუ-
მენტებითაც და, ა. ფერიხანიანის სამართლიანი თქმით, „განსახილველი ინს-
ტიტუტის სიძველე ირანში ეჭვს არ იწვევს“[27].

უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიური ინსტიტუტი არსებობდა პართული
ხანის საქართველოშიც, მაშინ, როცა შენდებოდა დედოფლის მინდვრის სა-
ტაძრო კომპლექსი.

„სულის საცხონებელ“ სპეციალურ ფონდებს ირანელი შაჰინ-შაჰებიც
აარსებდნენ — როგორც არშაკიდები, ისე სასანიდები. ცხადია, ეს ფონდე-
ბი უნდა გამოყოფილიყო დასტაკერტიდან, ე. ი. ირანის შაჰების დომენიდან.
სწორედ დასტაკერტებში და, ძირითადად, „სულის საცხონებელი“ ფონდების
ხარჯზე არსებობდა არშაკიდებისა და სასანელების პერიოდის ირანში ცეცხლ-
თაყვანისმცემელთა უმთავრესი ტაძრები[28]. ნათქვამის მშვენიერი ილუსტრა-
ციაა შაბურ I (243—273) ცნობილი წარწერა, ამოკვეთილი რომაელთა წი-
ნააღმდეგ ძლევამოსილი ლაშქრობების აღსანიშნავად, დაახლოებით 262 წელს,
ე. წ. „ზარათაუშთრას ქააბის“ საძირკველზე: „და რამეთუ ღმერთებმა ასე

24 А. Г. Периханян, Частные целевые фонды в древнем Иране и проблема
происхождения Вакфа, ВДИ, 1) (123), М., გვ. 3.

25 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 92.

26 ვ. გაბაშვილი, ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია უძ-
ველეს ქართულ წყაროებში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 114—118.

27 А. Г. Периханян, დასახ. ნაშრ., გვ. 12—16.

28 იქვე, გვ. 13; В. Г. Луконин, Искусство Ирана, გვ. 145.

ნებეს და მომცეს ჩვენ ყოველი დაპყრობილი მიწა დასტაკერტად, და რამეთუ ღმერთების შეწევნით მრავალი სამეფო დავიპყარით ჩვენ, ამიტომაც ჩვენ შაჰრიდან შაჰრში აღვმართეთ ბევრი ცეცხლი ვრეთრანგისა (ე. ი. ცეცხლის ტაძარი, ი. გ.) და ბევრ მოგვს პატივი მივანიჭეთ, და განვაჩინეთ, რამეთუ აქ წარწერასთან, აღიმართოს „დიდების ტაძარი" და იყოს სახელი მისი „შაბურ", სახსრად სულისა ჩვენისა. და კიდევ ერთი „დიდების ტაძარი", სახელად „ათურანაჰიტ", სახსრად სულისა ათურანაჰიტისა, დედოფალთა-დედოფლისა, ასულისა ჩვენისა"[29].

რა უფლება გვაქვს უარვყოთ ანალოგიური ვითარების არსებობა ელინისტური ხანის ქართლის სამეფოშიც, რომელიც, ძველი ქართველი ისტორიკოსის თქმით, პირველმა მეფემ, ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) „განაწესა მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა"?[30] ანტიკური იბერიის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტების აღმნიშვნელი ირანული წარმოშობის ტერმინები (პიტიახში, სპასპეტი...) და ქართლის მმართველთა ირანული თეოფორული სახელები (ფარნავაზ, საურმაგ, ფარნაჯომ, არტაგ, არშაკ და მრავალი სხვ.) ნივთიერად ადასტურებენ ქართველი ისტორიკოსის აღნიშნული ცნობების ჭეშმარიტებას.

კიდევ ერთხელ მივმართოთ იმავე წყაროს. ლეონტი მროველი აგრძელებს: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზ სპარსულად არმაზ ერქუა"[31]. რით არაა ეს სიტყვები ზუსტი პარალელი შაბურის ზემოთ ციტირებული ტექსტისა: „აღიმართოს „დიდების ტაძარი", სახელად „შაბურ", სახსრად სულისა ჩვენისა".

ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დედოფლის მინდვრის ტაძრები აგებულია ქართლის სამეფო სახლის წევრთა „სულის საოხად" იმ დიდი ღმერთების სახელზე, რომელთა მოადგილეებად ან მიწიერ განსახიერებად თვლიდნენ თავს ანტიკური ხანის იბერიის მეფე და დედოფალი. ტაძრები აგებული იყო დასტაკერტში, დომენში, საამისოდ გამოყოფილი სოფლების შემოსავლის ხარჯზე. ამ სოფლების მოსახლეები შეადგენდნენ სატაძრო თემს, მაგრამ ამავე დროს სამეფო მონებადაც რჩებოდნენ[32].

ტაძარი ძველ საქართველოში, ჩვეულებრივ, ის ორგანიზაციული ცენტრი იყო ხოლმე, რომლის გარშემო ყალიბდებოდა თემი, სამოსახლო, ქალაქი[33]. ამიტომაა, რომ საქართველოში შესწავლილი ანტიკური ეპოქის ნებისმიერი ნასოფლარისა თუ ნაქალაქარის ცენტრში ყოველთვის ტაძარი დგას (უფლისციხე, ურბნისი, ვანი, სამადლო, ციხია-გორა, საირხე). ეს ტაძრები სტიქიურად ყალიბდებოდნენ და ვითარდებოდნენ იქვე არსებული უფრო ძველი სახატესამლოცველოების საფუძველზე. მათგან განსხვავებით დედოფლის მინდვრის ტაძრები არ არის სტიქიური განვითარების პროდუქტი. დედოფლის მინდვრის

---

[29] В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, М., 1969, გვ. 60.

[30] ქართლის ცხოვრება, გვ. 25.

[31] იქვე.

[32] ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიტანოთ ს. ჯანაშიას სიტყვები „ეს „ლაოი", მაშინაც კი, როცა ისინი ტაძრების მიწებზე ცხოვრობენ, უმეშვეოდ მეფეს ეუთვნიან", იხ. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

[33] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 45.

ტაძრების საძირკვლებისა და იატაკების ქვეშ არავითარი სხვა, უფრო ძველი ნაგებობის კვალიც კი არ აღმოჩენილა. ყველა ტაძარი დედოფლის მინდორზე აგებულია ერთად, ერთიანი გეგმით დაუსახლებელ ტრიალ მინდორში და მშენებლობის მართლაც გრანდიოზული მასშტაბები მეტყველებენ, რომ ეს მშენებლობა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების, ჩვენ შემთხვევაში, ქართლის მეფის უშუალო განკარგულებით. ცხადია, აგრეთვე, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს არა რომელიმე ადგილობრივ, ლოკალურ ღვთაებებთან, არამედ სამეფო კულტთან, რომელიც უმთავრესი იყო მთელ სახელმწიფოში.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის ლოგიკას ბუნებრივად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ღმერთები, რომელთაც მიეძღვნა დედოფლის მინდვრის ტაძრები, რაღაცნაირად მაზდეიზმთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი[34]. ერთ-ერთი ამ ტაძართაგანი კი, შესაძლებელია, მთავარი ტაძარიც კი, ჩვენი აზრით, აგებული იყო ავესტისეული არდვი-სურა ანაჰიტას ტიპის ნაყოფიერების ქალღმერთის სახელზე. წყლის სტიქიონისა და ნაყოფიერების დიდი ქალღმერთი, ვეგეტაციის ღვთაება, უმწიკვლო ქალწულებრივი დედოფალი, მრისხანე მებრძოლი ქალღმერთი, არდვი-სურა ანაჰიტა, რომლის ბევრი ნიშან-თვისება წინა აზიის უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება და „რომლის კულტიც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ახლოაღმოსავლური რელიგიური სუბსტრატისა და ირანული ელემენტების შერწყმა"[35], ღმერთების ზოროასტრიულ ტრიადაში (აჰურა მაზდა, მითრა, ანაჰიტა) შეყვანილ იქნა უკვე არტაქსერქსე II (ძვ. წ. 404—359 წწ.) დროს. აქემენიდურ ხანაშივე არდვი-სურას აიგივებდნენ ნაყოფიერების სხვადასხვა ქალღმერთთან: სემიტების ნანაიასა და ათარგატისსთან, ბერძნების აფროდიტესა და არტემიდესთან, მცირეაზიულ კიბელასთან[36]. უთუოდ ამ გარემოებამ განაპირობა ანაჰიტას კულტის ფართო გავრცელება როგორც ირანში, ისე მის გარეთაც: შუა და მცირე აზიაში, არმენიაში[37], და, როგორც ჩანს, საქართველოშიც, სადაც საამისოდ ყველა პირობა არსებობდა ნაყოფიერების ქალღვთაების, მზე-ქალის, ღმერთების დიდი დედის უძველესი და განვითარებული ადგილობრივი კულტის სახით[38]. ანაჰიტას კულტი განსაკუთრებით პოპულარული გახდა პართულ ხანაში. რ. გირშმანის თქმით, ანაჰიტამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა ზოროასტრიულ ტრიადაში და წყაროებში ნახსენები უკლებლივ ყველა ტაძარი ანაჰიტას სახელზე ჩანს აგებული[39].

---

[34] ამის სასარგებლოდ, შესაძლებელია, მეტყველებდეს, არა მარტო ტაძრების გეგმარება, რომელიც ირანული ცეცხლის ტაძრების ანალოგიურია, არამედ ზოგიერთი ნივთიერი მონაპოვარიც. მაგალითად, დედოფლის მინდორზე აღმოჩნდა ქვის კარგი ნახელავი როდინი, ხოლო უშუალოდ მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სათავსოში — მისი მოხდენილი ფილთაქვა. ძველ ირანში, როგორც ცნობილია, ანალოგიური სანაყ-სასრესები გამოიყენებოდა ზარათუშთრას მიმდევართა წმიდა სასმელის, „სიკვდილის ამშორებელი ჭეშმარიტი ჰაომას" დასაწურავად. მეტისმეტად დიდია ცთუნება, რომ ჩვენ ქვასანაყშიც ჰაომას დასაწური ჭურჭელი დავინახოთ.

[35] Р. Н. Фрай, Наследие Ирана, М., 1972, გვ. 168.

[36] იქვე, გვ. 168; В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, გვ. 166.

[37] М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, М., 1961, გვ. 235.

[38] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 10—22, ი. ქიქვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159, 177.

[39] R. Ghirshman, Iran, გვ. 87.

დედოფლის მინდორი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველადვე დომენში შედიოდა და, შეიძლება, სადედოფლო მამულადაც კი ითვლებოდა, ამდენად რეალური ჩანს იქ ღმერთების დედოფლის სახელობის ტაძრის არსებობაც: „დედოფალი", „ქალბატონი" ხომ ანაჰიტას ერთ-ერთი ეპითეტთაგანი იყო. ანაჰიტა წყლის სტიქიონთან, წყაროებთან დაკავშირებული ქალღმერთი გახლდათ, ჩვენი ტაძრის მიდამოებში კი მართლაც არსებობს წყარო, რომელსაც „დედოფლის წყარო" ეწოდება. დედოფლის მინდვრის ცენტრში, წარმართული ტაძრის ნაადგილევზე აღმართულია ე. წ. სარკის წმ. გიორგის ნიში, მაგრამ ორშაბათობით დედოფლის მინდორზე მიწის ხვნის აკრძალვას ადგილობრივი მოსახლეობა ხსნის აქ „ყოვლადწმინდის" (ღვთისმშობლის) ხატის პოვნით. გავიხსენოთ, რომ არდვი-სურას მთავარი ეპითეტი — ანაჰიტა ნიშნავს უმწიკვლოს, უბიწოს, ყოვლადწმინდას.

საკულტო ნივთების პატარა განძში, რომელიც 1926 წელს იპოვეს დედოფლის მინდორზე, არის ერთი ოქროს ბალთა დიადემიანი, საყურეებიანი და ყელსაბამიანი ქალღმერთის ჰორელიეფური გამოსახულებით. ქალღმერთს თავს ზევით, თმებში ადგას ნამგალა მთვარე. ეს გამოსახულება თითქმის ზუსტი ილუსტრაციაა ანაჰიტას აღწერილობისა, როგორც ეს აბან-იაშტშია მოცემული: „დგას არდვი-სურა ანაჰიტა მშვენიერი ქალწულის სახით, შემოსილი ძვირფასი მოსასხამით, ოქროქსოვილით. საყურეები ამშვენებს მას, ოთხწახნაგა ოქროს საყურეები. მშვენიერ ყელზე კეთილშობილ არდვი-სურა ანაჰიტას მანიაკი აქვს ჩამოცმული. შუბლზე შემოუკრავს არდვისურა ანაჰიტას დიადემა ოქროსი, ასი პატიოსანი თვლით შემკული..."[40]. თუ გავიხსენებთ, რომ ანაჰიტა არტემიდესთან იყო გაიგივებული, სულ ადვილად აიხსნება ნახევარმთვარის გაჩენაც ანაჰიტას გამოსახულებასთან: არტემიდეს ხშირად გამოსახავდნენ ქალწულის სახით, რომელსაც თავზე ნამგალა მთვარე ადგას[41]. ცხადია, არ შეიძლება არ არსებობდეს ანაჰიტას გამოსახულებებიც მთვარესთან ერთად, მით უმეტეს, რომ მეზობელ სომხეთში ანაჰიტა საერთოდ მთვარის ქალღმერთად იყო გაგებული[42]. როგორც ირკვევა, მთვარე ორი სხვადასხვა სქესის ღვთაებად ჰქონდათ წარმოდგენილი მრავალ ქვეყანაში (შეად. რუსული მესიაც II ლუნა ან ბერძნული მენ II სელენა და ა. შ.). ამგვარი ღვთაებრივი წყვილების არსებობა საყოველთაო მოვლენაა[43]. და ამ მხრივ საქართველოც არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი: მთვარის ღვთაებას საქართველოშიც ჰყავდა თავისი მდედრობითი ორეული. ანაჰიტა-არტემიდა კი სულ იოლად ჩაენაცვლებოდა ამ ქალღმერთს[44].

---

[40] Г. Н. Курочкин, К интерпретации некоторых изображений раннего железного века с территории северного Ирана, СА, № 2, 1974, გვ. 43.

[41] ნ. გაფრინდაშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 48.

[42] Г. А. Тирацян., Градостроительная структура и топография древнего Валаршапата, Историко-филологический журнал, № 2 (77), Ереван, 1977, გვ. 92.

[43] Э. А. Грантовский, Ранняя история иранских племен Передней Азии, М., 1970, გვ. 303—305.

[44] საქართველოს მეზობელ სომხეთში, როგორც აღინიშნა, მთვარე ქალღმერთად ითვლებოდა და ანაჰიტასთან იყო გაიგივებული. სტრაბონის ცნობით, ალბანეთშიც მთვარის ქალღმერთს სცემდნენ თაყვანს (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 134). მეტად ძნელია იმის დაშვება, რომ საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ამის ნივთიერი მტკიცებაც არსებობს მთვარის ქალღმერთის გამოსახულების სახით, რომელიც დედოფლის მინდორზე აღმოჩნდა.

და უკანასკნელიც: ტაძართან უახლოესი სოფლის არადეთის სახელწოდების ეტიმოლოგიის გარკვევა არავის უცდია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იგი უშუალოდ დაკავშირებული იყო ანაჰიტას სახელთან — არდვი-სურა, არდვი (არდ. II არად). ამგვარი ეტიმოლოგიისათვის თითქოს არ უნდა არსებობდეს რაიმე ფონეტიკური ან სხვა სიძნელე[45].

დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძრის „გარშემოსავლელის“ სამხრეთ-აღმოსავლეთ დერეფანში აღმოჩნდა მსხვერპლად მიტანილი კეთილშობილი ირმების, ნიამორების და ტახების თავის ქალები, რომლებიც, კეფის არეში ჩამოხერხილი და გახვრეტილები იყო კედლებზე დასამაგრებლად. ხატისთვის ირმის რქების შეწირვა უძველესი ქართული წესია, რომელიც თითქმის დღემდე შემორჩა, მაგრამ, ცნობილია, რომ არდვი-სურა ანაჰიტასაც სწირავდნენ ცხოველებს და მის ტაძრებში დახოცილი მტრების თავებსაც კი აგზავნიდნენ[46].

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყველაფერს ზემოთქმულს, შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბდეს დედოფლის მინდვრის ტაძრების ისტორია, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგება.

ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევარში ან I ს-ის დასაწყისში, როცა ქართლში მეფობდა ფარნაჯომი (ძვ. წ. II ს.), რომელმაც ძველი ქართული წყაროს თანახმად „შეიყუარა სჯული სპარსთა“[47], ან მეფე არშაკი (არსოკი), რომელიც იმავე წყაროს თანახმად, არშაკიდების დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო ქართლის ტახტზე[48], სამეფო დომენში, შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში, შენდება ტაძრები, მიძღვნილი იმ ღმერთებისადმი, რომლებსაც თაყვანს სცემდა ქართლის სამეფო სახლი და რომელთა მიწიერ მოადგილეებად ან განსახიერებად თვლიდნენ თავს ქართლის მეფე და დედოფალი. სავარაუდოა, რომ ეს ღმერთები იყვნენ ადგილობრივ ქართულ ასტრალურ ღვთაებებთან მნიშვნელოვანწილად შერწყმული, მაგრამ მაინც ირანული (მაზდეანური) ღმერთები, თუმცა კი თავისებური ტიპისა[49]. ძნელია იმის თქმა, ყველა ამ ღმერთს ირანული სახელი ერქვა თუ არა, მაგრამ არც ასეთი შესაძლებლობაა გამორიცხული.

დედოფლის მინდვრის ტაძრები არსებობდნენ სამეფო დომენის (დასტაკერტის) შემოსავლიდან სპეციალურად ტაძრებისათვის გამოყოფილი ნაწილის ხარჯზე.

---

45 ანალოგიური ძირისაგან ნაწარმოები ტოპონიმები საქართველოში ბევრი არ არის: არდისუბანი, ერედა, ერედვი... ეს უკანასკნელი სოფელი მდებარეობს არადეთიდან ჩრდილოეთით ოციოდე კილომეტრის მანძილზე, ცხინვალის რაიონში. აღსანიშნავია, რომ ს. ერედვშიც არსებობს დედოფლის წყარო (ც. შოთაძის ცნობა) და, რაც მთავარია, იქვე ფიქსირდება ნაყოფიერების წარმართული ქალღმერთის თაყვანისცემის გადმონაშთები (პირველად მაცნობა რ. მეფისაშვილმა; შემდგომში ეს ცნობა შევამოწმე და შევავსე ადგილზე): უშვილო ქალები და რძედაკარგული დედები კარაქს უსვამენ და წყალობას შეთხოვენ ერედვის 906 წლის ეკლესიის კარიბჭის სვეტს, რომლის კაპიტელი ყურძნის მტევნისებური გამოსახულებებითაა შემკული, ეს გამოსახულებები ადგილობრივ მოსახლეობას ძუძუებად მიაჩნიათ. ერედვის ეს კრპი საგანგებოდ ქალების სალოცავია და მას რძისა და შვილიერების გარდა საქონლის ნაყოფიერებასაც შესთხოვენ ხოლმე. მთელი ეს რიტუალი ძალაუნებურად გვახსენებს ნაყოფიერებისა და შვილიერების სახელგანთქმული ქალღმერთის — მრავალძუძუიანი ეფესელი არტემიდეს თაყვანისცემას.

46 В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, გვ. 97.

47 ქართლის ცხოვრება, გვ. 29.

48 იქვე, გვ. 30.

49 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 285. Н. Я. Марр. Боги языческой Грузии, გვ. 28.

ვეებერთელა, დაუსახლებელი მინდვრის ცენტრში ანტიკური ქართლისათვის უმაგალითოდ გრანდიოზული მასშტაბების სატაძრო კომპლექსის აშენების მთავარი მიზანი იყო ქართლის სამეფო სახლის საკუთარი საგვარეულო კულტის დამკვიდრება. ამიერიდან ამ კულტის თაყვანისცემა სავალდებულო ხდებოდა ივერიის მთელი მოსახლეობისათვის. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო რელიგიის დონემდე ეს კულტი ვერასოდეს ამაღლდა. შემდგომში, მაზდეიზმის ეს ძველი „ქართული" ვარიანტი და სპარსული ორთოდოქსალური ზოროასტრიზმი შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც ორი სხვადასხვა რელიგია. აქედან გამომდინარე, გასაგებია ქართული წარმართობისა და „სპარსთა სჯულის" ის სისტემატური დაპირისპირება, რასაც ვხედავთ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. არ არის გამორიცხული რომ, სწორედ ამ დაპირისპირების შედეგი იყოს ის ხანძარი, რომელმაც იმსხვერპლა დედოფლის მინდვრის ტაძრები.

ხანძრის შემდეგ ტაძრების აღდგენა არავის უცდია. მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც ძველი სატაძრო თემის, სატაძრო (და სამეფო) მონების უშუალო შთამომავალია, თითქმის დღევანდლამდე მოიტანა ამ სალოცავის ხსოვნა. ათასხუთასი (თუ მეტი არა) წლის განმავლობაში 20 ჰექტარზე მეტი ფართობი დედოფლის მინდვრის ცენტრში, იქ, სადაც ოდესღაც ტაძრები და მათი დამხმარე ნაგებობები იდგა, ხელშეუხებლად ითვლებოდა, „დასარყული" იყო[50], არა თუ ხვნა-თესვა, ბალახის გათიბვაც კი აკრძალული იყო აქ, ფიჩხიც კი არავის გამოჰქონდა იქიდან.

ნაკრძალი ზონის ცენტრში, ოდნავ შესამჩნევ შემაღლებაზე, რომელიც უშუალოდ წარმართული ტაძრის საკურთხეველს ფარავდა, გვიან შუა საუკუნეებში აღმართეს ქვის სტელა გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის გამოსახულებით. ეს სარკის წმ. გიორგის ნიშია.

Ю. М. ГАГОШИДЗЕ

## ОТЧЕТ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ РАСКОПОК ХРАМОВОГО КОМПЛЕКСА II—I вв. до н. э. ДЕДОПЛИС МИНДОРИ В 1976—77 гг.

Резюме

(Табл. XVI—XVII)

В 1976—77 гг. Шидакартлийская археологическая экспедиция продолжала стационарные археологические раскопки святилища II—I вв. до н. э. Дедоплис Миндори, около с. Арадети, Карельского района. За отчетный период раскопаны три изолированных друг от друга

[50] „დასარყვა" (სიტყვისაგან „სარყე", რომელიც „საყეს" ფორმით დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანშიც") ნიშნავს წმინდა აკრძალვას, ტაბუს და დღესაც ცოცხალია შიდა ქართლელთა მეტყველებაში: ყოველ გაზაფხულს, ჰიაკოკონობა დღეს ეკლიან ტოტებს ჩაარჭობდნენ სახატე ნაკრძალი ფართობის კუთხეებში (სწორედ ამ სანიშნეებს ერქვა „სარყე"). ჩემი აზრით, აქაური წმ. გიორგის სახელი — „სარკე" სწორედ ამ „სარყეს" უნდა უკავშირდებოდეს.

храма с собственными дворами в северо-восточной части теменоса Выявление трех таких же храмов ожидается в северо-западной части комплекса. По своим планам храмы Дедоплис Миндори генетически восходят к ахеменидским храмам огня, однако имеют ряд своеобразий, выделяющих их из всех известных нам аналогичных культовых зданий Ирана и Передней Азии элинистического времени.

Храмы Дедоплис Миндори были возведены по единому плану в дастакерте (домене) картлийских царей, содержались за счет части доходов с домена, выделенной специально храмам, и были посвящены богам, которым поклонялась царская семья и земными наместниками олицетворением которых считали себя цари и царицы. Скорее всего это были маздеянские (иранские) боги своеобразного толка, в значительной степени смешавшиеся с местными грузинскими астральными божествами. Не исключена возможность, что они носили иранские имена. Один из храмов, возможно Главный храм, был посвящен богине плодородия типа авестийской Ардви-суры Анахиты.

Возведение грандиозного храмового комплекса в центре страны, на незастроенной равнине имело целью утвердить родовой культ царского дома, который отныне становился обязательным для всех рядовых жителей Картли. Однако до уровня государственной религии этот культ никогда не смог возвыситься.

Храмы Дедоплис Миндори погибли от пожара в начале нашей эры и больше не восстанавливались. Однако память о существовании этого святилища сохранилась вплоть до наших дней в среде местных жителей — прямых потомков членов языческой храмовой общины.

ა. ზაქარაია, ვ. ლეჟავინაძე, გ. გვინჩიძე

# ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976—1977 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში

(ტაბ. XVIII—XXI)

საანგარიშო წლებში ექსპედიცია სამუშაოებს ძირითადად იმ სამ მონაკვეთზე აწარმოებდა, რომელთა გათხრები ჯერ კიდევ წინა წლებში დაიწყო. კერძოდ გაგრძელდა და ფაქტიურად დამთავრდა ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სასახლის შენობის (უბ. IV, კვ. —12, 17) გაწმენდა. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს შენობა შეიცავს ორ სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენას და თავის დროზე იყო სამსართულიანი. პირველად აუგიათ ამ შენობის ჩრდილოეთი, სწორკუთხა ნაწილი ჩვენამდე მოუღწეველ ზედა სართულზე მიმავალი ფუნდამენტური გარეთა კიბით, ხოლო შემდეგ სამხრეთი ნაწილი, რამაც შენობის ფართობი ორჯერ გაზარდა. ჩრდილოეთი ნაწილი გაითხარა მატერიკამდე, ხოლო სამხრეთი — მხოლოდ გვიანფეოდალური ხანის მარნამდე, რომელიც ჯერჯერობით ხელუხლებელია. შენობის დასავლეთ კედელზე მიშენებულია მძლავრი პილონები, რომელთაგან ერთ-ერთში აღმოჩნდა ცარიელი სივრცე, რომელიც, შესაძლოა, სამალავს წარმოადგენდა. ამ „სამალავის“ ძირში აღმოჩნდა ლუსტრით მოხატული გვიანშუასაუკუნოვანი ირანული ფაიანსის ფიალის ნატეხები. ნოქალაქევში გვიანფეოდალური მასალა ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ამ შენობის გათხრისას აღმოჩნდა (ფაიანსიანი და მოჭიქული კერამიკა, ქვევრთა ნატეხები, თურქული მონეტა — „ახჩა“ და ა. შ.), რაც ნათლად ცხადყოფს გვიანფეოდალურ ხანაში ნოქალაქევში ცხოვრების სწორედ ამ ობიექტზე კონცენტრაციას.

აქ აღმოჩნდა აგრეთვე ადრეშუასაუკუნეების ეპოქის თუმცა კი მცირერიცხოვანი, მაგრამ საინტერესო ნივთები. ფაქტიურად მხოლოდ აქ აქვს ადგილი ადრეშუასაუკუნოვანი ანტეფიქსების (ტაბ. XVIII,) მოპოვებას. აქვეა ნაპოვნი ნაქალაქარის ტერიტორიისათვის ჯერჯერობით ერთადერთი ჯვრისებრი მშვილდსაკინძი და ადრეშუასაუკუნოვანი მინის ჭურჭლის ნატეხები (სასმისის ფეხები, მინიატურულსახელურიანი ჭურჭლის ფრაგმენტი და ა. შ.). სასახლის შენობის უძველესი ფენა თარიღდება V—VI სს.

1977 წ. ფაქტიურად დასრულდა ქალაქის ქვედა ნაწილის სამხრეთი თავდაცვითი კედლის ცენტრალური ნაწილის გასწვრივ მოთავსებულ ნაგებობათა კომპლექსის გათხრა (უბ. IX, კვ. 125). ამ კომპლექსის დასავლეთ ნაწილს წარ-

მოადგენს პატარა აბანოს ნაშთები, რომლებიც საკმაოდ კარგადაა დაცული. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთ სათავსოში შემორჩენილი იშვიათი დეტალი — ფანჯრის ნაშთები. სულ კი აბანოში ოთხი სათავსოა, რომელთაგან ორს გააჩნია იატაკქვეშა გამთბობი მოწყობილობა. ტეპიდარიუმში (თბილ განყოფილებაში) იატაკი ეყრდნობოდა ქვის მთლიან ბოძებს (ტაბ. $XIX_2$), ხოლო კალდარიუმში (ცხელ განყოფილებაში) — ცილინდრული ფორმის ამფორებს, რომელთაც სპეციალურად ჰქონდათ მოტეხილი ძირი და ყელი სახელურებიანად. კალდარიუმში შემორჩენილია აგრეთვე აბაზანა სათავსოს ჩრდილო სწორკუთხა შვერილში და კედელში ჩატანებული წყლის გასაცხელებელი რეზერვუარი. რეზერვუარის ქვეშ შემორჩენილია ქურა, ხოლო თვით რეზერვუარიდან აბაზანაში წყალი შედიოდა ასევე კედელში ჩატანებული კერამიკული მილით.

კომპლექსის აღმოსავლეთი მხარე გაცილებით უარეს მდგომარეობაშია ჩვენამდე მოღწეული და მისი დანიშნულების დადგენა ჯერჯერობით ჭირს, მით უმეტეს, რომ იგი გადაკეთებას განიცდიდა და შემორჩენილ დონეზე აბანოსთან არ იყო დაკავშირებული კარით. კომპლექსის ამ ნაწილზე ჩრდილოეთის მხრიდან მიუშენებიათ მეტად დაბალხარისხოვანი წყობით შესრულებული დიდი აბსიდა ცენტრში ქურის ხვრელით. კომპლექსის ამ ნაწილის გათხრისას აღმოჩნდა გაუგებარი დანიშნულების აგურისმაგვარი დეტალები. ისინი სწორკუთხა განივკვეთის და 20 სმ-მდე სიგრძის არიან. საერთოდ კი აქ ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა საკმაოდ დიდი რაოდენობა არქეოპოლისისათვის დამახასიათებელი ადრეშუასაუკუნოვანი მასობრივი არქეოლოგიური მასალისა (კორპუსშეზნექილ ამფორათა ნატეხები, დაღარულ-და გოფრირებულზედაპირიანი იმპორტულ ამფორათა ფრაგმენტები, პითოსთა, ლუთერიუმთა, ერთყურა დოქთა, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები). ყველაზე მეტად საინტერესო მონაპოვარს კი წარმოადგენს რელიეფურად გამოსახული ბერძნულასოებიანი კერამიკული ფილის ნატეხები, ამფორისკი და რკინის სწორკუთხა კუთხეებში გახვრეტილი ფირფიტები. ეს ფირფიტები, როგორც ჩანს, აბჯარს განეკუთვნებიან.

ძალზე შრომატევადი სამუშაოები წარმოებდა აღმოსავლეთ თავდაცვით ნაგებობებთან, რომლებიც მეტად გრანდიოზული და რთულია, რადგან იცავდნენ ქალაქის მტრისათვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ მხარეს, დაუცველს ბუნებრივი პირობებით. აქ აღმართული იყო სამი ერთმანეთის პარალელური სხვადასხვა დროის ზღუდე კოშკებით და ქალაქის მთავარი ჭიშკრები. 1976 წ. მთლიანად გაიწმინდა კუთხის, ძლიერ დაქანებული კოშკის გარეთა მხარე. 1977 წ. დაიწყო ამ კოშკის გარეთა ნაწილისაგან ტიხრით გამოყოფილი შიგნითა ნაწილის გაწმენდა. აქ უკვე გვხვდება არქეოპოლისისათვის დამახასიათებელი მონაპოვარი. კერძოდ მიკვლეულ იქნა მთლიანად დაცული კერამიკული ჭრაქი და ამფორის ნატეხები ნავთობის კვალით კედლის შიგნითა მხარეზე.

გათხრები მიმდინარეობდა აგრეთვე აღმოსავლეთ ზღუდის ცენტრალური ნაწილის შიგნითა მხარეს, სადაც ცენტრალურ კოშკთან გამოვლინდა ქალაქის უძველესი ამოვსებული ჭიშკრის ნაშთები. ეს ჭიშკარი შიგნითა მხრიდან ფლანკირებული იყო სავალი ნაწილისაკენ მიმართული კარებებიანი ორი საყარაულო სათავსოთი. საინტერესო მონაპოვარს აქაც ჰქონდა ადგილი: რკინის მუზარადის ნაშთები, სალტით წარმოდგენილი; იმპორტული დაღარული

ამფორის ყელის კარგად დაცული ფრაგმენტი; იუსტინიანეს სპილენძის მონეტა; ნოქალაქევისათვის ჯერჯერობით ერთადერთი ვერტიკალურად გაპრიალებული დოქის ფრაგმენტი (ტაბ. $XVIII_2$) და ა. შ.

გათხრები მიმდინარეობდა აგრეთვე ქალაქის ქვედა ნაწილის დასავლეთ ბოლოში (უბ. II, კვ.—12, 13, 14, 19) დიდ აბანოსა და წყალსადენ გვირაბს შორის. აქ გამოვლინდა მანამდე უცნობი მეორე ზღუდის ნაშთები, რომლის გარეთაც აღმოჩნდა ზემოხსენებულ გვირაბში შესასვლელი. ამ და პირველ ზღუდეს შორის გამოვლინდა ძლიერ დაზიანებული კოშკისმაგვარი მომცრო ნაგებობის ნაშთი, რომლის საძირკველი ზღუდეების პერპენდიკულარულ რამდენიმე კედელს წარმოადგენს. აღრეული კულტურული ფენა ამ მონაკვეთზე გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნოვანი მასალის გარდა შეიცავს აგრეთვე ადრეანტიკურ მონაპოვარს, რომელშიც აღსანიშნავია წვრილი ნომინალის კოლხური თეთრი, ყავისფერი თიხის კოლხური ამფორის ძირი, თიხის ჭურჭლის ბადეური ორნამენტით შემკული ქობები. არქეოპოლისის არსებობის ხანის მონაპოვრიდან უნდა აღინიშნოს მინის ლურჯხალიანი იმპორტული ჭურჭლის ფრაგმენტები (IV—V სს) და აგრეთვე უშუალოდ აბანოსთან აღმოჩენილი ამფორისკი, რომლის თიხა ანალოგიურია ადრეშუასაუკუნეების სამოსური ამფორებისა. ნოქალაქევში აბანოებთან ორი ამფორისკის პოვნის ფაქტი მეტყველებს მათ გამოყენებაზე რაღაც ნივთიერებათა (შესაძლოა თხევადი საპნის) შესანახად, რომლებიც ბანაობის დროს გამოიყენებოდა (ტაბ. $XVIII_3$).

1977 წ. არქეოპოლისის ზედაციხეზე გაყვანილ იქნა გზა, რამაც შესაძლებელი გახადა აქ გათხრების დაწყება. ზედაციხეზე გათხრები მიმდინარეობდა სამ ობიექტზე, რომელთაგან ერთ-ერთზე შემთხვევით, გზის გაყვანის დროს, კულტურული ფენის ჭრილში, თავი იჩინეს ამფორებმა. მიწის მეტრნახევრიანი ფენის აღების შემდეგ მთლიანად გამოვლინდა 22 ამფორა (ტაბ. $XX_1$), რომელთაგან 4 აბსოლუტურად მთელი აღმოჩნდა. ამფორები, რომლებითაც, როგორც ჩანს, ეზიდებოდნენ სასმელ წყალს, ორ რიგად ელაგნენ ზედაციხის ზღუდეში ძველ ჭიშკართან მდებარე სათავსოს იატაკზე. ასეთი ტიპის ამფორები არქეოპოლისისათვის დამახასიათებელია. კერძოდ ისინი გამოუყენებიათ II აბანოში იატაკის საყრდენებად. მათი კორპუსი ცილინდრულია, წელშეზნექილი, ძირი წვეტიანია, ყელი მოკლე, წაკვეთილი კონუსისებრი მკვეთრად გამოკვეთილი ქობით. ისინი IV—VII სს. თარიღდებიან.

ზედაციხეზე მეორე ობიექტს, სადაც მიმდინარეობდა გათხრები, წარმოადგენდა ერთადერთი მთლიანად დაცული ჭიშკარი, რომელიც მოთავსებულია ზედაციხის ქვევითა ზღუდეში, ერთ-ერთი მასიური კონტრფორსის გვერდით. გარედან ეს ჭიშკარი ჩანდა ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე, 1977 წელს კი გაწმენდის შედეგად მთლიანად გამოჩნდა მისი შიგნითა ფასადი. აქ დადგინდა ზღუდის ხასიათიც — კონტრფორსის დასავლეთით იგი ქმნის მცირე შვერილს.

მესამე ობიექტს წარმოადგენდა გრძელი, გეგმით სწორკუთხა კოშკი სათავსოთი, რომელიც სამშენებლო ქვით იყო სავსე. ეს უკანასკნელი იწმინდებოდა 1977 წ. აქ გამოვლინდა ნაშთები შიდა კარისა და კარის ნიშისა, რომლის ცენტრშიც იყო მოთავსებული აღნიშნული კარი.

ზედა ციხის ქვედა ზღუდე მოთავსებულია საკმაოდ ციცაბო კლდოვან ფერდობზე. ამ ფერდობიდან ჩანარეცხ ნიადაგს აკავებდა აღნიშნული ზღუდის

ნაშთები, რის გამოც სავსებით შეუძლებელია აქ რაიმე სტრატიგრაფიაზე საუბარი. ზედაციხის გათხრისას ქვედა ზღუდესთან მოპოვებული მასალის რაოდენობა მეტად მცირეა. თავისი ხასიათით ეს მასალა ისეთივეა, როგორც ქალაქის ქვედა ნაწილში მოპოვებული. მხოლოდ აქ შედარებით ხშირად გვხვდება სატყორცნი მანქანებისა და შურდულების სხვადასხვა ზომის ქვის ჭურვები. ყველაზე საინტერესო მონაპოვარს კი წარმოადგენს რკინის დიდი შუბისპირი — ნოქალაქევის მთელი ნაქალაქარისათვის ჯერჯერობით ერთადერთი.

საანგარიშო წლებში ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნის გარეთ მდებარე სამაროვანზე შესწავლილ იქნა ერთი ქვევრსამარხი და 12 ორმოსამარხი (ტაბ. VI, კვ. -18). ამ უკანასკნელთაგან ხუთში მიცვალებულები მოკრუნჩხულ მდგომარეობაში ესვენენ, ხოლო დანარჩენში — ზურგზე გამოლტილად.

ქვევრსამარხი (ტაბ. XX$_2$) აღმოჩნდა კვადრებით ნაგები გალავნიდან 4 მის დაშორებით, უშუალოდ 25 სმ-ის სიმაღლის კირქვის უფორმო ლოდის ქვეშ (გალავნის ცოკოლის დონიდან ლოდი 10 სმ-ით დაბლა მდებარეობდა). სადა ზედაპირის მქონე, შავი ფერისა და გარსდინებადი ფორმის ქვევრი დაფლული იყო ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, პირით აღმოსავლეთისაკენ. პირთან, ჩრდილოეთის მხრიდან, დადასტურდა ადგილობრივი აგურისფერი საშუალო ზომის ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ქვევრს, რომელსაც მდგრადობისათვის რამდენიმე საშუალო ზომის ქვა ჰქონდა შემოწყობილი, მთლიანად აკლდა ძირი. იგი, როგორც ჩანს, მოუხერხავთ. ქვევრის ზევით მიმართული ნაწილი სიგრძეზე იყო გახერხილი ერთმანეთისაგან 30 სმ-ით დაშორებულ ორ პარალელურ ზოლად. ქვევრში აღმოჩნდა ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის უინვენტარო ჩონჩხი.

ქვევრსამარხი ძვ. წ. III—II სს. უნდა დათარიღდეს, რადგან სწორედ ამ ხანას მიეკუთვნებიან დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი გარსდინებადი ფორმის, სადა ზედაპირის მქონე და ჰორიზონტალურად დაფლული სამარხი ქვევრები.

ოთხივე ორმოსამარხი, რომლებშიც მიცვალებულები მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე ესვენენ, 70 სმ, სიმაღლეზე აღმოჩნდა. მათგან პირველში (ტაბ. XX$_3$) მიცვალებულის თავის ქალასთან, სამხრეთის მხრიდან, დადასტურდა წითელი პარალელური სარტყლებით მოხატული აგურისფერი ორყურა ჭურჭელი (ტაბ. XVIII$_4$) გარეთ გადაშლილი პირითა და მაღალი, ცილინდრული ფორმის ყელით, რომელიც შეუმჩნევლად გადადის თანაბრადმომრგვალებულ ფაბალქუსლიან კორპუსში. პირს ქვემოთ მიძერწილი მორკალული ყურები კორპუსთან მიერთების ადგილას შემკულია უნაგირისებრი შვერილებით, ხოლო ერთი ყური, გარდა ამისა, მოხრის ადგილას — დანაძერწით (მეორე ყური ნაკლულია და ამდენად ვერაფერს ვიტყვით მის შესახებ).

მიცვალებულის ერთ-ერთი ხელის ძვალზე, მაჯასთან და იდაყვთან, წყვილწყვილად იყო განლაგებული ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული 4 პირხსნილი, ზურგშეზნექილი სამაჯური, რომელთა თანდათან გამსხვილებული ბოლოები დაწახნაგებული და ჩამოჭრილია. ამ სამაჯურთა-

გან ერთ-ერთს გრეხილი ტანი აქვს, ხოლო მეორეს — ბოლოები წერტილოვანი ორნამენტით შემკული.

მეორე სამარხი (ტაბ. $XX_3$), რომელიც პირველისაგან რამდენიმე ათეული სმ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩნდა, წყვილადი გამოდგა. აქ გამოვლენილი ორი ჩონჩხი — ერთი ზრდადამთავრებული ადამიანის ზომის, მეორე კი, გაცილებით უფრო მომცრო — ერთმანეთის გვერდიგვერდ, მჭიდროდ მიკრულ მდგომარეობაში დადასტურდა. დიდი ჩონჩხის თავის ქალასთან გამოვლინდა კილა, ქვედა კიდურებთან — დოქი, ხოლო ერთ-ერთი ხელის ძვალზე ჩამოცმული იყო წყვილი პირხსნილი, ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული ზურგშეზნექილი სამაჯური თანდათან გამსხვილებული, დაწახნაგებული და ჩამოჭრილი ბოლოებით — ზუსტად ისეთები, როგორებიც პირველ სამარხშიც აღმოჩნდა. მომცრო ჩონჩხის ფეხთით კი წითელი საღებავით შესრულებული პარალელური სარტყლებით შემკული დოქი იდო. გარდა აღნიშნულისა, ეს წყვილადი სამარხი შეიცავდა აგრეთვე ორ წყვილ საყურე რგოლს და 22 მცირე ზომის მინის მძივს.

მესამე სამარხი პირველისაგან 3 მ-ით სამხრეთით გაითხარა. მიცვალებულის თავის ქალაზე მიდებული იყო ჭინჭილა, ხოლო ერთ-ერთი ხელის ძვალზე ჩამოცმული აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული სამაჯური მკვეთრად გამსხვილებული და ძლიერ ორნამენტირებული ბოლოებით. მეორე ასეთივე სამაჯური უშუალოდ სამარხში დადასტურდა. გამოვლინდა აგრეთვე წყვილი საყურე რგოლი და 11 ცალი წვრილი მძივი.

მეოთხე სამარხი მესამისაგან ორიოდე მეტრით დასავლეთით მდებარეობდა. გარდა კისრის არეში აღმოჩენილი სფეროსებრი, მცირე ზომის რამდენიმე მინის მძივისა, სხვა ინვენტარი აქ არ აღმოჩნდა.

ზემოაღწერილ სამარხთა ჯგუფი ძვ. წ. I ს. თარიღდება.

უთუოდ ამავე დროის არ არის სამარხი ასევე მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე, მაგრამ თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით დასვენებული მიცვალებულით. აქ დადასტურებული ადრეელინისტური იერის ზარაკი ასეთ ვარაუდს საეჭვოს არ ხდის.

შვიდ სამარხში მიცვალებულები ზურგზე გაშოტილი ესვენენ. მათგან ექვსში თავით დასავლეთით, ხოლო ერთში — სამხრეთ-დასავლეთით. ეს სამარხი, ისევე როგორც 1976 წ. გათხრების № 6 და 1977 წ. გათხრების № 5, № 4 და № 1, სრულიად უინვენტარო აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელში მიცვალებული სამ ერთნაირ კრამიტზე (35×50×30 სმ) იყო დაკრძალული. 1976 წ. გათხრების № 4 სამარხში მიცვალებულის გულმკერდის არეში ორი ერთმანეთის მსგავსი, ჯვრისებრი ტიპის ბრინჯაოს მშვილდსაკინძი დადასტურდა, რომელთაგან ერთ-ერთი იმდენად იყო დაჟანგული, რომ სამარხიდან ამოღებისას დაიშალა. ასეთი მშვილდსაკინძები IV ს. მეორე ნახევრით — V ს. პირველი ნახევრით თარიღდებიან[1]. 1977 წ. გათხრების № 3 სამარხში (ტაბ. $XX_4$) გამოვლინდა მძივი, ბრინჯაოს ოთხკუთხაფარაკიანი რკალშეკრული ბეჭედი და ჯვრისებრი ტიპის ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, რომელიც V ს.—VI ს. დასაწყისით თარიღდება[2].

[1] ნ. აფხაზავა, ადრეფეოდალური ხანის ქართული სამკაული, თბ., 1976, გვ. 47 (ხელნაწერი).

[2] იქვე, გვ. 21.

საანგარიშო წლებში ნოქალაქევის სამაროვნის ტერიტორიაზე გარდა სამარხებისა შესწავლილ იქნა აგრეთვე კულტურული ფენაც. კულტურული ფენიდან მომდინარე იმპორტული მასალიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ნოქალაქევში მანამდე დაუდასტურებელი რელიეფური კერამიკა, რომელიც ე. წ. მეგარული თასების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. გარდა აღნიშნულისა, იმპორტული მასალა შეადგინა აგრეთვე როგორც შავლაკიანი ისე წითელლაკიანი კერამიკისა და ამფორათა ფრაგმენტებმა, რომლებიც, საფიქრებელია, ელინისტური მცირე აზიის სახელოსნო ცენტრების პროდუქციას განეკუთვნებიან. ადგილობრივი კერამიკა წარმოდგენილია წინარეანტიკური და ანტიკური პერიოდებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ზოომორფული და მილიანი ყურების მქონე ჭურჭლების, ჯამების, დოქების, თასების, ქვევრების, ამფორათა და სხვა ჭურჭლების ნატეხებით, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, შემკულია კოპებით, ბადური, ტალღური, თევზიფხური და ცერად დაშტრიხული ორნამენტით. ცალკეული ნივთებიდან აღსანიშნავია მონეტა (კოლხური თეთრი), ზარაკი და რომელიღაც ცხოველების მცირე ზომის ქანდაკებების ფრაგმენტები.

ექსპედიცია უშუალოდ ნაქალაქარზე მუშაობის პარალელურად ეწევა ნოქალაქევის მიდამოების შესწავლას. ყოველ წელს ეწყობა სხვადასხვა მასშტაბის გასვლები დაზვერვების მიზნით. წელს ამ მხრივ ჩატარებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია აღმოჩენები ნოჯიხევში, რომელიც მდებარეობს ნოქალაქევის ჩრდილო-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე. 1976 წელს, როდესაც გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. ელიავამ პირველად გვაჩვენა შემთხვევითი აღმოჩენის ადგილი და ნივთები, ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ საქმე გვქონდა აბანოსთან. ამ აბანოს გათხრა ჩვენ დავიწყეთ 1977 წელს აგვისტოში. მიმდინარე სეზონში ჩვენ მოვასწარით მხოლოდ აბანოსა და ეკლესიის გაწმენდა.

ჩვენი გასათხრელი ადგილი მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირზე ჭალას წარმოადგენს (მდინარემდე სამასიოდე მეტრია). სწორი ზედაპირიდან ორ ადგილას 4—5 მეტრის შემაღლებაა. ირგვლივ გალავანი გასდევს, ამიტომაც მას „ჯიხას“ (ციხეს) ეძახიან. როგორც ფიქრობენ, ეს უნდა იყოს განთქმული ბანძის ციხე. ამას ყველაფერს მომავალი მუშაობა გაარკვევს.

რამდენადაც წინასწარ ამისი თქმა შეიძლება, აქ საქმე გვაქვს გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის დიდებულის რეზიდენციასთან, რადგან ჩვენს მიერ აღმოჩენილი აბანო და ეკლესია კომპაქტურადაა განლაგებული. იქვე სადღაც უნდა იყოს სასახლე და სხვა მათთან დაკავშირებული ნაგებობები. მაგრამ ასევე წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპლექსი დიდი არ ყოფილა.

საქართველოში დღემდე აღმოჩენილი აბანოებიდან ნოჯიხევისა ყველაზე პატარაა (მისი გარე ზომებია: 10,0×5,5 მ). სამწუხაროდ, აბანო ისეა დანგრეული, რომ მისი მთლიანი გეგმის აღდგენა არ ხერხდება.

გარე სწორკუთხედში მოქცეული აბანოდან ნაწილობრივ გადარჩენილია იატაკქვეშა სივრცე (ტაბ. XXI). ეს აბანო იმ დროს გავრცელებული სხვა აბანოებიდან იმით გამოირჩევა, რომ მას აქვს მხოლოდ ერთადერთი სათავსი — ცხელი განყოფილება. ჩანს, რომ საცეცხლე-საქვაბე ჩრდილოეთით იყო მოწყობილი. საცეცხლეს სამხრეთით მოსდევს ცხელი საბანაო, რომლის ქვეშ

თიხის კერამიკული სადგარებია დარჩენილი. იქვე გვერდით, დასავლეთისაკენ, წრიული აუზი ყოფილა, როგორც ეტყობა, იგი შემდეგში დიდი გამომდგარა და შუაზე კედლის ჩაშენებით გაუნახევრებიათ. მისი შიდა ძირი ჰიდრავლიკური ხსნარით კარგად იყო შელესილი. აბანოს ირგვლივ გათხრები ჯერჯერობით არ ჩატარებულა, ამიტომ ვერ დადგინდა თუ საიდან იღებდნენ წყალს. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ვარიანტში იგი ჩრდილოეთიდან მოემართებოდა, რადგან აღმართი აქეთკენაა. ამ მხარეს, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე, წყაროს წყალია. მათ შეეძლოთ წყალი გამოეყვანათ მდინარე აბაშის ნაპირიდანაც.

აბანო ნაგებია ძირითადად რიყის ქვით, ყორეს გამოყენებით, შიგნით კი სადგარებზე აგურიცაა გამოყენებული.

აბანოდან ოციოდე მეტრზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდებარეობდა ნახევარი მეტრის სიმაღლის ბუჩქნარი. მისმა გაწმენდამ გამოავლინა ეკლესიის საძირკველი, რომელიც მიწის დონეზე იყო შერჩენილი. ეკლესიის მხოლოდ გეგმა იკითხება; იგი პატარა ზომის ტიპიური ტეტრაკონქია (ტაბ. XXI$_2$). (გარე ზომები: 5,6×5,6 მ). გეგმა ოთხი ნახევარწრიული აფსიდის ჯვარედინად მიდგმითაა მიღებული. მათ გადაკვეთაზე გუმბათი იქნებოდა დადგმული. სამწუხაროდ, ეკლესიის კედლების მხოლოდ ქვედა ნაწილია შერჩენილი და კარიც კი არსად ჩანს. ეკლესიის აფსიდების იეერთებისას გარედან პატარა შვერილებია. ეკლესია ნაგებია ისევე, როგორც აბანო, რიყის დიდი ქვით. აქა-იქ ურევია ყორე ქვაც.

ამ ეკლესიის აღმოჩენა ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის შესამჩნევ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ნამდვილი ტეტრაკონქი აღმოსავლეთ საქართველოში იყო ცნობილი მხოლოდ გავაზის ძეგლის სახით. ამ ტიპის სხვა ძეგლები საქართველოში წმინდა ტეტრაკონქები არ არის, არამედ ნიუანსებითაა, ჩვენი შემთხვევა კი წმინდა ტეტრაკონქია. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ამ ტიპის ძეგლები დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით ცნობილი არ იყო (ჯვარზენის ჯერ შეუსწავლელი ეკლესია — ტრიკონქია, დასავლეთის სწორკუთხა მკლავით).

ნოჯიხევის ძეგლის დათარიღება შეიძლება ანალოგიებით, რომლებიც გავრცელებული არიან V ს. ბოლოს და VI საუკუნეში. ამავე თარიღზე მეტყველებს აბანოც.

იქვე რამდენიმე ნაბიჯზე მდებარე ორ გორაზე ჭრილები გავავლეთ. აღმოჩნდა ეკლესიის და რაღაც შენობების კედლები. კულტურული ფენა მეტად ღარიბია.

ნოჯიხევში, ალბათ ისე, როგორც ნოქალაქევში, რამდენიმე წელი კიდევ გაგრძელდება გათხრითი სამუშაოები.

П. ЗАКАРАЯ, В. ЛЕКВИНАДЗЕ, Г. ГВИНЧИДЗЕ

# ОТЧЕТ РАБОТ НОКАЛАКЕВСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ПРОВЕДЕННЫХ В 1976—1977 гг.

Резюме

(Табл. XVIII—XXI)

В течении указанных лет продолжались раскопки дворцового здания, расположенного в самом центре нижней части города. Здание это прямоугольное в плане, двухслойное, трехэтажное (сохранилось частично лишь два этажа), с сохранившейся наружной капитальной лестницей, ведущей на третий этаж. Датируется предварительно древнейший слой этого сооружения V—VI вв. Внутри и возле этого здания найдены вещи двух периодов — раннесредневекового (крестовидная фибула, обломки раннесредневековой стеклянной посуды, много антефиксов с изображением креста) и позднесредневекового (поливная и фаянсовая керамика).

Велись также раскопки уже второй по счету в Нокалакеви бани и пристроенного к ней с восточной стороны длинного сооружения (или сооружений), плохая сохранность которого не позволяет пока судить о его назначении. Сама же баня, отличающаяся небольшими размерами, состоит из трех помещений: вестибюля раздевалки, теплого отделения и горячего. Два последних помещения имеют подпольное отопление. В вестибюле же сохранилась редкая деталь — окно. Хорошо сохранились в бане также топка с расположенным над ней в стене резервуаром для горячей воды, поступавшей в бассейн по керамической трубе, вмонтированной в толщу стены.

При раскопках бани и упомянутого «длинного» помещения найдено было много характерного для Нокалакеви археологического материала (см. предыдущие отчеты), среди которого особо следует отметить керамический амфориск, обломки керамической плиты с рельефными греческими буквами и многочисленные керамические «бруски» квадратного сечения (сторона = 5—10 см) длиною до 20 см неясного пока назначения.

Наиболее интенсивные и трудоемкие работы велись в 1976 — 1977 гг. у восточных оборонительных сооружений нижней части города, представляющих собой три разновременные параллельные оборонительные стены, древнейшей из которых является средняя. Стены эти здесь были самыми мощными и высокими в Нокалакеви, в связи с тем, что город с этой стороны не был защищен условиями рельефа.

Экспедиция выявила пристроенные к этим стенам снаружи две башни, а также пристроенные изнутри возле остатков древнейших ворот помещения караульного назначения, внутри которых найдены были остатки шлема, панцыря, несколько десятков наконечников стрел, медная монета Юстиниана, много керамики и т. д. Среди же находок в угловой башне города следует упомянуть целый и изящный светильник из глины.

Продолжались раскопки и возле первой бани в западном конце города, где вместе с раннесредневековыми материалами (амфориск, обломки стеклянного стакана с синими напаями и т. д.) попадаются

вещи и раннеантичного происхождения (колхидка, донышко колхидской амфоры из коричневой глины, венчики с сетчатым орнаментом).

Проведение дороги на акрополь города в 1977 г. дало возможность экспедиции начать раскопки и здесь. Один раскоп в акрополе был заложен внутри первой ограды возле сохранившейся целиком вылазной калитки, расположенной рядом с массивной башней, а второй внутри башни, имевшей помещение. Массового археологического материала здесь было найдено мало, но в нем следует отметить каменные ядра различных размеров (для пращей и метательных машин) и один большой наконечник копья — пока единственный среди нокалакевских находок.

Самая же интересная находка в акрополе это 22 одинаковые раннесредневековые местные амфоры с перехватом на корпусе, которые лежали все вместе на полу одной ниши, устроенной во второй ограде акрополя возле ворот. Четыре амфоры из них оказались целыми, остальные же могут быть восстановлены.

Велись раскопки в Нокалакеви также и на территории могильника, расположенного перед нижней частью города и под акрополем. Здесь было раскопано одно кувшинное погребение и 12 грунтовых. Кувшинное погребение оказалось без инвентаря; датирует его сам кувшин (квеври) III—II вв. до н. э.

В пяти грунтовых погребениях из двенадцати покойники лежали в скорченном положении, в семи же — в вытянутом. Четыре грунтовых погребения с костяками, лежащими в скорченном положении на левом боку и головой на восток, имели погребальный инвентарь: бусы, браслеты с прогнутыми спинками и керамику, среди которой особенно интересны сосуды с простой росписью в виде поясков. Датируются они все I в. до н. э. В пятом погребении со скорченным костяком найден был раннеэллинистический колокольчик.

Большая часть погребений с вытянутыми костяками оказалась без инвентаря, если не считать одного погребения, где костяк лежал на трех черепицах—соленах. В двух погребениях этого типа оказались бусина, бронзовый перстень со щитком и бронзовые крестовидные фибулы, которые датируют эти погребения второй половиной IV—первой половины V вв. и V—началом VI вв.

На территории нокалакевского могильника, расположенного на склоне, зафиксирован был также и перемешанный культурный слой, содержащий материалы различных эпох — начиная с предантичной и кончая позднесредневековой. В этом культурном слое представлены черепки как местной керамики, так и импортной. Особенно много импортной керамики эллинистического времени — это обломки «мегарских чаш», чернолаковой керамики; амфор, происходящих, по-видимому, из малоазийских центров. Позднеантичной же римской краснолаковой керамики на территории могильника найдено больше, чем на территории самого городища.

Местная же керамика представлена в культурном слое главным образом черноглиняными и сероглиняными черепками предантичного, раннеантичного и эллинистического времени. Это зооморфные и трубчатые ручки, фрагменты от сосудов, украшенных сетчатым,

елочковидным, насечкообразным, волнистым и прочим орнаментом; рельефным орнаметом в виде выпуклостей, отростков и т. д.

Вместе с работами в самом Археополисе экспедиция занималась также и изучением его окрестностей, в связи с чем здесь производились разведки различных масштабов. В 1977 г. начаты были раскопки в с. Ноджихеви, где были раскопаны пока остатки маленькой бани с подпольным отоплением и только одним помещением, а также остатки церкви с редкой формой плана — тетраконх. Рядом с этими памятниками имеются и остатки довольно большой крепости, раскопки которой лишь предстоят.

რ. დოლაბერიძე

# მთათუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში

(ტაბ. XXII—XXVI)

1976 წელს მთათუშეთის არქეოლოგიური ექსპედიცია[1] საველე სამუშაოებს აწარმოებდა სოფელ შენაქოს განაპირას მდებარე ნიშტაყოს ბორცვზე (საქართველოს სსრ, ახმეტის რაიონი). სოფელი შენაქო თუშეთის მაღალმთიან რაიონში მთათუშეთის ადმინისტრაციული ცენტრის ომალოს აღმოსავლეთით დაახლოებით 5—6 კილომეტრზე მდებარეობს, მდინარეების პირიქითი ალაზნისა და თუშეთის ალაზნის შეერთების აუზში. ზემოაღნიშნული მდინარეები სოფლების ომალოსა და შენაქოს მიდამოებში ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიემართებიან. ომალოდან 3—4 კილომეტრით სამხრეთით თუშეთის ალაზანი მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისაკენ და სოფელ შენაქოდან დაახლოებით 3 კილომეტრზე უერთდება პირიქით ალაზანს, რის შემდეგ, ანდის ყოისუს სახელწოდებით მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დაღესტნისაკენ (სურ. 1).

მდინარე ანდის ყოისუ და პირიქით ალაზანი სოფელ შენაქოს მიდამოებში ვიწროდ და ღრმად ჩაჭრილ ციცაბო ფერდობებიან ხეობებს ქმნიან. ამ ხეობებს შუა რელიეფი მკვეთრად ამაღლებულია და წარმოადგენს სამხრეთისაკენ დაქანებულ მაღალმთიან ზეგანს, რომლის ფართობი დაახლოებით 2—3 კვადრატულ კილომეტრს აღწევს. ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით ზეგანი ვიწროვდება და ქმნის მცირე ქედისმაგვარ დაბოლოებას, სადაც სოფელი შენაქოა განლაგებული.

სოფლის თავზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირას, შემაღლებაზე XIX ს. აგებული ეკლესია დგას. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით რელიეფი თანდათან დაბლდება და მცირე უნაგირას საშუალებით გადადის საკმაოდ მაღალ ნიშტაყოს ბორცვში, რომლის ძირას ფიქლებისაგან მშრალად ნაგები სწორკუთხა ფორმის წმინდა სამების ნიშია.

უნაგირასა და შენაქოს ბორცვის წვერს შორის, ბორცვის ზედა ნაწილში მცირე ზომის ტერასისებური გავაკება, რომელზედაც ამჟამად საქონლის

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: რ. დოლაბერიძე (ხელმძღვანელი), მ. სინაურიძე (უფროსი მეცნიერ თანამშრომელი), რ. რამიშვილი (უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი), გ. ანდღულაძე, ზ. ოთხმეზური (მოწვეული პირები).




სურ. ნიშტაყოს ბორცვის მდებარეობის სქემატური რუკა.

ბაკია შემოღობილი. უნაგირასა და ნიშტაყოს ბორცვის წვერს შორის მანძილი 80 მეტრს, ხოლო სიმაღლეთა სხვაობა 17—18 მეტრს აღწევს. უნაგირასა და სოფლის ეკლესიას შორის მანძილი 50—55 მეტრია, სიმაღლეთა სხვაობა კი 5 მეტრს არ აღემატება.

ნიშტაყოს ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობი ციცაბო და ქარაფოვანია, ასევე ციცაბოა ნიშტაყოს ბორცვის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობი, მაგრამ ნაკლებ ქარაფოვანი. ეს უკანასკნელი ტყიანია, აქ იზრდება მცირე სიმაღლის წიწვიანი ხეები. ბორცვის დანარჩენ ფერდებზე კი მხოლოდ ალპური ბალახი ხარობს. ნიშტაყოს ბორცვის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდები შედარებით დამრეცია. ნიშტაყოს ბორცვის ძირითადი ქანები ქვედაიურული შავი და მუქი ნაცრისფერი თიხა-ფიქლებითაა წარმოდგენილი. ზოგან ისინი ზედაპირზეც შიშვლდებიან.

ნიშტაყოს ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით ხევს გაღმა გაშლილ ფერდობზე ზამთრის სადგომი ბინები — ბოსლებია გაშენებული. აღნიშნულ ხევს ქმნის ბოსლებთან მდებარე წყაროს წყლიდან წარმოშობილი პატარა მდინარე, რომელიც ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან გარს უვლის ნიშტაყოს ბორცვს, მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და ნასოფლარ

აგიურთადან აღმოსავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრზე უერთდება ანდის ყოისუს. ზემოაღნიშნული პატარა მდინარის მარცხენა მხარეს კურეხის გორაა, რომლის ძირში, წყლის პირას ნასოფლარ აგიურთას ზამთრის სადგომი ბოსლების ნანგრევებია. ამ ფერდობზე წინა წლებში გეოლოგების მიერ სადაზვერვო მაგისტრალური თხრილების გაყვანის დროს თავი იჩინა გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის არქეოლოგიურმა მასალამ[2].

1975 წელს მთათუშეთში სამუშაოების დაწყებისას, წოვათას ნასახლარების დაზვერვისა და თითო-ოროლა გვიანფეოდალური ხანის სამარხის გათხრასთან ერთად, ექსპედიციამ მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ნიშტაყოს ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე — დაიწყო სადაზვერვო I თხრილის გათხრა[3]. თხრილმა ჩაქცეული ფიქლები და ხის ძელების დანახშირებული ფრაგმენტები — ხანძრისაგან დაღუპული შენობის მანიშნებელი მასალა მოგვცა. საყურადღებო აღმოჩნდა აგრეთვე აქ გამოვლენილი არქეოლოგიური მონაპოვარი — ბაგრატ IV ვერცხლის მონეტა, მრავალრიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტები და ლითონის ნივთები[4]. ამ მონაცემების საფუძველზე ექსპედიციამ მიზანშეწონილად მიიჩნია 1976 წ. სამუშაოების გაგრძელება ბორცვის ამ უბანზე დაწყებულ თხრილში, რომელიც დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ.

ძეგლის ხასიათისა და სტრატიგრაფიის დასადგენად გადაწყდა დაწყებული თხრილის ჩაღრმავების გზით კულტურული ფენების გამოვლენა და შესწავლა.

1975 წელს გაითხარა 32 კვადრატული მეტრი ფართობი; ძირითადად დავედით 0,70—0,80 მ სიღრმეზე. მხოლოდ ზოგან მაქსიმალურმა სიღრმემ 1—1,20 მ მიაღწია. რადიოკარბონული დათარიღებისათვის 0,60 მ და 0,80 მ სიღრმეზე ავიღეთ ხის ნახშირის ნიმუშები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიაში 0,60 მ აღებული ნიმუში (ТБ—222) ახ. წ. 340±50 წ. დათარიღდა, ხოლო 0,80 მ სიღრმეზე აღებული ნიმუში (ТБ—221) — ახ. წ. 300±50 წ.

1976 წ. I თხრილი საკმაოდ ჩაღრმავდა. 1,30—1,50 მ დონეზე ალაგ-ალაგ თავი იჩინა ჰორიზონტულად განლაგებული დანახშირებული ძელების ფენამ, რომლის ასაკი რადიოკარბონული ანალიზის მეთოდით (ТБ—299) ძვ. წ. 16±50 წ. განისაზღვრა. ამ ფენის პრეპარაცია ჩვენ არ მოგვიხდენია, დავაფარეთ ფიქლები და მიწა. სავარაუდო შენობის გეგმის გამოვლინების მიზნით გადავწყვიტეთ თხრილის გაფართოება.

ნახშირიანი დონის ზევით მდებარე კულტურული ფენა ნივთიერი მასალით მდიდარი აღმოჩნდა. დიდი რაოდენობით ამოვიდა ფიქლები — ზოგან ისინი

---

[2] მასალა დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში. იხ. ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976, გვ. 49.

[3] ჩვენ მიერ გასათხრელად არჩეული უბანი, ადგილობრივი მცხოვრებლების მითითებით, უშუალო გაგრძელებაა იმ ადგილისა, სადაც 1964 წ. საინტერესო არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული. იხ. რ. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973.

[4] რ. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, მთათუშეთის დაზვერითი არქეოლოგიური ექსპედიციის (1975 წ. ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977 წ., გვ. 145—156.

ჩაქცეული კედლების შთაბეჭდილებასაც კი ახდენდნენ; გვხვდებოდა დამწვარი ხის ძელების ნაშთები, მაგრამ ხანძრის შედეგად ნგრევა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ კედლების მიმართულების ან გადახურვის კონსტრუქციის დადგენა ზედა ფენაში არ მოხერხდა. არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი. აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს ქამრის წვერი (ტაბ. XXV), რკინის დანა, რაზა და სხვა გაურკვეველი დანიშნულების ნივთები (ტაბ. XXVI).

კერამიკა დიდ-პატარა ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი და დღესდღეობით არცერთი მთელი ჭურჭელი არ არის ფიქსირებული. მოხერხდა მხოლოდ რამდენიმე ჭურჭლის აღდგენა იმდენად, რომ შეგვიძლია მათ ფორმაზე მსჯელობა. ფრაგმენტების მცირე ზომა უმთავრესად არ გვაძლევს ჭურჭლის ფორმის მთლიანად წარმოდგენის საშუალებას, მაგრამ ჭურჭლის ამა თუ იმ ტიპისათვის მათი მიკუთვნება, ზოგ შემთხვევაში პირობით შესაძლებელია.

შენაქოს კერამიკული მონაპოვარი სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლეულითაა წარმოდგენილი: ჯამები, ბადიები, კოჭობ-ქოთნები, ქილები, პირმოყრილი ჭურჭლის სხვადასხვა ვარიანტები, დერგები; უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, სარქველი და დაბალყელიანი ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი.

ჯამებს შორის ფორმისა და შემკულობის თვალსაზრისით სხვადასხვა სახეები ჩანს გავრცელებული. ერთ მათგანს ცილინდრული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს, შემკულია პირს ირგვლივ მიძერწილი წნულსახოვანი სარტყლით — სიმაღლე 13 სმ. მსგავსი ფორმის ჯამების ფრაგმენტები გამოირჩევიან ერთმანეთისაგან კედლის სისქით, გამოწვის ხარისხით, ორნამენტული სარტყლის ზომით და ორნამენტის სიმკვეთრით — შესრულების სიფაქიზით. ცილინდრული ფორმის ჯამის ფრაგმენტები შემკულობის გარეშეც გვხვდება. ისინი ხასიათდებიან შესქელებული პროფილირებული პირით. მეორე ჯამს ფართოდ გაშლილი გვერდები, მომრგვალებული, ოდნავ შესქელებული პირი და ბრტყელი ძირი აქვს — სიმაღლე 15 სმ. ამგვარი ჯამის ფრაგმენტები მრავლადაა აღმოჩენილი როგორც გასული, ისე ამ წლის მონაპოვარში. ცალკე უნდა გამოიყოს და შემდგომში კიდევ დანაწევრდეს მსგავსი ფორმის, შედარებით თხელკედლიანი ჯამის ფრაგმენტები. მათი პირი უმთავრესად სადაა, ზოგჯერ კი მხატვრულად გაფორმებული — მოკლე ირიბი ღარებით ან ნაჭდევებით — ტალღურკიდიანი. ორნამენტი დატანილია გარეთა კიდეზე ან პირის ორივე მხარეს. აღსანიშნავია ნატეხები, რომელთა ვიწრო, ჰორიზონტალური პირი დამატებით მრგვალი ნაჭდევებით, ღრმულებითაა შემკული, აგრეთვე ჯამის ფრაგმენტები პუნქტირისებრი ღრმა ნაჭდევებით პირს ქვევით. გვაქვს ორი ნატეხი გოფრირებული კიდით. შენაქოს ჯამების ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია კონცენტრული წრეხაზებით შემკული ფართო ჰორიზონტალური პირი. ჯამის ერთ ნატეხზე კომბინირებულადაა გამოსახული კონცენტრული წრეხაზები პირზე და რელიეფური წნული სარტყელი პირს ირგვლივ. ჯამის რამდენიმე ნატეხს პირზე, რომელიც შიდა მხრისაკენ მცირედაა დაქანებული, წმინდად ამოღარული წიწვისებური სახე აქვს დატანილი; ამგვარი პირი აქვს შარშან აღმოჩენილი ორყურა, ჯიხვის თავებით შემკულ დიდ ჯამს. პირობითად ჯამებს ვაკუთვნებთ, აგრეთვე, ფრაგმენტებს მომრგვალებუ-

ლი პირითა და დაბალი გამოყვანილი ყელით, რომელიც უმნიშვნელოდ გამო. ბერილ მუცელში გადადის.

ჯამს მიეკუთვნება ფრაგმენტი ჰორიზონტალური შესქელებული პირით, რომლის გვერდი შემკული ყოფილა ჯიხვის თავის გამოსახულებით. ამჟამად შერჩენილია მხოლოდ რქის ნაწილი.

ბადიები ორი, ნაწილობრივ აღდგენილი ეგზემპლარით და რამდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი. ბადიები დაბალია, ყურიანი. ერთი მათგანი ხასიათდება ჰორიზონტალური თხელი პროფილირებული პირით, მცირედ გამოყვანილი ყელით, ოდნავ გამობერილი ქვევით შევიწროებული მუცლით და ბრტყელი ძირით. მუცლის ქვედა ნაწილში ყურის მიძერწვის ადგილია შერჩენილი. პირი ორი ამოღარული კონცენტრული წრეხაზითაა შემკული, სიმაღლეა — 8 სმ. მეორე ბადიას გაშლილი, წინა ნიმუშთან შედარებით ვიწრო ჰორიზონტალური პირი აქვს. პირს ზევიდან და გვერდზე ირგვლივ არამკვეთრად ამოღარული თითო წრეხაზი შემოუყვება. სუსტად გამოყვანილი ყელი გადადის მცირედ გამობერილ მუცელში, რომელსაც მიძერწილი წვრილი წიბო აქვს შემოვლებული. მუცელი ქვევით შევიწროებულია, ძირი ბრტყელია და ფართო, სიმაღლე — 9,3 სმ (ტაბ. XXII).

ქოთნები მრავალრიცხოვანია, მაგრამ არცერთი მთელი ცალი არა გვაქვს. ამიტომ მათი ფორმის შესახებ მსჯელობა ზოგადად, ცალკეული ნაწილების მიხედვით გვიხდება. როგორც ფრაგმენტებიდან ჩანს, ქოთნების სხვადასხვა ვარიანტებთან უნდა გვქონდეს საქმე. გარეთ გადმოკეცილი ფართო პირი სხვადასხვაგვარადაა პროფილირებული, ყელი გამოყვანილია, მეტ-ნაკლები სიმაღლის, უმთავრესად კი დაბალი, განსხვავება აღინიშნება მათ ზომაშიც. ძირი ყველას ბრტყელი უნდა ჰქონოდა. გვერდებისა და მუცლის მცირე ფრაგმენტებით ფორმის დადგენა ვერ ხერხდება. რამდენიმე ნატეხს, რომლებიც პირობითად შეიძლება ქოთნებს მივაკუთვნოთ, ბრტყელი, შეერთების ნაწილებში გაფართოებული, მოკლე, ვიწროხვრელიანი ყურები აქვს მიძერწილი; ამგვარი ყურები ცალკეც გვხვდება. ზოგიერთი ფრაგმენტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქოთნების შემკულობაზე. ორნამენტი მარტივია — ღრმად ამოღარული თოკისებური ან წნული ორნამენტული სარტყლები. უმრავლესობა კი სადა უნდა ყოფილიყო. ქილებს მივაკუთვნებთ შედარებით ვიწროპირიან და მაღალყელიან ფრაგმენტებს. აღსანიშნავია სქელკედლიანი დიდი ჭურჭლის, შესაძლებელია დერგის, ფრაგმენტები. ჰორიზონტალური პროფილირებული პირი გამოყვანილ ყელსა და დაბალ მხრებში გადადის, ყელს ქვევით თოკისებური ორნამენტია შემოყოლებული (ტაბ. XXII).

პირმოყრილი ჭურჭელი, როგორც ფრაგმენტებიდან ჩანს, აგრეთვე განსხვავებული ზომისა და ფორმის უნდა ყოფილიყო. ერთი მათგანი შეიძლება მივაკუთვნოთ მცირე ზომის ბადიას, ორი — ქოთანს, ორი — კოჭობს. პირს ირგვლივ მათ მარტივი ორნამენტული სახეები აქვთ შემოყოლებული — მძივისებრი ნაჭდევების რიგი ან ამოღარული წიწვისებური სახე. შენაქოს კერამიკულ კომპლექსში მრავლადაა ფრაგმენტები, რომელთა მიკუთვნება ამა თუ იმ ჭურჭლისათვის ძნელია. მათ შორის აღსანიშნავია კანელურებით შემკული ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები; თხელკედლიანი ჭურჭლის პირის ნატეხი, შემკული გრავირებული ტეხილხაზოვანი ორნამენტით. პირობითად ჭურჭლის

ყელს შეიძლება მივაკუთვნოთ სამი ფრაგმენტი: ერთი მათგანი ირგვლივ წნუ-
ლი ორნამენტითაა შემკული, მეორე — ირიბი ღარებით, მესამე კი ურთიერთ-
პარალელურად განლაგებული რელიეფური ზოლებით (ტაბ. XXII). აქვე
გვინდა აღვნიშნოთ, რომ მაღალყელიანი, სითხისათვის განკუთვნილი ანუ საღვი-
ნე ჭურჭელი შენაქოს მასალებს შორის არ გვხვდება.
განათხარ მასალაში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა ჭურჭლის
ყურები. წარმოდგენილია როგორც ბრტყელი მოკლე ყურები, ზოგჯერ ოდ-
ნავ ნაპირებშემაღლებული, რომლებსაც ჩვენ ქოთნებთან დაკავშირებით ვახ-
სენებთ, ისე განსხვავებული ვარიანტები — მოგრძო ბრტყელი ყურები, წიბო-
იანი და ოვალურგანივკვეთიანი ყურის თითო-ოროლა ნიმუში. ყურების ნაწი-
ლი ორნამენტირებულია. გვხვდება ღრმად ამოღარული წიწვისებური სახე.
ერთი ყური პირამიდისებურად განლაგებული სამი მრგვალი ნაჭდევით და მათ
ქვევით შტამპით შესრულებული წერტილ-წრის ორნამენტითაა შემკული, მეო-
რე — სიგრძეზე განლაგებული წერტილ-წრის ორნამენტით, მესამე — მრგვალი
ნაჭდევებით და მათგან სხივურად გამომავალი ღრმა ღარებით. აღსანიშნავია
ნახევარწრიული მორჩისებური ბრტყელი ყურები. ერთი მათგანი სადაა,
მეორეს კი კიდე ირიბი ნაჭდევებით აქვს შემკული, ამგვარი ორი ყური გასუ-
ლი წლის მონაპოვარშიც გვაქვს (ტაბ. XXIII). ყურების ერთი მცირე ჯგუფი
ზოომორფული გამოსახულებითაა შემკული. საინტერესოა ცალკე ნაპოვნი
ჯიხვის თავის სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ყურზე უნდა ყოფი-
ლიყო მიძერწილი. იგი რელიეფური, მკვეთრად მოდელირებული სახით ხა-
სიათდება, ნესტოები ორი მრგვალი ფოსოთი აქვს აღნიშნული, პირი — მოკ-
ლე ხაზით, თვალების არე რელიეფურადაა ამობურცული. ყურზე მიძერწი-
ლი მეორე, აგრეთვე ჯიხვის გამოსახულება, პრიმიტივიზმით ხასიათდება.
მოგრძო რელიეფურ სახეზე დიდი მრგვალი ფოსოებით მხოლოდ თვალებია აღ-
ნიშნული. მესამე ნიმუშზე მხოლოდ მცირე შვერილია შერჩენილი, რომელიც
პირობითად ზოომორფული გამოსახულების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ.
აქვე გვინდა აღვნიშნოთ ჯამის ნატეხი პირს ქვევით შერჩენილი ჯიხვის რქის
რელიეფური გამოსახულებით.
ვფიქრობთ, ჯიხვის თავის პლასტიკური გამოსახულებებით შენაქოს კე-
რამიკული ნაწარმის შემკობა — დღეისათვის 15 ამგვარი ნიმუშია ცნობილი —
მხოლოდ ჭურჭლის მხატვრულ-დეკორატიულ გაფორმებას არ ისახავდა მიზ-
ნად. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ჯიხვის, როგორც საკულტო სამ-
სხვერპლო ცხოველის სიმბოლურ გამოსახულებასთან. ნიშანდობლივია, რომ
ყველა შემთხვევაში ხელოსნის მიერ აქცენტირებულია ჯიხვის რქები. ტრადი-
ციულად, უძველესი რიტუალის გადმონაშთის სახით მთის ხატ-სალოცავებზე,
სხვა შეწირულებათა შორის, დღესაც ვხვდებით ჯიხვის რქებს.
ცალკე უნდა აღინიშნოს ერთადერთი დიდი ზომის — დიამეტრი 19,7 სმ
(ტაბ. V) — სახელურიანი სარქველი. იგი დაბალი კონუსის ფორმისაა, აქვს ამაღ-
ლებული ცილინდრული ფორმის ღრუ სახელური, რომლის კიდე რელიეფური
წნული ფართო ზოლითაა შემკული. სარქველს პირი შემოტეხილი უნდა ჰქონ-
დეს, შერჩენილია მხოლოდ მცირე შვერილი. პირს ირგვლივ მკვეთრი წნულ-
სახოვანი ორნამენტული ზოლი აქვს შემოყოლებული — დიამეტრი 19,7 სმ
(ტაბ. XXIV).

შენაქოს კერამიკის შესამკობად სხვადასხვა ორნამენტული სახეებია გამოყენებული. განსაკუთრებით დამახასიათებელია მიძერწილი თოკისებური და წნული რელიეფური სარტყელები. ჯამების ჰორიზონტალური პირის შესამკობად ხშირად კონცენტრული წრეხაზიანი ან წიწვისებური სახეა გამოყენებული. გვხვდება მრგვალი, მძივისებური და პუნქტირისებური ნაჭდევები, წერტილწრეები, ტეხილხაზოვანი ორნამენტი — ზოგჯერ რამდენიმე რიგად განლაგებული. ზემოაღნიშნული ორნამენტული სახეები შესრულების სხვადასხვა ხარისხით გამოირჩევიან (ტაბ. XXIII).

ნიშტაყის ბორცვზე მოპოვებული კერამიკული ნაწარმის წარმომავლობის დასაზუსტებლად კერამიკული მასალისაგან დამზადდა გამჭვირვალე შლიფები. ანალოგიური შლიფები გაკეთდა აგრეთვე სოფ. შენაქოს მიდამოებში ცნობილი თიხების გამოსავლებიდან აღებული ნიმუშებიდან. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ამჟამად ცნობილია თიხების ორი გამოსავალი — მონაცრისფრო თიხა სოფლის სასაფლაოს მახლობლად და მოწითალო თიხა ბოსლების მიდამოებში. ორივე შემთხვევაში თიხის გამოსავლები ზედაპირზე ამოდის — უშუალოდ ნიადაგის საფარის ქვეშ არის განლაგებული. სოფლის მოსახლეობა აღნიშნულ თიხას დღესაც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის იყენებს.

კერამიკული ნაწარმისა და თიხის გამჭვირვალე შლიფები მიკროსკოპის ქვეშ შეისწავლა თ. მორჩაძემ. შესწავლის შედეგად საკვლევ კერამიკულ მასალაში ორი ჯგუფი გამოიყო:

I ჯგუფის კერამიკულ მასალაში გვხვდება მინდვრის შპატების, კვარცის მცირე ზომის ნამტვრევები, შედარებით დიდი ზომის ქარსების ქერცლები და ქანის ნამტვრევები. ტერიგენული მინარევი მასალის რაოდენობა 70—80%-ს აღწევს. აღნიშნული ჯგუფის კერამიკა რკინით მდიდარია. მისი გამოწვის ტემპერატურა 800—900° შორის მერყეობს.

II ჯგუფის კერამიკულ მასალაში 30—40%-მდე რაოდენობით გვხვდება მინდვრის შპატების, კვარცის, კალციტის ნატეხები, ქარსის ქერცლები და, იშვიათად, მადნეული მინერალების გამონაყოფები. აღნიშნული ჯგუფის კერამიკული მასალა რკინის მცირე შემცველობით ხასიათდება. კერამიკა გამომწვარია დაახლოებით 700°-ზე.

კერამიკული მასალის და ბუნებრივი გამოსავლებიდან მოპოვებული თი-
ხების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ I ჯგუფის კერამიკული მასალა
— 8 ნიმუში დამზადებული უნდა იყოს ბოსლების მიდამოებში მოპოვებული
თიხის ან მისი მსგავსი მასალიდან, ხოლო II ჯგუფის კერამიკული მასალა — I
ნიმუში — სასაფლაოს მიდამოებში გავრცელებული თიხისაგან.

აღნიშნული გარემოება და შენაქოს კერამიკისათვის დამახასიათებელი სა-
ერთო ნიშნების გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს გამოვყოთ დღემდე უც-
ნობი, ლოკალური კერამიკული წარმოების კერა.

როგორც აღვნიშნეთ, 1,30 მ სიღრმიდან ნახშირის ფენის ნიშნების გამოვ-
ლინების შემდეგ გადავწყვიტეთ თხრილის გაფართოება. სამუშაო გაგრძელდა
თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც მოიზომა 12 კვადრატი, ზომით
$2 \times 2$—48 მ². ამდენად, დღეისათვის I თხრილის საერთო ფართობი 80 მ²-ია.
თხრილის ზედა — ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 0,20—0,40 მ სიღრმის მი-

წის ფენის აღების შემდეგ დავედით კლდოვან დედაქანზე, რომელიც ქვევით საგრძნობლადაა დაქანებული. ეს მონაკვეთი, ვფიქრობთ, ზედა ტერასას მიეკუთვნება. ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს კი მიწის ფენა უფრო მძლავრია. 1 მ სიღრმეზე აქ დამწვარი მიწის ფენა გამოვლინდა. ამავე დონეზე ჰორიზონტალურად დაწყობილი რამდენიმე ფიქალია ფიქსირებული. დამწვარი მიწის ფენის ქვეშ, რომლის სისქე სულ ათიოდე სანტიმეტრი იყო, ალაგ-ალაგ მოყვითალო მიწის ლაქები გამოჩნდა. თხრილის ამ მონაკვეთში არქეოლოგიურმა მასალამ 0,60 მ სიღრმეზე იჩინა თავი. დამწვარი მიწის დონეზე (1 მ სიღრმე) და მის ქვევით აღმოჩენილი მასალა თავისი ხასიათით იდენტურია ზედა ფენაში გამოვლენილი მასალისა და, ამდენად, დონეების ქრონოლოგიური დანაწევრება ვერ ხერხდება.

თხრილის ცენტრალურ ნაწილში არქეოლოგიური მასალა მიწის ზედაპირიდან 0,20 მ სიღრმეზე გამოვლინდა — მცირეოდენი სამკაული, უფრო ღრმად კი — 0,40 მ ქვევით — კერამიკული ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ აქ აღმოჩნდა თიხის სტრუქტურით, ფერითა და გამოწვის ხარისხით განსხვავებული ნიმუშები.

I თხრილის გაგრძელებაზე გათხრილ, ვარაუდით მეორე ტერასის კულტურულ ფენაში თავისებური და ქრონოლოგიურად განსხვავებული მასალა გამოვლინდა. აქ აღმოჩნდა ალექსი I კომნიანოსის სპილენძის მონეტა, მოჭრილი XI ს. ბოლოს[5]; საინტერესოა ბრინჯაოს ქანდაკებები — მხედრისა, ცვარათი და რელიეფური რგოლებით შემკული, ჯიხვის თავისა და ორთავა ვეფხვის[6]. მდიდარი ასორტიმენტითაა წარმოდგენილი სამკაული — აღმოჩნდა ოქროს ბურთულა-საკიდი, ბრინჯაოს და რკინის ბეჭდები, გრეხილრკალოვანი ბოლოებდახვეული ენიანი ბალთა, ბრინჯაოს მსხლისებური საკიდები, სხვადასხვაგვარი სამაჯურები — ბრინჯაოსა და მინის. ბრინჯაოს სამაჯურები მასიურია, თათისებური თავებით დაბოლოებული, შემკული ჩხვლეტილი წერტილებითა და წერტილ-წრეებით, ერთი სამაჯური ჭვირულია. მინის სადა და გრეხილ სამაჯურებთან ერთად გვხვდება ინკრუსტირებული სამაჯურები, შემკული ჭრელ-ჭრელი ლაქებითა და მცენარებრი სახეებით. აღსანიშნავია გულსაკიდი ჯვრის ფრაგმენტები (ტაბ. XXIV).

მრავლადაა მოპოვებული ბალთები და სამაგრები. ბალთების უმრავლესობა დისკოსებრი მოყვანილობისაა. მათ შორის გვხვდება როგორც სადა, ისე ორნამენტირებული ნიმუშები. ორნამენტის ძირითად ელემენტს წარმოადგენს წერტილ-წრე. გვხვდება აგრეთვე რელიეფურსახიანი სხვადასხვა ფორმისა და შემკულობის ტვიფრული ბალთები და ოთხკუთხა მოგრძო გარსაკრავები. აბზინდები სხვადასხვაგვარია — გვერდებშეზნექილი რომბის ფორმის, დაგრძელებული და გაფართოებული ცალი წვერით, მრგვალი სეგმენტირებული ზედაპირით. სამწუხაროდ აბზინდები ნაკლულია. მხოლოდ ერთ ცალზეა შერჩენილი ვიწრო მოგრძო რკინის ფირფიტა, დამაგრებული რკალის დაბრტყელებულ ნაწილზე (ტაბ. XXV).

რადგან მასალა მრავალგვარია, ხოლო ზოგიერთი ნივთი ცალკე შესწავ-

---

[5] მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა თ. აბრამიშვილმა.

[6] ვეფხვის თავი. იხ. VIII ტაბულაზე.

ლას მოითხოვს, ჩვენ ამ მასალის მხოლოდ ზოგად თარიღს აღვნიშნავთ — ადრეფეოდალური ხანის მეორე ნახევარი — განვითარებული საშუალო საუკუნეები.

ამრიგად, ნიშტაყოს ბორცვზე ჯერჯერობით ასაკობრივად განსხვავებული სამი კულტურული ფენა დასტურდება. წინასწარულად ცალკე შეიძლება გამოიყოს ზედა, პირველი კულტურული ფენა, რომელიც VI-XIII სს. მასალის შემცველია, მეორე ფენა, რომელიც რადიოკარბონული ანალიზის მონაცემების მიხედვით III—IV სს. მიეკუთვნება და მესამე ფენა, რომელსაც $C^{14}$ ძვ. წ. I ს. ბოლოთი ათარიღებს.

ნიშტაყოს ბორცვზე ჩატარებული მცირე მასშტაბის გათხრების შედეგად ცხადი გახდა, რომ აღნიშნული ძეგლი საკმაოდ რთულ, მრავალფენიან არქეოლოგიურ ობიექტს წარმოადგენს. მაგრამ ჩატარებული სამუშაო ამ ეტაპზე არ იძლევა საშუალებას ძეგლის ხასიათი და სტრატიგრაფია საბოლოოდ დადგენილად ჩაითვალოს. ამ მიზნით ჩვენ გავითვალისწინეთ მაგისტრალური თხრილის გაყვანა ბორცვის ზედა გავაკებული ნაწილიდან (საქონლის ბაკს ქვევით) სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, სადაზვერვო I თხრილისაკენ.

ლ. ჭილაშვილი, გ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა

# არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში
## (ტაბ. XXVII—XXX)

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია აგრძელებდა გათხრას არეშის ნაქალაქარის ტერიტორიაზე და დაზვერვებს ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში[1]. ანგარიში შედგენილია ცალკეული უბნების მიხედვით.

1. საკონტროლო სამუშაოები არეშის ბაზილიკაზე. არეშის ბაზილიკის გათხრები ძირითადად დამთავრდა 1975 წ. ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ მცირე მასშტაბის საკონტროლო სამუშაო. 1976 წელს დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდა და ამით, შეიძლება ითქვას, უშუალოდ ძეგლის შესწავლა დასრულდა, რადგანაც მის ირგვლივ ვენახები და საკარმიდამო ნაკვეთებია, რომელთა ხელის ხლება დღესდღეობით შეუძლებელია.

როგორც წინა ანგარიშში იყო აღნიშნული[2], ტაძარი წარმოგვიდგება ორი ძირითადი, ქრონოლოგიურად გამიჯნული სამშენებლო ფენით. ძირითად სამნავიან ბაზილიკას, რომლის აგებასაც VI ს. ვგულისხმობთ, მოგვიანებით მიაშენეს გარსშემოსავლელი. ამავე დროს გადაკეთდა საკურთხეველიც: ასწიეს მისი იატაკი, მოაწყვეს ახალი საკურთხეველი და ჩააშენეს აგურის კანკელი. 1975 წ. გათხრების დროს გარსშემოსავლელის დასავლეთი კედლის ქვეშ სამარხი აღმოჩნდა, რამაც გადაგვაწყვეტინა საკონტროლო სამუშაოების ჩატარება. სამარხი უინვენტარო იყო და, მსგავსად სხვა ქვის სამარხებისა, რომლებიც ეკლესიის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გათხრილი, ერთმანეთში არეული ძვლების გროვას შეიცავდა. თუ აღნიშნული სამარხი მეტნაკლებად თანადროულია სხვა სამარხებისა, მაშინ გარშემოსავლელის აგების თარიღი გაცილებით გვიან იქნება საგულისხმებელი; გვიანდელ ხანაზე მიუთითებს წარწერიანი კრამიტების და აგურების გამოყენებაც.

ამ საკითხის გარკვევა იყო 1976 წ. საკონტროლო სამუშაოების ძირითადი მიზანი, რაც წარმატებით იქნა მიღწეული.

---

[1] ექსპედიციის შემადგენლობა 1976 წ.: ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი), ნ. ქანთარია (მოადგილე), წევრები: ვ. ცისკარიშვილი, გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, დ. აბჟანდაძე, ბ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა, ლ. ხვედელიძე, მ. მაჭავარიანი, თ. გერსამია (არქიტექტორი); 1977 წ.: ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი), ვ. ცისკარიშვილი (მოადგილე), წევრები: გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, ბ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა, გ. ჭილაშვილი (ფოტოგრაფი).

[2] ლ. ჭილაშვილი, არეშის ნაქალაქარის გათხრა, სსმ არქ. ექსპედიციები, V.

უპირველეს ყოვლისა, დაიშურფა ბაზილიკის ძირითადი ნაგებობის მთელი ფართობი, ისე რომ შემოწმდა მისი ყველა ნაწილი. სასინჯი თხრილებით არსად არც სამარხი, არც რაიმე სხვა ნაშთი არ ყოფილა დადასტურებული. ჩანს, რომ ადგილი მშენებლობის დაწყებამდე არ შეიცავდა კულტურულ ფენას, არც რაიმე ნაგებობის ნაშთს, ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ თავისუფალ ადგილზე. სულ სხვა სურათი გამოჩნდა გარსშემოსავლელების დაზვერვისას: დასავლეთის სტოაში, ადრე აღმოჩენილი ქვაყუთის გასწვრივ, სამხრეთით, კიდევ სამი ქვაყუთი გამოვლინდა. ერთი მათგანი — სამარხი II მდებარეობს ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან და აღმოსავლეთის მხარეს ნაწილობრივ მოქცეულია კედლის ბაქნის ქვეშ. სამარხი შეკრულია ოთხი ფილისაგან და გადახურული იყო აგრეთვე ოთხი ფილით; მისი სიგრძე უდრის 2 მ; გარეგნულად სამარხი ხელუხლებელი ჩანდა, მაგრამ გახსნისას აღმოჩნდა, რომ ის ამოვსებული ყოფილა მიწით და ღორღით; მიცვალებულის თავის ქალა და ზედა კიდურები შუაში იყო მოხვეტილი.

III სამარხი მდებარეობს მეორე სამარხის ჩრდილოეთით, 60 სმ-ის მანძილზე. მეორე სამარხის მსგავსად ის ნაწილობრივ მოქცეულია კედლის ბაქნის ქვეშ. ქვაყუთის სიგრძე 2 მ ია, სამარხი დაზიანებული და ამოვსებულია ღორღით, რომელშიც ძვლებია შერეული. გადახურული იყო ქვის ფილებით.

სამარხი IV გადახურული იყო ორი ბრტყელი ქვით. მისი სიგრძე 1,4 მ უდრის. აქაც ღორღი და რამდენიმე ძვალია დადასტურებული. ინვენტარი არც ერთ სამარხში არ ყოფილა ნაპოვნი, ყველა მიწით და ღორღით იყო ამოვსებული. აშკარად ჩანს, რომ კედლის აშენების, უფრო სწორად — ცოკოლის მოწყობის დროს, ქვაყუთების სიცარიელე ამოავსეს ღორღით, რათა კედლისათვის შეექმნათ მყარი საფუძველი. ცხადად ჩანს, რომ გარსშემოსავლელი მოაწყვეს სამარხებზე. სამწუხაროდ, აღნიშნული სამარხების დამათარიღებელი მასალა არა გვაქვს, მაგრამ თუ მათ სამაროვნის შემადგენელ ნაწილად და სხვა სამარხების (ტაძრის სამხრეთით მდებარე სამაროვნის) სინქრონულად მივიჩნევთ, რაც სავსებით დასაშვებია, მაშინ გარსშემოსავლელის აგების დროის დასადგენად ერთგვარად გამოდგებოდა სამაროვნის გაჩენის დროც. სამწუხაროდ, სამაროვნის ინვენტარში აშკარად დამათარიღებელი მასალა, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც მის ქვედა თარიღს გაარკვევდა, არ არის; ჯერჯერობით, სავარაუდოდ, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ IX—X სს. საკონტროლო სამუშაოებმა დაადასტურა არა მარტო ის, რომ გარსშემოსავლელი მშენებლობის შემდგომი ქრონოლოგიური ეტაპია, არამედ მეტი საბუთიანობა შემატა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ძირითადი ნაგებობა, ანალოგიური ძეგლების მიხედვით, ადრეული ქრისტიანული ხანის ძეგლი უნდა იყოს.

ქრონოლოგიურად მეორე სამშენებლო ფენა საკონტროლო სამუშაოებამდეც კარგად ჩანდა სამლოცველოს მიხედვით. შეინიშნებოდა, რომ ადრეული ნაგებობის მწყობრი არქიტექტურული ჩანაფიქრი რამდენადმე დაირღვა სიახლით, რომელიც ტაძრის გადიდების და გარსშემოსავლელებში ახალი სამლოცველოების მოწყობის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ასეთი სიახლიდან თვალში საცემია სამლოცველოს იატაკის ამაღლება-გადიდება, რაც ინტერიერის ხარჯზე მოხდა, და ახალი სამშენებლო მასალის — აგურის შემოტანა, რამაც ასევე დაარღვია ტაძრის არქიტექტონიკა.

საკონტროლო თხრილი გაკეთდა აგრეთვე საკურთხეველზე. წინა წლებში აბსიდაში გამოვლინდა აგურით ნაშენი კანკელი და სამსხვერპლო. სამსხვერპლოს გვერდით გავლებულმა ახალმა თხრილმა გამოავლინა მეორე სამსხვერპლო. ის ისეთივე მოცულობისაა, როგორიც ზედა, ოღონდ მის დასავლეთ მხარეზე დაკბილული ვერტიკალური რელიეფია, რაც ერთგვარ დეკორს წარმოადგენს.

2. დ ა ც ვ ი თ ი  ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი  „ს ა ყ დ რ ი ს  ყ უ რ ი ს“  ე კ ლ ე ს ი ა ზ ე[3]. 1976 წ. დაიწყო ე. წ. საყდრის ყურის ტაძრის შესწავლა. იგი მდებარეობს მდ. არეშის მარცხენა მხარეს, მდინარიდან პირდაპირი ხაზით დაახლოებით ერთ კილომეტრზე, მთის ზოლში, ორ უსახელო ღელეს შორის. შენობათა ნანგრევები განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ დახრილი ტაფობის ცენტრში, რომელსაც გარშემო ხელოვნური თხრილი შემოუყვება. ძირითადი ნაგებობის ნაშთი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისგან დასავლეთით და ჩრდილოეთით შეინიშნება რამდენიმე ნაგებობის ნანგრევი.

პირველივე დაზვერვისას დავრწმუნდით, რომ ძეგლი საავარიო მდგომარეობაში იმყოფებოდა და საჭირო იყო ზომების მიღება; ძეგლს ფარავდა ხშირი ბუჩქნარი და მრავალწლიანი ხეები, რომლებიც ამოდიოდა როგორც დანგრეული ნაგებობის შიგნით, ისე მის კედლებში, რის გამოც მასიური კედლები დაბზარული, დახეთქილი და გადაქცეული იყო; ამასთანავე, ბოლო წლებში, მისთვის მნიშვნელოვანი ზიანი მიუყენებია მოსახლეობასაც. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ძეგლის გაწმენდა, მისი ხასიათისა და მოქმედების დროის დადგენა, მიმდგომი ტერიტორიის შესწავლა და ნაქალაქარის სხვა ძეგლებთან მისი დამოკიდებულების გარკვევა.

როგორც 1976—77 წწ. გათხრებით გაირკვა, „საყდრის ყურის“ ეკლესია წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას (სურ. 1). ნაგებობა შეიცავს ერთიმეორის გვერდით მოთავსებულ, ერთმანეთთან კარებით დაკავშირებულ, სამ წაგრძელებულ სათავსოს. შუა ეკლესია დანარჩენებზე გაცილებით ფართოა. გვერდითი ეკლესიები ერთმანეთს უკავშირდება დასავლეთის შემაერთებელი გალერეით. შესასვლელი შუა ეკლესიაში ამავე გალერეიდანაა.

სამხრეთის ეკლესია ძლიერაა დაზიანებული, ხოლო ჩრდილოეთისას შემორჩენილი აქვს ორთაღედის ნაშთი, შუაში კვადრატული სვეტით.

„საყდრის ყურეს“ ეკლესიის შუა ეკლესიაში, თუ ნავში, ორი წყვილი პილასტრია. საკურთხევლის აბსიდი გეგმაზე ნალისებურია და გამოყოფილია საერთო სივრციდან სამი წახნაგით. აბსიდის კედლის ძირზე ალაგ-ალაგ შემორჩენილია ქვით ნაშენი მერხის ნაშთი. სამსხვერპლო მიდგმულია აბსიდის ცენტრში კედელთან და წარმოადგენს სწორკუთხა სვეტს. აბსიდის გვერდებში დაახლოებით 200 სმ სიმაღლეზე ოთხკუთხა ნიშები ყოფილა გამოყვანილი; მათი კედლები ბრტყელი კრამიტებით იყო მოწყობილი.

საკურთხეველს რამდენჯერმე გადაკეთების კვალი ემჩნევა — აწეულია

---

[3] ადგილის სახელი ახალია, ისევე როგორც ახალია თვით სოფელი. იგი დასახლდა 1944 წლიდან ჯავახეთიდან გადმოსახლებული ქართველებით. მანამდე აქ ცხოვრობდნენ მთიდან ჩამოსახლებული ლეკები, რომელთაც ლეკური ტოპონიმები გააჩინეს: „ქალაქა“, „ღენძება“, „ღარბუსი“ და სხვ. სამწუხაროდ, ძველი ქართული ტოპონიმები აქ უკვე გამქრალა და შემორჩენილი ადგილის სახელები ყველა ახალი შერქმეულია.




სურ. 1. „საყდრის ყური“. ბაზილიკის გეგმა

იატაკის დონე, ამოშენებულია კანკელი, რომელსაც თავის მხრივ ეტყობა რამდენჯერმე გადაკეთების კვალი.

გვერდითი ეკლესიებიდან — სამხრეთისა — გეგმაში სწორკუთხაა, ჩრდილოეთისა კი — აბსიდიანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აბსიდი თავდაპირველი არ არის — მის კედლებს ემჩნევა ჩაშენების კვალი. სამკვეთლოში სამსხვერპლო კედელთანაა მიშენებული, ისევე როგორც ცენტრალურ ნავში, ხოლო საკურთხეველი საერთო სივრციდან გამოყოფილია თხელი დაბალი ტიხარით (კანკელი?). სამკვეთლოში აბსიდა ნახევარწრიულია, იატაკი — შემაღლებული: მის დონეზე დადასტურდა XII—XIV სს. წითელკეციანი მოჭიქული ჯამის ნატეხები, XII—XIII სს. ფაიანსის მუცლიანი ჭურჭლის ორი ნატეხი, აგრეთვე — მინის ჭურჭლის ძირი. სათავსოს იატაკი ჩაჭრილი იყო ოთხი ფილისაგან შეკრული ქვაყუთით, რომელსაც ზემოდან რამდენიმე ქვა ეფარა (სიგრძე —210 სმ; სიგანე —80 სმ). სამარხი მიწით იყო ამოვსებული; მასში რამდენიმე ჩონჩხის ნაშთი დადასტურდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. XXX$_1$), მათ შორის — ვარაყიანი ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტიც, რომლებიც, რა თქმა უნდა, სამარხეულად ვერ ჩაითვლება. სამარხი რამდენჯერმე ყოფილა გამოყენებული დასაკრძალავად. ქვაყუთის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ვერცხლის მედალიონი. მასზე რელიეფურად გამოსახულია ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი (ტაბ. XXX$_6$), მარცხენა ხელით ცხენის სადავე უჭირავს, მარჯვენათი კი შუბი, რომლითაც გმირავს გველეშაპს. გამოსახულება შტამპით არის მიღებული ვერცხლის თხელ ფურცელზე, რომელიც ხის ფირფიტაზეა გადაკრული. სალტეზე ირგვლივ ხუთი ნალურსმნალი ჩანს, შემორჩენილია ორი პატარა ლურსმანიც.

ჩრდილოეთ გალერეაში სამკვეთლოს დასავლეთით, მოგვიანო ხანაში ამოუშენებიათ ტიხარი, რის შედეგადაც კიდევ ერთი მცირე ზომის სათავსო გაჩნდა. შესაძლოა ამავე ხანაში მოახდინეს თაღედების თხელი კედლებით ამოშენება. გალერეის შუა ნაწილში, ტიხრის მახლობლად, იატაკში ჩადგმულია უინვენტარო ქვაყუთი, გადახურული ოთხი ფილით. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნავები დასავლეთ გალერეას ნალისებურთაღიანი თითო კარით უკავშირდებიან.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, დასავლეთის ფასადზე მიდგმულია აბსიდიანი მცირე სათავსო, რომელშიც ქვის სამარხი აღმოჩნდა. სამარხის კედლები უფორმო ქვებისა და ქვის ფილებისაგან იყო შედგენილი. სამარხში აღმოჩნდა ერთმანეთზე დაკრძალული რამდენიმე ჩონჩხის ნაშთი და ვერცხლის ორი ბეჭედი (ტაბ. XXX$_5$).

„საყდრის ყურეს" ეკლესია, ისევე როგორც ძველი არეშის სხვა ნაგებობანი, აშენებულია რიყის ქვით კირის ხსნარზე. შენობის საფასადო მხრიდან კედლები ამოყვანილია დიდრონი ლოდებით, რომელთა სიბრტყეები კარგადაა გამოყენებული. კუთხის ქვები ნაწილობრივ დამუშავებულია და კარგადაა მორგებული. პერანგებს შორის სივრცე ამოვსებულია მცირე ზომის — ქვებით, ანატკეცებით, ღორღითა და კირით, რომელიც უხვადაა ნახმარი, კარის ნალისებრი თაღები გამოყვანილია ნაგლეჯი ან ბრტყელი ქვებით. მშენებლობაში გამოყენებულია აგრეთვე კერამიკა, კერძოდ აგური და კრამიტი. აგურით აშენებულია კანკელი და სამსხვერპლო. კანკელის ცოკოლი ოთხკუთხა (25×25 სმ) აგურების წყობას წარმოადგენს. ცოკოლზე თავის დროზე ყოფილა ნახევარსვეტებიც, რომლებიც საგანგებო აგურით აუგიათ. მათი სიგრძეა 21, სიგანე — 17, სისქე — 8 სმ. კუთხეები ჩამოკვეთილია გამოწვამდე. ორივე სახის აგური დამზადებულია ნამჯანარევი თიხისაგან, საკმაოდ უხარისხოდ; ადვილად შლადია.

სახურავისათვის გამოყენებულია ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტები. ღარისებრი კრამიტი რამდენიმე ტიპისაა, სიგრძით უმეტესობა თანაბარია — 38—40 სმ.

ორივე სახის კრამიტებზე გვხვდება სხვადასხვა სახის ნიშნები, მათ შორის, ბრტყელ კრამიტზე — რელიეფური ჯვრები (ტაბ. XVII$_2$). ღარისებრ კრამიტებს ახასიათებს ზემოდან რელიეფური ზოლები.

მშენებლობაში კირი გამოყენებულია როგორც შემაკავშირებელი ხსნარი და მოსაპირკეთებელი საშუალება. კერძოდ, კირით მოლესილია კედლები, იატაკი, საკურთხეველი და ფრესკების გრუნტი. ფრესკების არსებობაზე მიუთითებს ცენტრალური ნავის მახლობლად, ნანგრევებში ნაპოვნი ფრაგმენტი. მოხატვის დროს გამოყენებულია მუქი წითელი, ყავისფერი, მწვანე და თეთრი საღებავები. როგორც ჩანს, გრუნტზე ამოკაწრული ხაზებით წინასწარ კეთდებოდა ნახატი, რადგან შემორჩენილია ორი პარალელური ამოკაწრული რკალისებური ხაზი.

ეკლესიის ირგვლივ არსებული ნასახლარი ორმოებისა და მცირე ნანგრევების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ სხვა სახის (საცხოვრებელი თუ სამეურნეო) ნაგებობებიც იქნებოდა თავმოყრილი; სავარაუდოა სამარხების არსებობაც (უშუალოდ ეკლესიაში სამი შემთხვევაა დაფიქსირებული). ეკლესიის ირგვლივ არსებული ასეთი საეჭვო ადგილების დაზვერვის მიზნით




სურ. 2. „აკლდამა" საყდრის ყურის ეკლესიის ეზოში (გეგმა და ჭრილი).

შესწავლილ იქნა მცირე ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთი, რომელსაც პირობით ვუწოდეთ „აკლდამა". იგი „საყდრის ყურეს" ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 10 მ დაშორებით მდებარეობს. მიწის ზევით, 50 სმ სიმაღლეზე მოჩანდა ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთი, ზომით 4,40×3,40 მ (სურ. 2) დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ის ნაგებია დიდი ზომის ქვებით, კირის ხსნარზე; ამოვსებული იყო მიწითა და ლოდებით. სათავსოს თხრისას აღმოჩნდა სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. $XXX_2$). ჩრდილოეთ კედელთან მიდგმულია ქვაყუთი, რომელიც მიწით იყო ამოვსებული. გარდა ერთმანეთში არეული ძვლებისა, სამარხში არაფერი ყოფილა დადასტურებული. ისეთი შთაბეჭდილებაც კი დაგვრჩა, რომ ის საკმაოდ ზედმიწევნით „შეუმოწმებიათ" ჩვენამდე. როგორც ჩანს, ნაგებობის ეს ნაშთი სამარხზე აღმართული შენობის ნაწილს წარმოადგენდა.

ტაძრის ირგვლივ შენობათა ნიშნები საკმაოდ ბევრია, მაგრამ, გაუთხრე-

ლად მათი ხასიათის განსაზღვრა შეუძლებელია. ერთ-ერთ ნასახლარზე აღმოჩნდა დერგის ძირი, რომელზედაც ორი ქართული მთავრული ასო არის ამოკაწრული.

3. „უ ს ა ხ ე ლ ო ბ ო რ ც ვ ი". მდ. არეშის მარცხენა ნაპირზე, არეშის ბაზილიკის გასწვრივ, დაახლოებით 30 მ დიამეტრის მცირე ბორცვი შეინიშნებოდა (ტაბ. XXVIII$_1$). იგი მდებარეობს მდინარის მეორე ტერასაზე, ხევის ფლატედან 20 მ დაშორებით, ვაკეზე, რომელიც სამხრეთისკენ თანდათანობით დაბლდება. ვაკეზე ამოზიდული განმხოლოებული ბორცვი ხელოვნურად გამოიყურებოდა, რაც აღვიძებდა ინტერესს მის მიმართ. საეჭვო იყო ამ მხრივ მისი გარემოც: აღმოსავლეთის მხრიდან მას ჩამოუდის არხი, რომელიც დაახლოებით საყდრის ყურიდან იწყება და სამხრეთით მიედინება; ბორცვის სამხრეთით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე, ფლატედან არხამდე გასდევს მცირე შემაღლება, რომელიც შესაძლოა კედლის ნაშთს წარმოადგენს. კიდევ ორი მსგავსი შემაღლება შემჩნეულია უსახელო ბორცვსა და „ეკლესიათა კომპლექსს" შორის.

ბორცვის ზედაპირზე აქა-იქ გაფანტული იყო კრამიტის ნატეხები და, სავარაუდოდ, კედლებიდან მომდინარე რიყის ქვები. ბორცვის ხასიათის დასადგენად მის სამხრეთ ნახევარში გავავლეთ 10 მ სიგრძის სასინჯი თხრილი, რამაც გამოავლინა დარღვეული სამარხი და რიყის ქვის წყობა; კორდოვანი ფენიდან ამოვიდა კრამიტისა და მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები; გვხვდებოდა აგრეთვე მინის ნაწარმი: ჭურჭლისა და სამაჯურების ფრაგმენტები. ეს მასალა ძირითადად IX—XIII სს. მიეკუთვნება (ტაბ. XXX$_3$).

მას შემდეგ რაც დადასტურდა, რომ საქმე გვაქვს ნაგებობასთან, ბორცვის ზედაპირი დავყავით კვადრატებად, თითო ზომით 4×4 მ-ზე, და თხრა გავაგრძელეთ პირაღებით, ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში.

კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ, 20—30 სმ ქვემოთ მთელ ფართობზე გამოჩნდა ჩაქცეული სახურავის კრამიტების ფენა (ტაბ. XXVIII$_{2,3}$). ბორცვზე დადასტურებულ სამარხთა ნაწილი კრამიტების ფენაზე იდო[4]; კრამიტების ფენის ქვეშ გამოჩნდა ნაგებობის ერთ ფენად დალაგებული რიყის ქვის საფუძველი, რაც აღიზის შენობებისათვის არის დამახასიათებელი. მართლაც, ნა-

---

[4] სულ ბორცვზე გაითხარა სამი სამარხი და ერთი სამარხის ნაშთი.

№ 1 სამარხი (ქვაყუთი) მდებარეობს $E_6$ და $d_6$ კვადრატების ზღვარზე; დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთით (სიგრძე — 1,65 მ; სიგანე — 0,7 მ). ჩრდილოეთ ნაწილში შემორჩენილი იყო სამარხის ჩრდილოეთ კედლის სამი და სამხრეთ კედლის ორი ბრტყელი ქვა. დადასტურდა ჩონჩხის მცირე ფრაგმენტი და სპილენძის რგოლი.

№ 2 სამარხი გაითხარა კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. მის მიერ ჩაჭრილია კრამიტყრილი; იგი ორმოსამარხის შთაბეჭდილებას ახდენს. დადასტურებულია თავის ქალა, კიდურების ძვლების ფრაგმენტები და რკინის სამაჯურის ნაწილები.

№ 3 ქვაყუთი მიდგმულია ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეზე. დამხრობილია აღმოსავლეთ დასავლეთ მიმართულებით, გადახურული იყო სამი სიპი ქვით (სიგრძე—2 მ; სიგანე—2,1 მ). გვერდითი კედლები აშენებულია რიყის ქვების წყობით. თავსა და ბოლოში სიპებია ჩადგმული. სამარხი სავსე იყო მიწით. დადასტურდა ულალმა, თავით დასავლეთით მწოლარე ჩონჩხი, ხოლო მის ქვეშ კიდევ ორი ჩონჩხის ნაშთები.

სამარხის ნაშთი დადასტურდა ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, ზედაპირიდან 0,6—0,7 მ სიღრმეზე. სამარხის მხოლოდ სამი ქვა და ჩონჩხის მცირე ნაშთია შემორჩენილი. აღმოჩნდა შავი მინის 5 სამაჯურის ნატეხები. სამარხი იდო კრამიტყრილზე.

გებობის დასავლეთ კედელზე გამოჩნდა ალიზის რამდენიმე რომბისებური აგური. მსგავსი აგურების ნატეხები გვხვდებოდა კორდოვან ფენაში.

მუშაობის ამ ეტაპზე გამოვლინდა მცირე ზომის ეკლესიის კონტური. მისი სიგრძე 10 მ აღწევს, სიგანე — 6,50 მ. აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩნდა ნახევარწრიული აბსიდის ნაშთი. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია აგურითა და ბრტყელი კრამიტით აშენებული კანკელით. კანკელზე შემორჩენილია მრგვალი აგურის სვეტების ნაშთი (აგურის დმ. 35 სმ). სვეტებშორისი ღიობი ამოშენებულია ბრტყელი კრამიტის წყობით. აბსიდის აღმოსავლეთ ნაპირში დგას აგურით აშენებული სამსხვერპლო, სიგანით — 65 სმ. მისი უკანა მხარე მორღვეულია, ხოლო შუაში დატოვებულია სიცარიელე, სადაც კერამიკული მრგვალსახელურიანი ხუფი აღმოჩნდა (ტაბ. XXIX$_{1, 2}$).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ კანკელი და სამსხვერპლო ნაშენია თიხის ხსნარზე, ამასთან — სამსხვერპლო შელესილია ყვითელი, სილისებრი თიხით. ნაგებობაზე კირის გამოყენება არ დასტურდება.

გათხრებმა მხოლოდ დასავლეთის კარი გამოავლინა. ჰქონდა თუ არა ეკლესიას კარი სამხრეთიდანაც, ჯერჯერობით არ ჩანს.

ეკლესიას სამხრეთიდან მიდგმული ჰქონია დამატებითი სადგომი (ეკლესია?). გამოვლინდა აბსიდის ნაწილი და კედლის ნაშთები. აბსიდის იატაკი რიყის ქვებითაა მოგებული. იატაკის დონეზე აღმოჩნდა კრამიტის ნატეხი ქართული წარწერით, მსგავსი 1973—1975 წწ. დიდ ბაზილიკაზე აღმოჩენილი კრამიტებისა.

იმის გასარკვევად, თუ რა დრომდე მოქმედებდა ეკლესია, მის ნანგრევებში ჩაშვებული სამარხების დახასიათებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი სამარხი (№ 1) დაფიქსირდა კრამიტების მძლავრი ფენის თავზე. მართალია სამარხი დაზიანებული იყო, მაგრამ გარკვევით დადასტურდა მისი გვერდითი ფილაქვები; სამარხის ინვენტარს შეადგენდა მხოლოდ სპილენძის რგოლი. უკვე ეს სამარხი მიუთითებდა იმაზე, რომ ბორცვის თავზე სამაროვანი გაჩნდა ეკლესიის დანგრევის შემდეგ. მართლაც, ეკლესიის შიგნით $E_5$—$F_5$ კვადრატებში, დადასტურდა დარღვეული ქვის სამარხი, რომლის ინვენტარს მინის სამაჯურები შეადგენდა. ამ ტიპის სამაჯურები საქართველოში გავრცელებულია XII—XIII სს. ისინი დამზადებულია შავი მინისაგან; მათ შორის 3 მრგვალგანივკვეთიანია, დანაოჭებული გადაბმით, 3 — გრეხილი (ერთი — რამდენიმე ღერისაგან გრეხილი).

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კორდოვან და კრამიტების ფენებს შორის მოქცეულ ფენაში ამოსული მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკული ნაწარმი ტიპიურია IX—X სს-თვის (ვარდისფერი ნაპრიალები ჭურჭელი, ე. წ. გულებიანი და ნაღვენთი ჭიქურით მოხატული ჯამები), ხოლო მოგვიანო — XII—XIV სს. მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშები (ფრინველის გამოსახულებით და სხვ.) უშუალოდ კორდოვან ფენაშია მოპოვებული.

ამრიგად, IX—X სს. მასალების შემცველი ფენა ზემოდან ადევს ეკლესიის ნანგრევებს; ამიტომ, შესწავლილობის ამ ეტაპზე, ნაგებობას ვათარიღებთ არაუგვიანეს X ს-ით.

4. ქ უ რ ი ს  გ ა თ ხ რ ე ბ ი. არეშის ნაქალაქარის ერთი ნაწილი თანა-

მედროვე სოფელ მთისძირს უკავია, ნაწილი კი ტყით არის დაფარული. ნაქალაქარის უბნები მდინარის ორივე ნაპირზეა დაფიქსირებული. თავისებური რელიეფის გამო, განსაკუთრებით ნაქალაქარის ზედა ნაწილში, მდინარის პირის კალთები, დამდნარი თოვლისა და წვიმის წყლის მოქმედების შედეგად ძლიერ გადარეცხილია, დახრამულია, ზოგან — კი ნიადაგის საფარი მას თითქმის მოცლილი აქვს; ეს წლების განმავლობაში აზიანებდა კულტურულ ფენებს. ასეთი ადგილების დათვალიერების დროს ხშირად ვხვდებით კერამიკულ მასალას, ქვევრებსა და ნამოსახლარ-ნაბინავარის სხვა ნაშთებს. საანგარიშო პერიოდში მდინარის მარცხენა მხარეს, საყდრის ყურის ტაძარსა და მდინარეს შორის, დავზვერეთ ორი ნამარნალი, ნამოსახლარი და წარმოების ნაშთები. ეს უკანასკნელი გამოაჩინა საურმე გზის გაყოლებაზე ნადენმა წყალმა, რომლისგანაც ძეგლი საგრძნობლად იყო დაზიანებული. ექსპედიციამ აქ ერთი დაზიანებული ქურის ნაშთის გაწმენდა მოახერხა.




სურ. 3. კერამიკული ქურის ნაშთი არეშის წყლის მარცხენა მხარეს (გეგმა და ჭრილები)

1976 წ. დაზვერვების დროს, საყდრის ყურის სამხრეთ-დასავლეთით
600—700 მ მანძილზე, სატყეო გზის პირას შევნიშნეთ დამწვარი და დაწით-
ლებული ფენა და კერამიკული წიდები. გაწმენდის შედეგად გამოვლინდა თი-
ხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა, უფრო სწორად — მისი საცეცხლური (სურ.
3). ქურის ნაშთის სიგრძე 4 მ აღემატება, სიგანე 70 სმ; სიგარისებური
მოყვანილობა აქვს, დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩრდილო-დასავ-
ლეთის მიმართულებით, ჩრდილო-დასავლეთიდან ჩამოუდის პატარა წყარო.
საცეცხლე განყოფილება ამოჭრილია თიხნარ მიწაში და გადახურული ყოფი-
ლა მოზრდილი (40×35×10 სმ) ბალიშისებური აგურებით; საცეცხლე ხვრე-
ლის გადასახურავად გამოყენებული ყოფილა ქვევრის ნატეხებიც. აგურის
ზურგი ამობურცულია და მასზე ჯერ კიდევ სველ მდგომარეობაში დიაგონა-
ლურად ერთმანეთის გადამკვეთი ორი ღარი ყოფილა გავლებული. ქურა და
მის ირგვლივ არე, დაახლოებით 1,5 მ დიამეტრზე, სავსე იყო დიდი ზომის
ქვევრების ნატეხებით. ძირების მიხედვით აქ ამ ტიპის 5—6 ჭურჭელია სავა-
რაუდებელი. მათ ზედაპირზე ხშირი ირიბი ღარებია გავლებული და სარტყ-
ლისებურად კლაკნილი ზოლებია ამოკაწრული. ქურის დაქცევა ჭურჭ-

ლის გამოწვის დროს მომხდარა. ქურის დათარიღების საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება, რადგანაც მის გასარკვევად მყარი დასაყრდენი არ გაგვაჩნია. ამ მხრივ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ქვევრების გვერდით, რომელთა თარიღიც საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოში შეიძლება მოექცეს, გვაქვს თხელკეციანი ნაწარმის ნიმუშები, რომლებიც ანალოგიების მიხედვით უფრო ადრეფეოდალური ხანის იერის მატარებელია, ვიდრე მოგვიანო. გადაწყვეტილია თარიღის დასაზუსტებლად ადგილზევე მოხდეს ალიზის აღება არქეომაგნიტური კვლევისათვის, რაც დაგვეხმარება თარიღის დაზუსტებაში. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მახლობლად, თუნდაც ანაკრებ მასალაში არაფერია ისეთი, რაც საკითხის გარკვევაში დაგვეხმარებოდა: ერთი მხრივ გვაქვს XI—XIII საუკუნეების რამდენიმე მოჭიქული ნატეხი, მეორე მხრივ კი ქურასთან, მისგან დაახლოებით 10—15 მ დაცილებით, მიწის ზედაპირზევე ნაპოვნია სადაზედაპირიანი, თავგახსნილი, განაკვეთში რომბისებური ბრინჯაოს ორი სამაჯური, ერთი მსგავსივე სამაჯურის ნატეხი და ერთიც თავგახსნილი მომცრო რგოლი (საყურე?), რომელთა ანალოგიები წინარეანტიკურ ხანაშია მოსაძებნი. 1976—1977 წწ. დაზვერვებისას მიკვლეულ იქნა მსგავსი ქურის კიდევ ორი ნაშთი, რომელთა შესწავლაც მომავალში განხორციელდება.

1977 წ. „უსახელო ბორცვზე“ მუშაობისას მის სამხრეთით, მდინარისაკენ მიმართული შემაღლების ხასიათის გასარკვევად მასზე დავდეთ განივი ჭრილი. პირველივე ბარისპირზე გამოვლინდა დიდრონი ლოდები, კრამიტები და ბათქაშები. გასუფთავების შემდეგ გამოიკვეთა-შემოიხაზა დიდი ქვებით, ოვალურად შემორაგული არე. სავსე დამწვარი თიხითა და ბათქაშ-კრამიტებით. დაწითლებული აღმოჩნდა აგრეთვე ქვების შიდა პირი. თანდათან გამოიკვეთა კრამიტისა და თიხის საშუალებით მოწყობილი ქურის ცხაურა. ცხაურა დაყრდნობილია თიხით მოლესილ კედელზე და ცენტრში ქვითა და თიხით სპეციალურად ამოშენებულ ოვალურგანივკვეთიან სვეტზე. სვეტის ძირი შედარებით განიერია, ხოლო ზემოთკენ კონუსურად ვიწროვდება. ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ საქმე გვაქვს კერამიკულ ქურასთან, მის საცეცხლე ნაწილთან. სიმხურვალე ამოდიოდა ცხაურში სპეციალურად მოწყობილი მრგვალი ხვრელებიდან, რომლებიც ორ მწკრივადაა განაწილებული. ცენტრალური სვეტის ირგვლივ შემორჩენილია 10—12 სმ დიამეტრის 5—6 ხვრელი, შედარებით მოზრდილი ხვრელების რიგი ქურის კედლის გასწვრივაა განლაგებული (სურ. 4).

სამწუხაროდ, დამათარიღებელი ქურაში არაფერია დადასტურებული. ქურის მშენებლობისას ნახმარი კრამიტების მიხედვით ქურის მოქმედების დროის განსაზღვრა ძნელია. ასევე რთულია იმის დადგენა — თანადროულია თუ არა ეკლესია და ქურა. ჩვენი ვარაუდით, ქურა აშენდა და მოქმედებდა ეკლესიის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ.

5. დ ა ც ვ ი თ ი ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი ს ო ფ. ც ო დ ნ ა შ ი (ლ ა გ ო დ ე ხ ი ს რ-ნ ი). რამდენიმე წლის წინ მუზეუმს ლაგოდეხის რაიონიდან აცნობეს, რომ სოფელ ცოდნის მინდვრებში ზიანდებოდა არქეოლოგიური ძეგლი და ითხოვეს სათანადო სპეციალისტის მივლინება. მუზეუმის თანამშრომელმა ვ. ლექვინაძემ ადგილზევე გამოარკვია, რომ საქმე ეხებოდა გვიანი შუასაუკუნეების არქიტექტურულ ძეგლს, შესაძლოა აბანოს, რომელიც გამუდმებული ხვნის შედეგად ზიანდებოდა და საჭიროებდა ყურადღებას. ანალოგიური




სურ. 4. კერამიკული ქურის ნაშთი „უსახელო ბორცვზე“ (გეგმა და ჭრილი)

ცნობა მუზეუმმა მიიღო 1975 წ., ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოდან.

არეშის ექსპედიციამ 1976 წელს ძეგლის დაზვერვის შემდეგ გამოყო სათანადო თანხა დაცვითი ხასიათის გათხრის ჩასატარებლად და, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, შეუდგა მის გაწმენდას. ადგილზე სამუშაოს ხელმძღვანელობდა ლ. ხვედელიძე.

ძეგლი მდებარეობს სოფ. ცოდნის საკოლმეურნეო მინდორში, სოფლიდან სამხრეთით ორ კილომეტრზე. ადგილი სახნავია და სწორედ ამან გამოიწვია ძეგლის დაზიანება. ნაგებობის ზოგი ნაწილი თითქოს ზედაპირზედაც ჩანდა. რამდენადაც აუცილებელი იყო უშუალოდ ძეგლის გადარჩენა, ამიტომ გაიწმინდა მხოლოდ ნაგებობა, მისი მიმდგომი ტერიტორიის შესწავლა კი მომავლისათვის გადაიდო.

მიწის თხელი ფენის აღებისთანავე შემოიხაზა ნაგებობის კონტურები; მისი ფართობი 60 კვ. მ აღწევს და გეგმაში წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორ-

მისაა (10×60). კედლები ნაგებია „ქართული“ აგურით (24×24×4 სმ), კირის ხსნარითვე არის შელესილი ნაგებობის შიდა არეც. ნაგებობის შიდა სივრცე და მისი კონფიგურაცია არ შეესაბამება გარე მასების მოხაზულობას (სურ. 5).



სურ. 5. სოფ. ცოდნა, აბანო (გეგმა და ჭრილი)

მართალია, თავისი აგებულებით აბანო იმეორებს შუასაუკუნეების სხვა მსგავსი ნაგებობების გეგმარებას, ის მაინც მარტივი არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კარიდან, რომელიც დატანებულია ჩრდილო-დასავლეთ კედელში, პირდაპირ შევდივართ სააბაზანო სათავსოში, რომელიც გასახდელადაც გამოიყენებოდა. ჩრდილო-დასავლეთის მხარეს გეგმაში ნახევარწრიული ორი აბაზანაა დატანებული,

სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს კი ორი ნიშია მოწყობილი, შესაძლოა ტანსაცმლის შესანახად. აბანოს სათავსოების განლაგება ამფილადურია; ექვსწახნაგა სათავსოში, შესასვლელი კარის მოპირდაპირე კედელში დატანებული ღიობით შევდივართ საბანაო ოთახში, რომლის ჩრდილო-დასავლეთ კედელში მოთავსებულია აბაზანა, მოპირდაპირე მხარეს კი — „ტახტი". აბაზანაში შემოდის ორი მილი, ერთი — ცივი წყლის აუზიდან, მეორე — ცხელი წყლისათვის, უშუალოდ ცხელი წყლის რეზერვუარიდან.

აბანოს განაპირა, ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია ელიფსური მოყვანილობის რეზერვუარს, სადაც წყალი ცხელდებოდა. მის ცენტრალურ ნაწილში, საცეცხლე განყოფილების ზევით, წრიული ღიობია ქვაბისათვის. როცა აბანო პირველად აღმოჩენილა, ქვაბი ადგილზევე ყოფილა დადასტურებული; შემდეგ ის დაიკარგა. სხვა აბანოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რეზერვუარის მახლობლად ცივი წყლის აუზი უნდა ყოფილიყო მოწყობილი, მაგრამ აქ იგი არა ჩანს და სავარაუდოა, რომ მის ფუნქციას ასრულებდა ექვსწახნაგა გასახდელში მოწყობილი აუზები. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი აუზის კედელში სპილენძის მილის ნაშთია შემორჩენილი, რაც ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა ჩვენში აბანოების გათხრების პრაქტიკაში.

აბანოს ქვედა ნაწილი უკავია საცეცხლე განყოფილებას და გათბობის სისტემას. საცეცხლე განყოფილება ქვაბიანი რეზერვუარის ქვეშაა მოწყობილი; აქედან ცეცხლი მიმართული იყო უშუალოდ ქვაბისაკენ. ბოლი და სითბო საცეცხლე განყოფილებიდან გადიოდა საბანაო და გასახდელი სათავსოების იატაკების ქვეშ, რომლებიც ეყრდნობოდა აგურის სვეტებს, აბანოების კალორიფერების სისტემა კარგადაა ცნობილი და აქ სიახლეს თითქმის არ ვხვდებით. სააბაზანო და გასახდელი თბებოდა როგორც იატაკიდან, ისე რეზერვუარიდან მომდინარე ორთქლით. შესწავლილ იქნა სააბაზანო ოთახის ქვეშ მდებარე გათბობის სისტემა. აქ იატაკი ჩანგრეული იყო და ამის გამო პირველ სართულზე მოხვედრა ძეგლის დაუზიანებლად შეიძლებოდა. ანალოგიური მოწყობილობა უნდა იყოს გასახდელის ქვეშაც, რომლის გაწმენდასაც მოვერიდეთ ძეგლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

ისევე, როგორც სხვა აბანოები, წყლის დინების შემცირების და სითბოს შენახვის მიზნით, აღნიშნული აბანოს დიდი ნაწილი მიწაში იყო ჩამჯდარი. გარდა სამშენებლო მასალისა და სპილენძის მილის ნაშთისა, არქეოლოგიური მასალა აბანოს გათხრების დროს არ ყოფილა დადასტურებული. ჩვენი ვარაუდით, აბანო მოქმედებდა XV—XVI საუკუნეებში, დანგრეული უნდა იყოს შაჰ-აბასის შემოსევის დროს (1614—1611 წწ).

*

* *

აბანოზე მომუშავე ჯგუფმა წმენდის დროს სოფ. ვარდისუბნიდან მიიღო ცნობა არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების შესახებ. შემოწმებისას გამოირკვა, რომ სოფ. ვარდისუბნიდან ყარსუბნისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, სარწყავი არხის წყალმა გააშიშვლა და დააზიანა არქეოლოგიური ძეგ-

ლი, რომელსაც მოსახლეობამ მიაგნო წყლის მიერ გამოტანილი უამრავი ჰურჭლის მიხედვით. ექსპედიციამ მოკრიბა ხალხში გაბნეული, ძეგლიდან მომდინარე მასალა და ადგილზე შეამოწმა აღმოჩენის ვითარება. როგორც ჩანს, წყალს გამოურეცხია ზედაპირიდან დაახლოებით 3 მ სიღრმეზე მოქცეული კულტურული ფენა და სავარაუდო საკულტო ადგილი, სადაც, მსგავსად კახეთის სხვა ადგილებში აღმოჩენილი საკულტო ადგილებისა („მელიღელე“ და სხვ.), დაზვინული ყოფილა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მომცრო, თითქმის ერთი ზომის შავპრიალა ჰურჭელი. სამწუხაროდ, წყლის შეწყვეტა შეუძლებელი შეიქნა; თუმცა ასეთ ღონისძიებას შეიძლება აზრიც აღარ ჰქონდა, რადგან, რამდენიმე დღის განმავლობაში, წყლის ძლიერმა ნაკადმა ძეგლი მთლიანად გაანადგურა და ექსპედიციის წევრებმა მხოლოდ ის შესძლეს, რომ მოაგროვეს აღმოჩენილი მასალები და მცირეოდენი ადგილიც გაწმინდეს სავარაუდო საკულტო ადგილის გარეთ. სულ ადგილზე მოკრეფილ იქნა 60-მდე ჰურჭელი.

შემთხვევითი აღმოჩენები. 1976—77 წწ. ექსპედიციამ შეაგროვა რამდენიმე საინტერესო ნივთი, რომლებიც სოფლის მცხოვრებლების მიერაა ნაპოვნი შემთხვევით თუ მიწის სამუშაოების დროს:

1. ა. კალაიჯიშვილმა ქესპედიციას გადასცა სოფლის დასავლეთით, ტყეში ნაპოვნი დაფანჯრული ბალთა (22×18 სმ). მასზე სამ ფრიზად გამოსახულია სხვადასხვა სახის მოტივი. ფრიზები გამოყოფილია ერთმანეთისაგან 2 სმ სიგანის თევზისფხურორნამენტიანი არშიებით. ბალთას ირგვლივ შემოუყვება მსგავსივე ჩარჩო. როგორც ბალთის შიდა არშიებზე, ისე მის ჩარჩოზე გამოსახულია ვარდულები. ჩარჩოს ზედა არშიაზე ნახევარწრიული სამაგრეებია. ზედა და შუა ფრიზი იდენტურია, მასზე გამოსახულია სტილიზებული მცენარეული და ცხოველური მოტივი. ქვედა ფრიზი გაყოფილია ორად ვერტიკალური არშიით, რომლის ბოლო ვერძის სტილიზებული გამოსახულებით მთავრდება, ხოლო აქეთ-იქიდან, სიმეტრიულად, ცხოველური მოტივებია, თავფეხშექცეული წყვილ-წყვილი ცხენებით (ტაბ. $XXX_4$).

ანალოგიური ბალთები გავრცელებულია ძირითადად მთიან დაღესტანში და თარიღდება VIII—X სს-ით; ერთი ეგზემპლარი აღმოჩენილია ხევსურეთში.

2. ი. კალაიჯიშვილმა გადმოგვცა სპილენძის რელიეფური გამოსახულებიანი ჯვარი (სიმაღლე 7,5 სმ, სიგანე — 6,2 სმ). ცენტრში გამოსახულია „ვედრების“ სცენა, ბერძნული წარწერით. ჯვრის მკლავებს მედალიონის მსგავსი ფორმები აქვს. თითოეულ მათგანში მოციქულთა რელიეფური გამოსახულებაა სიღრმეში ჩასმული. ჯვარი ჩამოსხმულია ყალიბში. სავარაუდო თარიღია XII—XIII სს.

3. ექსპედიციამ სოფლის მცხოვრებთაგან ვერცხლის 4 მონეტა შეიძინა. ეს მონეტები 1962 წელს მთისძირში აღმოჩენილი სასანურ-არაბული განძის ნაწილია.

ახალსოფლის მკვიდრმა ვ. ლომიძემ გადმოგვცა მის ვენახში მიწის სამუშაოებისას გახსნილ ქვაყუთში აღმოჩენილი აბზინდა, ბალთა და 3 მძივი; აბზინდა და ბალთა „ჰერალდიკური ქამრის“ ტიპისაა; თარიღდება VI ს. მიწურულით და VII ს. I ნახევრით, ეს არის ახალსოფელში (ძველი გავაზი) ადრეფეოდალური ხანის მასალების აღმოჩენის პირველი შემთხვევა.

Л. ЧИЛАШВИЛИ, Б. МЧЕДЛИШВИЛИ, А. АБХАЗАВА

# ОТЧЕТ АРЕШСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ

Резюме

(Табл. XXVII—XXX)

В 1976—1977 годах экспедиция продолжала полевые исследования на всей территории городища Ареши, а также провела археологические разведки и незначительные защитные раскопки в Кварельском и Лагодехском районах.

В 1976 году завершились работы по изучению арешской базилики. Они выразились, главным образом, в проведении контрольных работ для уточнения вопроса хронологического взаимоотношения основного трехнефного сооружения и его арочных обходов. Необходимость проведения контрольных работ была продиктована тем, что в 1975 году, под стеной западной галереи был обнаружен каменный ящик — тип захоронения, распространенный в X—XIV веках; это ставило под сомнение одновременность базилики, датируемой по аналогиям VI в., и ее арочных обходов. Для выяснения этого вопроса были заложены шурфы по всей площади церкви, в результате чего в западной галерее обнаружены еще три каменных ящика; они находились под цоколем базилики, которая была устроена специально, в качестве подпорки пилястр галереи. Находившиеся под цоколем погребения были сильно потревожены и преднамеренно заполнены щебнем и землей для уплотнения грунта под новую постройку. Таким образом, можно считать доказанным, что базилика и ее обходы — разновременные постройки; причем, строительство обходов было предпринято значительно позже базилики, а именно тогда, когда около нее уже образовался могильник (по предварительным данным, — после IX—X вв.), прилегающая к базилике часть которого и оказалась под западным обходом. В это же время была переделана алтарная часть базилики, — возведена алтарная преграда — и обновлено черепичное перекрытие.

Основные работы экспедиция вела в местности «Сакдрис куре» (урочище церкви), на левобережной стороне р. Арешис цхали, в 1,5 км от нее, где находятся заросшие деревьями и кустарником развалины двух крупных архитектурных сооружений, состояние которых требовало срочного проведения защитных работ.

Территория, на которой находятся развалины, по-видимому была заранее подготовлена под строительство — со всех сторон ее охватывают искусственные рвы. После расчистки развалин от зарослей выявились остатки церкви, размером 18,75×14 м, возведенной крупными речными камнями на известковом растворе и покрытой плоской и желобчатой черепицей, некоторые из которых имеют рельефные изображения крестов. По предварительным данным ее следует отнести к типу трехцерковных базилик; имеются следы некоторых переделок и пристроек. Просуществовала она, по-видимому, до конца XIV века.

В центральной церкви и северном помещении, на уровне пола найдены обломки поливной посуды, фаянса и стеклянного сосуда XII—XIII вв. В северной церкви обнаружено разновременное кол-

лективное захоронение в каменном ящике, в котором находился серебряный медальон с изображением св. Георгия. Подобное же погребение, но без инвентаря, находилось и в северной галерее. К западному фасаду, у северо-западного угла, пристроено маленькое помещение с абсидой; коллективное захоронение в каменном ящике, раскопанное здесь, содержало лишь два серебряных кольца.

По всей видимости прилегавшая к церкви территория была заселена, на что указывают находки остатков некоторых сооружений и предметов быта; так, в одной из оград было найдено днище винного кувшина, с выпарапанными грузинскими буквами «асомтаврули». Возможно также, что около церкви находился и могильник; в 10 м к северу от церкви выявлено основание мелкого четырехугольного сооружения (4,40×3,40 м), внутри которого у северной стены находился каменный ящик без инвентаря. Во время расчистки этого сооружения найдены обломки керамической и стеклянной посуды IX—XIII вв.

В 1977 г. экспедиция приступила к изучению невысокого холма, оставляющего впечатление искусственной возвышенности, расположенного на левобережной второй террасе р. Арешис-цхали. Для выяснения характера холма в южной части был заложен небольшой раскоп, — а затем начаты методические раскопки. Под гумусным слоем, содержавшем обломки керамики XII—XIV вв., было выявлено несколько погребений, с плохо сохранившимися костяками и скудным инвентарем в виде стеклянных браслетов XII—XIII вв; погребения частично врезались в слой с обломками черепицы и сырцовых кирпичей, образовавшейся в результате разрушения стен и перекрытия здания. Судя по булыжному основанию, здание являлось простой зальной церковью, длиной 10 м. В восточной ее части сохранились остатки алтаря — жертвенный стол, сложенный из квадратичных кирпичей на глиняном растворе и алтарная преграда, с круглыми кирпичными столбцами, пролет между которыми заложен плоской черепицей. По предварительным данным церковь может быть отнесена к раннехристианскому времени.

В нескольких метрах к югу от холма была обнаружена овальная в плане керамическая печь. Сохранившаяся нижняя часть печи состоит из овальной стены, обмазанной глиной, и пода, сложенного из обломков черепиц и глинобита. Центр пода опирается на столбик, сложенный из тех же материалов. Сам под прорезан круглыми жароходами, расположенными двумя концентрическими кругами. Топка частично вырезана в грунте, устье не сохранилось. Следы подобных сооружений обнаружены экспедицией и в других частях городища. Одно из них находится к северу от холма, в лесу. Сохранившаяся часть этой печи имеет сигарообразную форму и была перекрыта подушкообразными большими кирпичами. В печи засвидетельствовано несколько «квеври» больших размеров, а также мелкая посуда.

Помимо стационарных исследований на территории городища Арешши, экспедиция вела разведочные работы в Кварельском районе, а также предприняла защитные раскопки в с. Цодна Лагодехского района, с целью расчистки и охраны сооружения, обнаруженного во время сельскохозяйственных земляных работ. Сооружение оказалось баней позднефеодальной эпохи. В ней сохранились несколько специальных отделений; топочная часть, резервуар для подогрева воды, раздевальня и банное помещение с двумя полукруглыми отсеками. Баня обогре-

валась калориферной системой и имела трубопроводы для подачи холодной и горячей воды.

В 1976—1977 годах от местного населения в экспедицию поступило несколько предметов, найденных случайно во время земляных работ. Среди них особенно интересны: 1. Медная ажурная бляха, со стилизованными изображениями животных, предположительно датируемая VIII—X вв; 2. медный крест с рельефными изображениями, датируемый XII—XIII вв; 3. четыре серебряные арабские монеты — часть известного клада, обнаруженного в 1962 г. в с. Мтисдзири.

---

ბ. მჭედლიშვილი

# ივრისპირის „ქვაბების“ 1976 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში[1]

(ტაბ. XXXI$_1$)

1976 წელს საველე მუშაობა ივრისპირის „ქვაბებზე“ მიმდინარეობდა 23 აპრილიდან 13 მაისამდე. ძირითადი სამუშაოები „ქვაბების“ ცენტრალურ ფერდზე, IV ნაკვეთში გაიშალა[2]. ჩვენი მიზანი იყო ნასახლარების გამოვლენა, სტრატიგრაფიის დადგენა და, ამრიგად, ძეგლის თარიღების დაკონკრეტება.

№№ 6—7 ქვაბების წინა ფერდზე, მის დასავლეთ მცირე დამრეცზე გავლებულმა ორმეტრიანმა შურფმა გამოავლინა ნახშირიანი ფენა, დამწვარი გაწითლებული თიხის შრეები და იატაკის დონე. იატაკი მიწატკეპნილი აღმოჩნდა; პირობით მას I სათავსოს იატაკი ვუწოდეთ. ჭრილში, იატაკის დონეზე რამდენიმე ჭურჭლის ნატეხი გამოჩნდა.

სათავსოს სრულად გამოვლენის მიზნით, შურფის აღმოსავლეთით და სამხრეთით დავიწყეთ ფერდის პირაღებით გათხრა; გასათხრელი ტერიტორია წინასწარ კვადრატებად დავყავით — 2×2 მ (სურ. 2).

თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში, $C_1$—$d_1$ კვადრატებში, უშუალოდ კორდოვან ფენაში ნახშირებთან და ნაცართან ერთად გამოჩნდა დაღეწილი თიხის ჭურჭელი. ამ თხელი ფენის მოხსნის შემდეგ 5 სმ სიღრმეზე გამოვლინდა II სათავსოს მიწატკეპნილი იატაკის ნაშთი, რომლის შემორჩენილი სიგრძე 5 მ, ხოლო სიგანე ჩრდილოეთ ნაწილში 4 მ აღწევს. იატაკზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დათარიღებისათვის არ გამოდგება, ვინაიდან იგი წვრილად დაფშვნილი იყო. იატაკის ნაპირი გარკვევით შეინიშნება მხოლოდ მის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც თიხის კედლის ნაშთია შემორჩენილი. I სათავსოს იატაკის დონე II სათავსოსთან შედარებით 1 მ დაბლაა და მისი აღმოსავლეთი ნაპირი უკეთაა გადარჩენილი. აქ გამოვლინდა თიხის დამწვარი კედლის ნაშთი და ბათქაშები. იატაკზე აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, რომლებიც ცნობილ ტიპებს მიეკუთვნება და IX—X სს. თარიღდება. ესენია

---

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ბ. მჭედლიშვილი (ხელმძღვანელი), ნ. აბხაზავა, ს. ბურდილაძე.

[2] 1974—75 წწ. ანგარიშს დართული აქვს სქემატური ვიზუალური ტოპო-გეგმა. 1976 წლისავის გაკეთდა „ქვაბების“ ზუსტი ტოპო-გეგმა, რის გამოც შევცვალეთ ადრე შემუშავებული ნაკვეთების ნუმერაცია (იხ. სურ. 1). წინა წლების მუშაობის შესახებ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, ტ. V, თბ., 1977, გვ. 157—170.




სურ. 1. იერისპირის „ქვაბები", ტოპო-გეგმა

თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, „გულებიანი" და „რგოლებიანი" და ნალვენთი ტექნიკით შემკული. გარდა ამისა, მოპოვებულია მოუჭიქავი ჭურჭლის რამდენიმე ნიმუში: დოქის ყელი, ქვაბის ორნამენტირებული ფრაგმენტი და სხვ.

ორივე სათავსოს იატაკებზე დამწვარი ნახშიროვანი ფენის არსებობა ერთიანი განადგურების სურათს იძლევა, რაც „ქვაბების" სხვადასხვა ადგილებშიც გვქონდა შენიშნული. იატაკების სხვადასხვა დონე მეზობელ სათავსოებში იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების სათავსოების აგებისას რელიეფს თითქმის ხელუხლებელს ტოვებდნენ; მხოლოდ დამრეცებზე იქნებოდა მიწა ამოჭრილი, რაც I სათავსოს მაგალითიდანაც ჩანს. ორივე იატაკის ნახშიროვან ფენაში შერეული ხის ტოტებისა და ლერწმის ნახშირები სათავსოების გადახურვის მასალაზე მიუთითებს. ამგვარი მასალა ხშირია „ქვაბების" სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილ დამ-




სურ. 2. ივრისპირის „ქვაბები“

წვარ ფენებში. იგივე სურათი გვაქვს დოკუმენტალურად დადასტურებული 1975 წელს ე. წ. „ქურებიან სათავსოშიც“.

II სათავსოს იატაკზე გავლებულმა მცირე შურფმა 25 სმ სისქის სტერილური თიხის ფენა გამოაჩინა, მის ქვემოთ კი 1 სმ სისქის ნაცრისფერ თიხის ფენაში რამდენიმე მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხი ამოვიდა. მათ შორის აღსანიშნავია თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამის ნატეხი, თეთრი ანგობით დაფარულ კეცზე ფერადი ჭიქურის ლაქებით მოხატული ჯამის ნატეხი, სამტუჩა სურის ფრაგმენტი, ვარდისფრად გაპრიალებული ჯამის ნატეხი, მრგვალგანივკვეთიანი შავი მინის სამაჯური და სხვ.

ამრიგად, ორი გამოვლენილი ფენა თითქმის ერთგვაროვან მასალას შეიცავს და IX—X სს. ფარგლებში ექცევა; ისე რომ, მათ შორის არსებული ქრონოლოგიური სხვაობა შესაძლოა უმნიშვნელოც იყოს.

e — ხაზიდან აღმოსავლეთით 5 მ გაგრძელებულმა თხრილმა მხოლოდ თიხნარის დიდი ნატეხებით უდიერად ნაშენი კედლის ნაშთი გამოავლინა. კედლის აღმოსავლეთით 1 მ სიგანის დამწვარი ფენა ჩანს. ისე რომ, აქაც მოსალოდნელია რაიმე სათავსოს არსებობა. ამ უკანასკნელსა და II სათავსოს შორის ნიადაგი დაზიანებულია და ამის გამო მათი გადაბმა ვერ მოხერხდა. ახლად აღმოჩენილი სათავსოს ნაშთი ოდნავ დაბლაა II სათავსოს იატაკის დონესთან შედარებით.

სათავსოების გამოვლენის პარალელურად, სათავსოების სამხრეთით ფერდის დამრეცზე, გავავლეთ დამატებით კიდევ ერთი თხრილი 8 მ სიგრძეზე. 1 მ სიღრმის თხრილიდან ამოვიდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა: უმეტესო-

ბა — მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები და დიდი რაოდენობით — ვარდისფერკეციანი და ვარდისფერ ანგობში ამოვლებული ჭურჭლის ნატეხები. მთლიანად კი მასალა ისეთივეა, როგორც ძეგლის ზედაპირზე და, ძირითადად, IX—XI სს. თარიღდება.

თხრილში არ შეინიშნება რაიმე გარკვეული ფენა. ჭრილში ერთიმეორეზე დაზვინული შრეებია. შრეები ირიბი ლინზებივით მოსჩანს და მათში მოპოვებული მასალა ერთგვაროვანია.

XII ნაკვეთში ექსპედიციამ მიაკვლია კიდევ ერთი სათავსოს ნაშთს. უშუალოდ მიწის ზედაპირზე გამოჩნდა ქვის კედლის ერთი წყობის რიგი, სამხრეთ-აღმოსავლეთით შემორჩენილი კუთხე და მიწის დონიდან 5—10 სმ სიღრმეზე — იატაკის დონე. იატაკის სიგრძე დაახლოებით 7 მ და მასზე ზოგან 20 სმ სისქის დამწვარი თიხის ფენა იდო. იატაკი და კედლის ნაშთი მძლავრი ცეცხლისაგან იყო გაწითლებული. სამწუხაროდ, იატაკზე დამათარიღებელი არაფერი არ აღმოჩენილა.

ცენტრალური III სამაროვნის აღმოსავლეთ ნაპირში ადრევე შემჩნეული გვქონდა დამწვარი ნახშიროვანი ფენა, რომელშიც თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხებიც ერია. საანგარიშო წელს გადავწყვიტეთ მისი გამოვლენა, ვინაიდან ადრე იგი სამაროვანთან დაკავშირებულ საკულტო ნაგებობად მივიჩნიეთ. ასეთ მოსაზრებას პირველ რიგში კრამიტების არსებობა გვკარნახობდა, ვინაიდან „ქვაბებზე“ ერთი-ორი ნატეხის გარდა სხვაგან კრამიტი არ შეგვხვედრია. მიწის ზედაპირზე კარგად იკითხებოდა დამწვარი (3 მ დიამეტრით) ფენა, რომელიც აღმოსავლეთისაკენ დაბლდებოდა. გათხრამ გამოავლინა თიხნარ გრუნტში ამოკვეთილი წრიული სათავსო, რომლის დიამეტრი 2 მეტრია, ხოლო სიღრმე უკეთ შემორჩენილ დასავლეთის მხარეს 50 სმ აღწევს. კედლები იატაკიდან შიგნითაა გადახრილი და, პირობითად აღდგენილი, ნახევარსფერულს ემსგავსება; ამრიგად, ჩვენი აზრით, საცხოვრებლად გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო. იატაკზე აღმოჩნდა 10—15 სმ სისქის ნაცრისფერი თიხის ფენა, რომელშიაც დიდი რაოდენობით ერია ცხვრის ძვლები. იყო აგრეთვე, თიხისა და მინის რამდენიმე ჭურჭლის ნატეხიც. მის თავზე იდო დამწვარი, ნახშირიანი ფენა. ორივე ფენაში ერთი და იგივე ჭურჭლის ნატეხები გვხვდებოდა. ეს აიხსნება იატაკზე თიხის დალექვით მას შემდეგ, რაც გაუქმებულ სათავსოში დამტვრეული ჭურჭელი და ძვლები ჩაყარეს.

სხვადასხვა დონეზე მოპოვებულ ნივთებს შორის აღსანიშნავია, მინის ჭურჭლის ნატეხები, მათ შორის: გრავირებული ორნამენტიანი ორი ნატეხი, უფერო მინისაგან დამზადებული ერთი ნაკლული ცილინდრული ჭიქა, ფეხიანი სასმისის ქუსლი და ძაბრისებური ძირიანი სასმისის ნატეხები (სურ. 3).

მოჭიქული ჭურჭლებიდან მოპოვებულია: პირგადაშლილი მონაცრისფრო ღია ვარდისფერკეციანი ნაკლული თასი, რომელიც მოჭიქულია შიშველ კეცზე. ჭიქური თეთრი ფერისაა, გაუმჭვირი და სქელი. ჭურჭელი არატიპიურია ჩვენი მასალებისათვის და პარალელიც ჯერჯერობით უცნობია. გარდა ამ თასისა, სათავსოდან ამოვიდა მოუჭიქავი ჭურჭლის მრავალი ნატეხი. ჭურჭლის ძირებისა და პირების მიხედვით სათავსოში ჩაყრილი აღმოჩნდა: — დოქი —4, ლუთერია —2, ქილა —2, ქოთანი —6, ფიალა —1 და ზოგიერთი გაურკვეველი ჭურჭლის ნიმუშები.



სურ. 3. „წრიულ სათავსოში" მოპოვებული მინის ჭურჭლის ფრაგმენტები

ლითონის ნაწარმიდან ერთი რკინის ლურსმნის თავი და ბრინჯაოს თხელი ფირფიტა აღმოჩნდა.

გაწმენდილი წრიული სათავსო პირობით ქურად მივიჩნიეთ, თუმცა შესაძლებელია, რომ ის მეთუნეობისათვის ან სხვა რაიმე საწარმოსათვის დამხმარე (ნახშირის გამოსაწვავი) სათავსოც იყოს. ცხადია მხოლოდ ერთი, სათავსო გაუქმების შემდეგ სანაგვედ გამოუყენებიათ და შიგ ჩაუყრიათ საოჯახო ნივთებთან ერთად შინაური ცხოველების ძვლებიც. მასალის უმეტესობა ტიპიურია „ქვაბებისათვის" და IX—XI სს. განეკუთვნება. ამ შემთხვევაშიაც სათავსოში (ქურაში ?) დადასტურებულია ხანძრის კვალი. ხის წვრილ ტოტებთან ერთად კვლავ ლერწმის ნახშირებს ვხვდებით.

სამაროვნის სიახლოვეს ასეთი სათავსოს არსებობა ჯერჯერობით აუხსნელია. მასალის სიმწირის გამო ჩვენ არ ვიცით რა დრომდე მოქმედებდა სამაროვანი და ამიტომ არა გვაქვს უფლება სათავსოს გაჩენა პირველის გაუქმებას დავუკავშიროთ.

ზუსტად ანალოგიურ სათავსოს მივაკვლიეთ ამავე სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთით თიხოვან ფლატეში. აქაც წრიული ნაგებობა და შიგნით გადახრილი კედელი დადასტურდა. ამჟამად მისი სიგანე 195 სმ აღწევს, სიღრმე — 60 სმ. კედელი შიგნით 10 სმ არის გადახრილი და შემორჩენილი აქვს 31 სმ სისქის შელესილობა. სწორედ ეს ადგილი გაწითლებულია მძლავრი ცეცხლი-

საგან. პირობით ამ სათავსოს, ზემოთ აღწერილისგან განსასხვავებლად, № —2 ქურა ვუწოდეთ. მის იატაკზე იდო ნაცროვანი თიხის თხელი ფენა, რომელშიაც თიხის ჭურჭლის ნატეხებიც ერია, კედელთან ახლოს კი დამწვარი შელესილობის ნატეხები ეყარა. ყოველივე ამას ზემოდან დამწვარი მიწისა და ნახშირის ფენა ედო. სათავსოში აღმოჩენილ ჭურჭლებიდან აღსანიშნავია: თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამის ძირი, შიშველ კეცზე ყავისფრად მოჭიქული პირგადაშლილი ფიალის ნატეხი, დერგისა თუ ლუთერიის და ჯამის ძირები, რომელიც ფორმით ვარდისფრად გაპრიალებული ჯამების მსგავსია, ოღონდ შედარებით უხეში და ცუდად გამომწვარი კეცი აქვს.

ექსპედიცია განაგრძობდა ზედაპირული მასალის შეგროვებას. 1976 წელს ამ გზით მოპოვებულ მასალებში აღსანიშნავია:

1. ვერცხლის მედალიონი, ყუნწიანი; დ=2 სმ (ნაპოვნია III სამაროვანზე № 4 სამარხის მახლობლად). მედალიონი შემკულია დაბალი რელიეფური გამოსახულებებით: ერთ მხარეს, ჩაჭდეული კონტურებით გამოსახულია წრეში ჩასმული, ბოლოებგაფართოებული ტოლმკლავა ჯვარი; ცენტრში აქვს პატარა ბურცობი, მკლავებზე დაჭდეულია სამკუთხედები. მეორე მხარეს წარმოდგენილია ერთი დიდი და ოთხი პატარა ფიგურისაგან შედგენილი კომპოზიცია. დიდი ფიგურა მოთავსებულია ცენტრში, ვერტიკალზე, პატარები — კი განაწილებულია წყვილებად, ერთიმეორის თავზე, დიდი ფიგურის იქით-აქეთ. ფიგურები მეტად სქემატურადაა მოცემული, რის გამოც მათი გამოცნობა ძნელია. თავდაპირველად კომპოზიცია სასანური მონეტების სიუჟეტს დავუკავშირეთ[3], თუმცა გამორიცხული არ არის საეკლესიო ცხოვრებაში ასახული, მესვეტეობის გავლენაც იყოს[4]. მესვეტეობა და კერძოდ, სიმონ მესვეტის სახელი, თავის დროზე საქართველოში პოპულარული იყო. წმ. სიმონის გამოსახულება შემორჩენილია შიო მღვიმის, ზედაზენის, ჩუკულის რელიეფებზე. ამის მიუხედავად ძნელია მსგავსებაზე ლაპარაკი, და ამიტომ საკითხს ღიად ვტოვებთ (ტაბ. XXXI$_1$).

2. გემა, ლურჯი მინის, დ—1 სმ; გამოსახულია სასანური „ნეშანი“, თარიღდება VI—VII სს. (აღმოჩნდა ცენტრალურ III სამაროვანზე, მედალიონის მახლობლად).

3. საკიდი ბრინჯაოსი (მონეტა). ნაპირზე გახვრეტილი, დაზიანებულია. ვარაუდით, არაბული ფელსი უნდა იყოს[5], VII—IX სს.

4. სამაჯურები ბრინჯაოსი. მათი უმეტესობა სახსრიანია. ზოგჯერ ბრტყელი ზედაპირი რელიეფური ან ამოკაწრული ორნამენტითაა შემკული. გვხვდება აგრეთვე რამდენიმე ღეროსაგან გრეხილი ან გრეხვის იმიტაციით შემკული სამაჯურები (სურ. 4$_{11, 12, 14, 16}$).

5. ბეჭდები ბრინჯაოსი. მოპოვებულია სულ 10 ცალი, აქედან 3 ბეჭდისათვის დამახასიათებელია: სამკუთხა განივკვეთიანი სათითე რკალი, წაკვეთილი, ქვემოთკენ შემსხვილებული მხრები, მრგვალი თვალბუდე. ერთ ბეჭედს შემორჩენილი ჰქონდა დახშული ცისფერი მინის თვალი. ბეჭდის მხრებზე,

---

[3] გ. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი, ნასახლარი „ქვაბები“ ივრის შუა წელზე. სპელეისტიკური კვლევა-ძიებანი. სპელეოლოგთა სამეცნიერო სესია საგარეჯოში. თბ., 1977.

[4] ასეთი მოსაზრება ალ. ჯავახიშვილმა გვიკარნახა.

[5] განსაზღვრულია მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.



სურ. 4. ივრისპირის „ქვაბები“, ზედაპირული მასალა

როგორც წესი, ამოკაწრული წრეები და მასში ჩასმული წერტილებია გამოსახული. ნაპოვნია აგრეთვე სხვა ტიპის ბეჭდების რამდენიმე ფრაგმენტი (სურ. 4–1–10).

6. საყურეები ბრინჯაოსი. სხვადასხვა დროს მოპოვებული 6 საყურიდან 4 ერთეული თავგახსნილი სამაჯურებიდანაა გადაკეთებული (სურ. 4 20–23). დანარჩენი ორიდან ერთი რკალისებურია, შუაში შემსხვილებული, მეორე წრიულია, წვრილი მავთულისაგან დამზადებული, და ზურგი დაკეჭნილი აქვს.

7. ფარშევანგის გამოსახულება, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა. ძალზე სქემატური, სტილიზებული; ყელზე ორი რელიეფური სარტყელი შემოუყვება.

ფარშევანგის გამოსახულება დროის დიდ მონაკვეთში გვხვდება. ამიტომ ზუსტ დათარიღებიდან თავს ვიკავებთ, ხოლო ზოგიერთი სტილიზებული დეტალის მიხედვით, ქართულ რელიეფურ ქანდაკებაზე დაყრდნობით, შეიძლება ვარაუდით მიეკუთვნოს არაუგვიანეს X—XI სს. (სურ. $4_{26}$).

8. აბზინდა „ქვაბებზე“ აღმოჩენილია მხოლოდ ერთი აბზინდა; სიგანე 2,2 სმ. სათასმე ნაწილი ოთხკუთხა მოყვანილობისაა სამი შეზნექილი გვერდით. მეოთხე გვერდს წრიული დანართი აქვს. ზუსტი პარალელები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან და VIII—IX სს. თარიღდება[6] (სურ. $4_{27}$).

9. კანდელის (ან საცეცხლურის) ჩამოსაკიდი ყუნწი და ჯაჭვის ელემენტი ბრინჯაოსი; ვერტიკალურ პროფილირებულ ყუნწის ღეროს (სიმაღლე 5 სმ) ქვემოდან აქვს სამი შვერილი, რომელზედაც ჯაჭვები მაგრდებოდა. ეს ადგილები ამჟამად მოტეხილია. ჩვენი ყუნწის პარალელები ძალზე ზოგადად IV—V[7] და XI—XIII სს. თარიღდება (სურ. $4_{33}$, $_{34}$)[8].

ჯაჭვის რგოლი, ბოლოებდაწვრილებულ და მოკაუჭებულ მავთულს წარმოადგენს. ალბათ ხმარების შედეგად, კაუჭის შუა ნაწილი გაცვეთილია. ზუსტი ანალოგი ცნობილია ყირიმიდან; მას ლამპარის ჩამოსაკიდად მიიჩნევენ და XI—XIV სს. ათარიღებენ[9].

საეკლესიო-სარიტუალო დანიშნულების ეს საგნები IV ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა.

10. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები, დაბალი მომრგვალებულპირიანი, ზედაპირზე განიერი ღარი შემოუყვება, ვარდისფერკეციანი, თეთრი ანგობით დაფარული და ნაღვენთი ფერადი ლაქებით მოხატული. ფერადი ლაქები ირიბადაა გავლებული და მარმარილოს ჩამოგავს. მსგავსი ტექნიკით მოხატული ჯამები ჩვენთან IX—X სს. განეკუთვნებიან[10].

11. მინის ნაწარმიდან, რომელიც კვლავ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ე. წ. ინკრუსტირებული მძივების და სამაჯურების ფრაგმენტები. ინკრუსტირებული სამაჯურების საერთო რაოდენობამ 60-ს მიაღწია. მძივებიდან საინტერესოა ახალი ნიმუშები, კერძოდ გვირილის მსგავსი სახეებით შემკული ერთი ნაკლული მძივი.

მინის წუნებისა და წიდების მომრავლებამ კიდევ უფრო გაგვიმტკიცა მოსაზრება „ქვაბებზე“ მინის საწარმოს არსებობის შესახებ.

12. სამელნის ფრაგმენტი, ქვისა, სიმაღლე —5 სმ; შემორჩენილია კუთხე ფეხითურთ და ჩარხით ამობურღული ფოსო, რაც, ალბათ, სხვადასხვა ფერის მელნისათვის იქნებოდა განკუთვნილი; მსგავსი მხოლოდ თიხის კუბური და უფეხო სამელნე აღმოჩენილია დვინში[11] (სურ. 5).

---

[6] А. Л. Якобсон,. Раннесредневековые поселения юго-западной Таврики. МИА-168, с. 140, рис. 91(10). МИА-63, 1959, рис. 41(20).

[7] Collection Helene Stathatos, Strasbourg 1963. ტაბ. 240.

[8] Г. Д. Белов, МИА-4, с. 246, рис. 77.

[9] М. А. Тиханова. Археологические раскопки юго-западного Крыма, МИА-34, с. 356, рис. 21а.

[10] მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX—XIII სს.), თბ., 1969, გვ. 17.

[11] А. А. Калантарян, Материальная культура Двина V—VII вв., Ереван, 1970, с. 49, таб. X 6.



სურ. 5. ქვის სამელნის ფრაგმენტი

1976 წლის საველე მუშაობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ივრისპირის „ქვაბების“ მნიშვნელობა შუა საუკუნეების საქართველოს მატერიალური კულტურის შესწავლისათვის. ამ ბოლო ხანებში ძეგლზე გამოვლენილი სამოსახლოები და ნივთიერი კულტურა ახლებურად აშუქებენ კახეთის სამთავროს ამ პროვინციას და საშუალებას გვაძლევენ წარმოდგენა შევიქმნათ ივრისპირების მოსახლეობის სოციალურ ყოფაზე.

Б. МЧЕДЛИШВИЛИ

## ОТЧЕТ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ 1976 ГОДА В «КВАБЕБИ» ИОРСКОГО УЩЕЛЬЯ

Резюме

(Табл. $XXXI_1$)

В отчетном году работы развернулись в основном на центральном склоне «Квабеби»[1]. Здесь, на небольшом возвышении было выявлено несколько помещений, датируемых, найденной в них простой и

[1] Отчет работ предыдущих годов, см. Археологические экспедиции ГМГ, V, Тб., 1977, с. 157—170.

поливной—разрисованной белым ангобом и покрытой прозрачной или зеленой глазурью посудой, IX—X вв.

Шурф, заложенный к югу от этого места, дал богатый остеологический материал домашнего скота, простую и поливную керамику и несколько фрагментов стеклянных браслетов; в целом этот материал не отличается от подъемного и относится к IX—XI вв.

В восточной части центрального могильника выявлены остатки вырытого в глинистом грунте круглого помещения диаметром в 2 м, с наклонными во внутрь стенами, что заставляет предположить здесь куполообразное перекрытие и пространство, неудобное для жилья; это, вероятнее всего, — керамическая печь, или ее подсобное помещение. Такое же сооружение было выявлено к югу от вышеуказанного могильника. Его стены были обмазаны толстым слоем глины и сильно обожжены; по некоторым материалам, найденным в нем, оно датируется IX—X вв.

Продолжался сбор подъемного материала; в нем следует отметить:

1. Серебряный медальон с ушком, с вычеканенными изображениями равноконечного креста, с расширяющимися к концу тяблами, на одной стороне, и пятифигурной схематизированной композиции, напоминающий сасанидский мотив инвеституры, трансформированный в христианский символ, на другой. Возможно также влияние столпничества. За неимением прямых аналогий, вопрос датировки оставляем открытым.

2. Гемму из синего стекла, с изображением сасанидского «нешана», VII в.

3. Бронзовые украшения, их фрагменты и ряд других предметов— перстни с усеченными плечиками и кружочками на них; браслеты, большей частью шарнирные; серьги, частью переделанные из браслетов; фрагмент плоского изображения павлина; части кадила — обломок трехпалового ушка и крюк.

4. Фрагмент каменной четырехгранной чернильницы с ножкой и двумя цилиндрическими резервуарами.

5. Стеклянные браслеты и бусы, среди них — инкрустированные.

Полевые работы 1976 года еще раз подтвердили, что «Квабеби» по-новому освещают некоторые вопросы истории материальной культуры Грузии средних веков; изучение этого быстро разрушающегося памятника — дело безотлагательное.

მ. სინაურიძე

# კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976—1977 წწ. მუშაობის ანგარიში

(ტაბ. XXXI—XXXII)

1976—1977 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი ამოცანა იყო ქალაქ მადნეულის ტერიტორიაზე, კარიერზე და მის მახლობელ მიდამოებში მიმდინარე სამუშაოთა მეთვალყურეობა.

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩის დასაწყისში სასადილოს მშენებლობის დროს აღმოჩნდა შუა საუკუნეების სამაროვანი, რომელიც შეიცავდა უინვენტარო ქვაყუთებს. მიცვალებულები ესვენა ქრისტიანული წესით — ზურგზე გაშოტილი, პირით აღმოსავლეთისაკენ, გულ-ხელდაკრეფილი.

ქალაქის ცენტრშივე, საბავშვო ბაღისა და სკოლა-ინტერნატის მახლობლად ქუჩის გაფართოების დროს აღმოჩნდა ქვაყუთების დიდი ფილები და ერთი საკინძი. საკინძი ბრინჯაოსია, ღერო მოტეხილი აქვს. იგი გრძელი უნდა ყოფილიყო (მოტეხილია ნახევარზე მეტი). თავი სარდიონისა აქვს, აქეთიქიდან დამაგრებულია ბრინჯაოს ვარდულებით. სარდიონი მუქი მოწითალო ფერისაა, ცილინდრული ფორმის, გვერდები დაწახნაგებული აქვს. ასეთი საკინძები ანალოგიური მასალების მიხედვით თარიღდება IV—VIII სს. მაგალითად, სამთავროს ანალოგიური საკინძები ზოგადად IV—VIII სს. განეკუთვნება. ამავე ფორმის მხოლოდ მინისთავიანი საკინძები რკინის ღეროთი აღმოჩენილია ურბნისში. ლ. ჭილაშვილმა ისინი IV საუკუნის ბოლოთი და V საუკუნის დასაწყისით დაათარიღა[1]. საყურადღებოა ნ. აფხაზავას აზრი, რომელიც თვლის, რომ მინისა და ქვისთავიანი საკინძები საერთოდ ჩნდება V საუკუნიდან. კაზრეთის საკინძი V საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს. VII—VIII სს. საკინძების თავების ფორმა რთულდება. აქედან გამომდინარე, კაზრეთის საკინძი V—VII სს. შეიძლება დავათარიღოთ.

ამრიგად, კაზრეთის ტერიტორიაზე ფიქსირებულ იქნა ადრეშუასაუკუნეების კიდევ ერთი ძეგლი.

1976 წ. გათხრების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენდა სამტრედოს გვიანფეოდალური ხანის ძეგლი, რომელიც მდებარეობს კაზრეთიდან კარიერისაკენ გამავალი გზის მახლობლად.

როგორც ცნობილია, სამტრედო ზურაბიშვილების, ბარათაშვილების გა-

---

[1] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, სურ. 36, 4—5, გვ. 85.

მონაყოფი გვარის მამული იყო. აქ შემონახულია სასახლე და მასთან დაკავშირებული ნაგებობები, მათ შორის ეკლესია, რომლის თარიღიანი წარწერა (1697 წ.) გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს[2]. ამჟამად ეს წარწერა დაკარგულია. როგორც ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ჩანაწერებიდან ირკვევა, ეს წარწერა მას წაუკითხავს 1846 წ., როდესაც ცოლთან და სიდედრთან ერთად კაზრეთში ჩასულა[3] (წარწერის ტექსტი მოგვყავს ე. თაყაიშვილის წანაკითხის მიხედვით. ე. თაყაიშვილის და ა. ორბელიანის წაკითხვაში მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის): „ქ. ბრძანებითა: ღთისითა: ჩვენ: ზურაბისშვილმან: ბატონმან: რევაზ: და თანამეცხედრემა (sic): ჩვენმა: ფალავანდის: შვილის: ქალმა ბატონამ (sic) თამარმა აღვაშენეთ წმიდა ესე ეკლესია: ღვთაების მამისა და დედისა ჩვენსა სასულიეროთ: და ჩვენდა მოსახსენებლად: და შვილთა: ჩვენთა გასძლიერებათა (sic): ვინც მობრძანდეთ ჩვენს ცოდვილს: სულს: შენდობა: უბრძანეთ· სრულ იქმნა: და აღშენდა: თე˜სა: ივლისა: ათსა. ქ˜კს: ტპე: ღთაებაო: შემწე მეყავ: აღმშენებელსა: შენსა“.

სამტრედოს დაზვერვების შედეგად თავის დროზე ჩვენ მივაკვლიეთ ორსართულიანი სასახლის ნაშთებს და მის ახლო-მახლო მდებარე შენობების ნანგრევებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სასახლის დამხმარე სამეურნეო ნაგებობებია, მაშასადამე, ძეგლის გათხრა საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ გვიანი შუა საუკუნეების მემამულის კარ-მიდამო და შესაძლოა, მეურნეობაც.

1976 წ., ვიდრე გათხრებს შევუდგებოდით, აღრიცხულ იქნა ყველა ნანგრევი, რომელიც მიწის ზედაპირზე მოჩანდა (სამტრედოში ორი შენობა — ეკლესია და აგურის ნაგებობა ექსპედიციამ შეისწავლა და გაზომა წინა წლებში). წინასწარ უნდა ითქვას, რომ სამტრედოს ნაგებობათა კომპლექსი შეიძლება განვიხილოთ როგორც ტერასული დასახლება, სადაც ერთი ნაგებობის ბანი მეორეს ეზოს წარმოადგენს. აღდგენილი სურათის მიხედვით სამტრედოში შენობები ოთხ ტერასაზეა განლაგებული.

სასახლე დგას ზემოდან მეორე ტერასაზე. იგი ნაგებია ქვითკირით, სამშენებლო მასალად ნახმარია ადგილობრივი ჯიშის კლდის ქანი, მას ზედაპირი გათლილი აქვს, მაგრამ კვადრები უსწორმასწორო და არათანაბარია. შემორჩენილია სასახლის უკანა დარბაზი. დარბაზიდან არქიტრავიანი კარი შედის წინა ოთახში, საიდანაც კარი თაღით არის ამოყვანილი. კარი ნახევრად მიწაშია ჩამჯდარი. ამ ოთახში შემორჩენილია სამი კედელი, ამასთან ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლები — მხოლოდ ნაწილობრივ. ჩრდილო-დასავლეთი კედლის უკან ზედა სართულზე ადის კარგად შემონახული ქვის კიბე. აქ პატარა კიბის ბაქანია გამოყოფილი. ზედა სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში დიდი წალოები ყოფილა გამართული. ეს წალოები, როგორც ჩანს, გადაკეთების დროს ამოუვსიათ და ამჟამად აქ ყრუ კედელია (სურ. 1).

თხრა დავიწყეთ დარბაზიდან. მისი ზომებია 10,1×8 მ. გავწმინდეთ მისი უკანა კედელი, რომელიც მთლიანად მიწაში იჯდა. იგი სანახევროდ ჩამოქცეული იყო, ქვები ეყარა კედლის წინ, იატაკზე. კედლის წყობის მხოლოდ სამი

---

[2] ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, II, თსუ შრომები, ტ. 43, თბ., 1951, 163.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H—2490 ა, ბ.



სურ. 1. სამტრედო. სასახლის გეგმა და ჭრილი

— ოთხი რიგი იყო შემორჩენილი, ისიც თავის ადგილიდან შიგნით გადმოწოლილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში გაიწმინდა სამი არათანაბარი ზომის წალო (60×50 სმ; 1,0×0,4 მ; 1,0×0,4 მ), ჩრდილო-დასავლეთ კედელში — ერთი დიდი წალო (1,9×0,55 მ) და ერთი პატარა თახჩა (90×50 სმ). დარბაზის შიგნით 1—0,5 მ მიწის ფენის აღების შემდეგ შუაში გამოჩნდა ქვის კერა, რომელიც წარმოადგენს ნათალი ქვით შედგენილ ოთხკუთხედს 2,4×2 მ (სურ. 1). კერა ამოვსებული იყო დამწვარი ნახშირით, მასში აღმოჩნდა ლურჯად მოხატული ფაიანსის ჭურჭლის პატარა ნატეხი, რომელიც ანალოგიური მასალის მიხედვით ირანულ ნაწარმად შეიძლება ჩაითვალოს და XVIII ს. II ნახევრით დათარიღდეს. კერის გარშემო იმავე დონეზე აღმოჩნდა ოთხკუთხა უსწორმასწორო ქვის ბალიშები, რომელთა განლაგების მიხედვით (ოთახის ცენტრალურ ოთხკუთხედში) შეიძლება დავასკვნათ, რომ მათზე აღმართული იყო ხის სვეტები — დედაბოძები. ამრიგად, ყველა მონაცემის მიხედვით სასახლის უკანა ოთახი წარმოადგენდა დარბაზს, ცენტრალური კერითა და დედაბოძებით, რომელიც უნდა ვიფიქროთ, გადახურული იყო გვირგვინული სახურავით, რომლის ხის კონსტრუქციაზე მიგვითითებს დარბაზის იატაკზე აღმოჩენილი გადამწვარი ხის და ნახშირის დიდი რაოდენობა.

არქეოლოგიური მასალიდან, რომელიც აღმოჩნდა დარბაზში, ყურადღების ღირსია: წითლად შეღებილი, გაპრიალებული დიდი დოქები გრძელი ყურებით და, ზოგჯერ წიწვიანი ორნამენტით; ასევე წითლად შეღებილი და გაპრიალებული საშუალო და პატარა ზომის ხელადები, თასები და თეფშები; შავად გამომწვარი ყურიანი ტოლჩები და ჭრაქები; ორმხრივ მოჭიქული დოქები და ჯამები, ფაიანსის ჯამებისა და თეფშების ნატეხები. ეს უკანასკნელები მოხატულია ლურჯად და ზოგჯერ შემოვლებულია შავი კონტურული ხაზებით (ტაბ. $XXXI_{2,3}$); კერამიკა, ანალოგიური მასალების მიხედვით, გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება.

სასახლის წინა ოთახში იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქვის ოთხი ბაზა, განლაგებული ცენტრალურ ოთხ კუთხეში. ჩრდილო-დასავლეთ კედელში გაიწმინდა ორი არათანაბარი ზომის ოთხკუთხა წალო, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში — ბუხარი და ერთი დიდი წალო. ბუხარი მოპირკეთებულია თლილი ქვით, რომელშიც თაღია გამოჭრილი. შენობის NO მხარეს კედლის კვალი არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, სათავსოს ამ მხარეს კედელი არ ჰქონია და ალბათ, ღია დერეფანს წარმოადგენდა.

დარბაზის აღმოსავლეთით მდებარეობს რამდენიმე სამეურნეო დანიშნულების ქვითკირის ნაგებობა: სასახლის ახლომდებარე სათავსოს (ზომით 6,1×5 მ) შესასვლელი აქვს როგორც სასახლის უკანა დარბაზის მხრიდან, ასევე წინიდანაც. მასში აღმოჩენილი სამზარეულო ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოადგენდა სასახლის სამზარეულოს (სურ. 2).

შემდეგი ნაგებობა შედგება 2 ნაწილისაგან (V სათავსო) და შეიცავს ნათალი ქვისაგან ნაგებ სრულთაღიან ბუხარს. უკანა ოთახი, ისევე როგორც სასახლის დარბაზი, ებჯინება ფერდობს ისე, რომ მისი უკანა, ჩრდილოეთის მხარე მთლიანად მიწაში ზის. წინა ოთახს მხოლოდ 3 კედელი აქვს — სამხრეთის კედელი, როგორც ჩანს, ღია იყო. ამ სათავსოში, იატაკის დონეზე მიწაში დაფ-

ლული იყო ქვევრი. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა წითლად შეღებილი დოქის ნამტვრევები. დოქების, ჯამების, თეფშებისა და აგრეთვე მოჭიქული და ფაიანსის ჭურჭლის ასეთივე ნატეხები აღმოჩნდა უკანა ოთახშიც. აღსანიშნავია, რომ

სამტრედო
IV




სურ. 2. სამტრედო, სამზარეულო შენობის გეგმა და ჭრილი

ამ ნაგებობაში ჭარბობს სუფრის ჭურჭლისა და ქვევრების ფარგმენტები. ეს მონაპოვარი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ აღნიშნული ნაგებობა სასახლის დამხმარე სათავსოს წარმოადგენდა, შესაძლოა — სასტუმრო სადგომს (სურ. 3).

V




სურ. 3. სამტრედო, ნაგებობა V (სასტუმრო); გეგმა და ჭრილი

როგორც ჩანს, V ნაგებობას ჰქონდა ბანური გადახურვა და იგი, ისევე როგორც ორივე სასახლე და სამზარეულო, იმყოფებოდა დასახლების შუა ტერასაზე. ზედა ტერასაზე აღმოჩნდა ღია ცის ქვეშ მიწაში დაფლული ქვევრები და მარცვლეულის შესანახი ორმოები, რომელთაც მისასვლელი ჰქონიათ ქვედა ტერასის ბანიდან. ნაგებობა V-ის აღმოსავლეთით არის მარანი თორმეტი ქვევრით, სადაც გათხრების შედეგად, გამოვლინდა გარკვეულ სიმაღლეზე შემორჩენილი კედლების ნაშთი. ამრიგად, აქ დადასტურებულია ნახევრადღია მარანი (სურ. $4_1$).

სასახლესა და დამხმარე სათავსოებში აღმოჩენილი კერამიკა შეიძლება ზოგადად დავახასიათოთ. წერნაქიანი კერამიკა წარმოდგენილია დიდ-პატარა ჯამების, დოქებისა და თეფშების სახით. დოქები მსხლისებურ ან მრგვალტანიანია, ზოგჯერ შემკულია წიწვოვანი ორნამენტით და ნაპრიალები ხაზებით. დიდ დოქებს გრძელი და ფართო ყური აქვს, პატარებს — მრავალგანივკვეთიანი და მოგრძო. თეფშები ნაპირებპროფილირებულია, ზოგჯერ გადმოკეცილი ბაკოთი. მოჭიქულ ჭურჭელში აღსანიშნავია ორმხრივ მოჭიქული ჯამები. მათი უმრავლესობა წითელკეციანია და მწვანე ჭიქურით დაფარული. მოჭიქული




სურ. 4. სამტრედო, სასახლის დამხმარე შენობათა ნაშთები — 1. მარანი, 2. სახელოსნო

ჯამების მეორე ჯგუფს შეადგენს ვარდისფრად ანგობირებული, მოწითალო კეცზე ორმხრივ გამჭვირვალე ჭიქურქვეშ ფუნჯით მოხატული ცისფერი ან მწვანე სახეებიანი ჭურჭელი. მათ ანალოგები მოეძებნებათ გვიანფეოდალური ხანის ძეგლებზე (თბილისის დედაციხე, თელავი და სხვ)[4]. დოქები — ნაწილი სქელკედლიანია, ბრტყელძირიანი, მრგვალ და მსხლისებურმუცლიანი, ცისფრად მოჭიქული ანგობირებულ წითელ კეცზე ან ასევე ცისფრად მოჭიქული თხელკედლიან მოთეთრო ფერის უანგობო კეცზე.

ფაიანსის ჭურჭლიდან აღსანიშნავია რამდენიმე ტიპი: ცისფრად მოჭიქული წმინდამარცვლოვანკეციანი, ლურჯად მოხატული, უფერო გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, კობალტის ფერისა და ნახატის მიხედვით პირობითად იეზდის ნაწარმად მიჩნეული ფაიანსი; მკაფიო ნათელი ფერის კობალტით მოხატული, ქერმანის ნაწარმად მიჩნეული ფაიანსი; მონაცრისფრო კობალტით მოხატული და გაღვრისადმი მიდრეკილი ნახატიანი ფაიანსი და სხვა.

სასახლისაგან ცოტა მოშორებით, სამეურნეო ნაგებობათა აღმოსავლეთით,

[4] ნ. მამაიაშვილი, მ. მიწიშვილი, ც. ჩიკოიძე, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974.

ხრამის ნაპირას დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შლაკი. აქვე მახლობლად შე-
იმჩნევა ქვითკირის ნაგებობის ნაშთები. კედლების ნაშთის საზღვრებში შე-
ვარჩიეთ ფართობი 7,5×7,5 მ. გათხრების შედეგად გამოვლინდა კვადრა-
ტული ნაგებობა ზომით 7×7,1 მ (სურ. $4_2$). SW კედლის შუაში თაღიან ნიშაში
მოწყობილია ბუხარი. მის აქეთ-იქით პატარა ოთხკუთხა ნიშებია. მათში,
როგორც აღმოჩენილი მასალის მიხედვით ჩანს, იდგმებოდა ჭრაქები. ამავე კე-
დელში სიმეტრიულად გამართულია ორი ოთხკუთხა ნიშა.

კედელში გაიწმინდა ოთხკუთხა დიდი წალო, ზომით 2,0×7,0 მ. ასეთი წა-
ლოები ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით განკუთვნილია ლოგინის შესანა-
ხად. შენობას შესასვლელი აქვს SO-დან და NO კუთხიდან.

შენობის ცენტრში იატაკის დონეზე აღმოჩნდა რკინის სადნობი ღუმელი,
რომელიც ამოშენებული იყო ნათალი ოთხკუთხა ქვებით და აგურით. ღუმელი
შეიცავდა გამოსაწვავ კამერას, ქურას და მასთან დაკავშირებულ კერამიკულ
მილებს. გამოსაწვავი კამერის უკან აგურის სამი რიგით მოგებული მოედანია
გამოყოფილი. მის ქვეშ ქურიდან გადის კერამიკული მილების ერთი წყება,
რომელიც მიემართება დაქანებით და გადის შენობის გარეთ. მილების მეო-
რე წყება გადის ქურიდან და შედის ბუხრის ქვეშ. ამ მხარეს შერჩენილია 7
მილი. მილების ეს წყება გაცილებით მაღალ დონეზეა შესრულებული და,
უნდა ვიფიქროთ, უერთდებოდა გამოსაწვავ კამერას თითქმის პირთან, რომე-
ლიც ამოვსებული იყო მოყვითალო ფერის ფხვნილით — გამომწვარი მადნის
ნაშთით. ქურის ძირზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შლაკი.

ოთახში აღმოჩნდა რამდენიმე ორმო, ქვით მოგებული პატარა მოედნები
და ქვის რამდენიმე „გრდემლი", რომლებიც, როგორც ჩანს, მადნის გასაფხვიე-
რებლად და მისგან მიღებული ლითონის გამოსაჭედად იყო განკუთვნილი. ქუ-
რის მახლობლად გამოვლინდა კიდევ ერთი ქვითა და ქვევრების ნატეხებით
ამოშენებული ქურა. მისი გაწმენდა დამთავრებული არ არის.

სახელოსნოში აღმოჩენილი კერამიკა ისეთივეა, როგორც სასახლის სხვა
ნაგებობებში აღმოჩენილი მასალა. ესაა წითლად გაპრიალებულ-შეღებილი
ჰურჭელი, დოქები, ჯამები, შავად გამომწვარი ჭრაქები და სხვ. აღსანიშნავია
კერამიკული საქშენი სალესი რკინის ჯაჭვით, რკინის ნალები და სხვ. (ტაბ.
$XXXII_1$). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ნივთები ამავე სახელოსნოში იყო
დამზადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სამტრედის რკინის სადნობი თავის მოწყობილო-
ბით უფრო რთული ჩანს, ვიდრე ჩვენთვის აქამდე ცნობილი, საქართველოში
აღმოჩენილი სახელოსნოები[5]. ჯერჯერობით შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ
რკინის გამოდნობა ხდებოდა ადგილობრივი მადნიდან; ი. გძელიშვილის აზ-
რით — დემირ-დაღის საბადოების ჰემატიტიდან; ჩვენი აზრით, შესაძლოა გა-
მოეყენებინათ უფრო ახლობელი კაზრეთის საბადოებიც.

სამტრედის გათხრები დამთავრებული არ არის. მიუხედავად ამისა, წინას-
წარ შეიძლება ითქვას, რომ თავად ზურაბიშვილების კარ-მიდამო საკმაოდ ვრცე-
ლი იყო. აქ აღმოჩენილი რკინის სახელოსნო მიგვითითებს სათავადოს მეურნე-

---

[5] И. А. Гзелишвили, Железо-плавильное дело в древней Грузии, Тб., 1964, с. 67—80.

ობის მრავალფეროვნებაზე. მეურნეობის ფართო მასშტაბზე მეტყველებს აგრეთვე ქვითკირის სარწყავი არხის არსებობა, რაც გამოვლინდა დაზვერვების შედეგად. საანგარიშო წელს არხის ტრასა დაზუსტდა, გაკეთდა კალაპოტის ჭრილები და სხვ.

მაშავრის არხი რწყავდა კაზრეთის და ბალიჭის მიწებს და მიემართებოდა სამტრედოსაკენ. როგორც ორბელიანთა ერთი საბუთიდან ირკვევა[6], არხი გაყვანილი იყო ერასტი მდივანბეგის მიერ. მისი სიგრძე „30-დან 40 ვერსამდე" იყო და იგი რწყავდა სამტრედოს მამულებს. ერასტი მდივანბეგი მოღვაწეობდა XVII ს. II ნახევარში და XVIII ს. I ნახევარში. მისი აგებულია 1709[7] წ. დავით გარეჯის ეკლესია, რომელიც მდებარეობს კაზრეთის მახლობლად.

ამრიგად, სამტრედოს შემდგომი გათხრა საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ქართლის მსხვილი სათავადოს კარ-მიდამოს გეგმარების, მეურნეობის ხასიათისა და მასშტაბების საკითხები, რომელიც შეავსებს ისტორიული საბუთების მიხედვით ჩვენთვის ცნობილ სათავადოს მეურნეობის სურათს.

მიმდინარე წელს ჩატარებული დაზვერვების შედეგად მიკვლეულ იქნა ნასოფლარები: ირმიანქედი, ღორისთავი, თეთრი წყაროები და სხვა. აქ აღმოჩენილი კერამიკა და საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები ადასტურებენ, რომ ეს ადგილები ძირითადად შუა და გვიანფეოდალური ხანის ნასოფლარებს წარმოადგენენ. მომავალში მათი შესწავლა აუცილებლად მიგვაჩნია.

1976—1977 წწ. კაზრეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა აკაურთის და კიანეთის ტაძრების სარესტავრაციო სამუშაოების მეთვალყურეობა. აკაურთის ტაძრის ინტერიერში სამუშაოების მიმდინარეობის დროს გამოვლინდა ადრეული იატაკი და სვეტების ბაზები. ჩრდილო-დასავლეთის ბაზასთან კუთხეში ჩავარდნილი იყო ჰერაკლე კეისრის მონეტა (610—641 წწ.). იატაკის გამოვლენისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა შეიცავს შუა საუკუნეების მცირერიცხოვან კერამიკას და ადრეშუასაუკუნეების ორნამენტიანი ქვების ნატეხებს. ტაძრის ჩრდილო ნახევარში აღმოჩნდა აგურით ამოშენებული გვიანი ხანის სამარხები, დასავლეთ კედლის წინ — ორნამენტული ქვები, რომლებიც ამკობდნენ დასავლეთის ფასადს. კიანეთის ტაძრის რესტავრაციის დროს აღმოჩნდა პილასტრის ბაზა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც X—XI სს. განეკუთვნება (ტაბ. XXXII, 2).

М. И. СИНАУРИДЗЕ

## ОТЧЕТ РАБОТЫ КАЗРЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ В 1976—1977 гг.

Резюме

Основной задачей Казретской археологической экспедиции в 1976—1977 гг. было продолжение раскопок на объектах, начатых экспедицией в предыдущих годах и наблюдение строительных работ, производимых на территории Маднеули и на карьере.

[6] იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H—2490ბ.

[7] წარწერა გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. მ ი ს ი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, გვ. 165.

В центре города, во время строительных работ обнаружены были остатки средневековых безинвентарных погребений. Вблизи от современного кладбища при расширении улицы была найдена головка от длинной булавки с обломанным бронзовым стержнем. Головка представляет собой граненную сердоликовую бусину, закрепленную сверху и снизу бронзовыми розетками. По аналогичному материалу казретская находка датируется V—VII вв.

Раскопки продолжались между селом Казрети и карьером в усадьбе поздне-средневекового времени — Самтредо, принадлежавшей знатному роду из князей Бараташвили. В Самтредо, как известно, в результате разведок был обнаружен дворцовый ансамбль. В 1970—1975 гг. из всего этого комплекса были очищены кирпичное сооружение и церковь. В отчетных годах производились работы во дворце и в службах. Вся площадь была очищена от растительности и обвалившихся камней. Выяснилось, что дворец состоял из двух обширных залов и, по-видимому, был двухэтажным. На верхний этаж поднималась каменная лестница. В стенах были устроены малые и большие ниши, в передней комнате имелся также сводчатый камин, вырезанный в цельном камне. В заднем зале на уровне пола был очищен квадратный каменный очаг и каменные базы, служившие для установки деревянных столбов, поддерживающих деревянное перекрытие зала (о чем свидетельствует большое количество обнаруженного в центре зала обуглившегося дерева).

Около дворца было очищено несколько служебных помещений, в том числе винный погреб т. н. марани и железоплавильная мастерская. Последняя содержала железоплавильную печь с горном и отходящими с двух сторон трубами. Тут же обнаружено было керамическое сопло, площадка для размельчания руды и окалачивания крицы, ямы для хранения руды и большое количество шлака. Очистка железоплавильной мастерской не закончена, но на первый взгляд устройство печи кажется более сложным, чем других печей, известных в Грузии.

Из археологического материала, обнаруженного во дворце и в службах, следует отметить окрашенные красной глиной и лощенные большие и малые кувшины с елочным орнаментом; такие же миски и тарелки, глазурованная керамика и фаянсовая столовая посуда с синей росписью, а также обведенная черными контурными линиями, датирующиеся по аналогичному материалу позднего средневековья XVII—XVIII вв.

Раскопки Самтредо не закончены, тем не менее можно заключить, что помещения в усадбе располагались на террасах (засвидетельствованы не менее четыре из них). О широком масштабе хозяйства указывают находки (железоплавильная мастерская, марани и др.), а также оросительный канал р. Машавера, орошавший земли Баличи-Казрети.

Этот канал, обнаруженный экспедицией в предыдущих годах, был детально изучен в отчетных годах. Было разведано также несколько селищ позднего средневековья, в том числе села, связанные с поместьем Самтредо.

В 1976—1977 гг. Казретской археологической экспедиции было поручено наблюдение над реставрационными работами, производимыми в церквях Акаурта и Кианети. Во время выявления в Акаурта

раннего слоя, ниже уровня пола в северо-западном углу одной из обнаруженных баз, была найдена византийская монета Ираклия (610—641 гг.). Из остального материала следует отметить керамику средневекового времени и обломки крестов и рельефных камней раннего средневековья. В северной части церкви в полу обнаружены могилы поздне-средневекового времени.

В Кианети обнаружены строительные слои средневекового времени. Привлекает внимание один из них, по грузинской надписи, выполненной письмом «асомтаврули», датирующийся X — XI вв. (табл. XXXII₂).

# ტაბულების აღწერილობა

## ფარავნის ტბა

ტაბულა I. 1. ფარდული „ფარავანი I", საერთო ხედი.
2. მღვიმეთა კომპლექსი მდ. მალაროსხევის ხეობაში, საერთო ხედი.

ტაბულა II. 1. ფარდული „ფარავანი II", საერთო ხედი.
2. ფარდული „ფარავანი II", საძიებო თხრილი.

ტაბულა III. 1. მღვიმის წინ გამართული საცხოვრებელი მოედანი, მდინარე მალაროსხევის ხეობაში
2. ნაგებობა მთა ყარა-დაღის მწვერვალზე.

ტაბულა IV. 1. ნაგებობა მთა ყარა-დაღზე.
2. ნაგებობა სამსარის ქედზე.

## ხრამის დიდი გორა

ტაბულა V. 1. ხრამის დიდი გორა, კვადრატი HC, 1976 წლის გათხრების საერთო ხედი NO-დან

ტაბულა VI. ხრამის დიდი გორა, 1, 2, 4. სამეურნეო დანიშნულების ქვები. 3. № 45 და № 51 შენობების ეზო. 5. „კერები".

ტაბულა VII. ხრამის დიდი გორა. 1—3. ანთროპომორფული ქანდაკებები.
4. ხარის თავის ქალა რქებითურთ № 41 კედელთან.

ტაბულა VIII. სიონი. 1. სამარხი № 5. 2. სამარხი № 7. 3. სამარხი № 8. 4. სამარხი № 10. 5. სამარხი № 9.

## მესხეთ-ჯავახეთი

ტაბულა IX. 1. „დუმეილა", ყორღანი № 2. 2. ოკამის გორა, ჩრდილოეთი კედლის დეტალი.

ტაბულა X. 1. „ჰოკუაანთ კოჟორი", ყორღანი № 1.
2. „ჰოკუაანთ კოჟორი", ყორღანი № 2.

ტაბულა XI. 1—3. „დუმეილა", ყორღანი № 2, თიხის ჭურჭელი.
4. „ჰოკეაანთ კოჟორი", ყორღანი № 2, თიხის ჭურჭელი.

## ნოსირი, მუხურჩა, „კეკელური ზუგა"

ტაბულა XII. მუხურჩის სამაროვანი. 1a, b — ზედა და ქვედა დასაკრძალავი მოედნები, c —
№ 12 და № 13 თხრილები, ხედი სამხრეთიდან; 2a—თხრილი № 12, b — არხი SW — NO,
c — არხი W — 01, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 3a,b — № 1 და № 2 თხრილები და
შურფები, ხედი დასავლეთიდან. 4. „კეკელური ზუგა", საერთო ხედი დასავლეთიდან.

ტაბულა XIII. 1. „კეკელური ზუგა", ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 2. ნოსირის გორა, თხრი-
ლი № IA (1976): a — მოყავისფრო მიწისა და მოყვითალო თიხის IV კულტურული ფენა
ვერტიკალურ ჭრილში; b — მოშავო მიწის III კულტურული ფენა ძელური წყობით; c —
თხრილის ღრმესი ნაწილი, შავი მიწისა და თიხის I—II ფენების დონეზე, ხედი სამხრეთ-
აღმოსავლეთიდან. 3. ნოსირის გორა—III ფენის ძელური წყობა IA, B თხრილის დასავლეთ
ნაწილში, ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბულა XIV. მუხურჩის სამაროვნის ნივთები: 1, 2 — პასტისა და სარდიონის მძივები № 12 თხრილიდან; 3 — ქვის მძივი № 13 თხრილიდან; 4,5 — ბრინჯაოს საკიდები და სარდიონის მძივი № 2 კოლექტიური სამარხიდან; 6—8—კერამიკა № 1 კოლექტიური სამარხიდან; 9—15—კერამიკა № 2 კოლექტიური სამარხიდან.

ტაბულა XV. 1—10 — კერამიკა „კეკელური ზუკადან“; 11 — თიხის დიდი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი ნოსირის ბორცვიდან; 12, 13 — ბრინჯაოს საჭრისი და ბრტყელი ცული იქიდანვე (III ფენა).

## დედოფლის მინდორი

ტაბულა XVI. დედოფლის მინდორი. 1,2 თიხის მოხატული ჭურჭელი დასავლეთის კარიბჭიდან.

ტაბულა XVII. დედოფლის მინდორი. 1 — თიხის ჯამი, მთავარი ტაძრის კარაპნიდან; 2—როდინი და ფილთაქვა.

## ნოქალაქევი

ტაბულა XVIII. 1. — ანტეფიქსები სასახლიდან; 2 — დოქის ფრაგმენტი; 3— ამფორისკის ფრაგმენტი; 4 — ორყურა ჭურჭელი გვიანელინისტური ხანის № 1 ორმოსამარხიდან.

ტაბულა XIX. 1 — ნაქალაქარის აღმოსავლეთის გალავნები, 2 — გვიანელინისტური ხანის პირველი და მეორე ორმოსამარხები; 4 — ადრეფეოდალური ხანის № 3 ორმოსამარხი (1977 წ. გათხრები).

ტაბულა XX. 1 — ამფორები ზედა სიმაგრიდან; 2 — ქვევრსამარხი; 3 — გვიანელინისტური ხანის პირველი და მეორე ორმოსამარხი; 4 — ადრეფეოდალური ხანის № 3 ორმოსამარხი (1977 წლის გათხრები).

ტაბულა XXI. 1 — ნოჯიხევი, ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის ნაშთები; 2 — ნოჯიხევი, აბანოს ნაშთები.

## ვთათუშეთი

ტაბულა XXII. შენაქო. კერამიკული ჭურჭლის ნიმუშები.

ტაბულა XXIII. შენაქო. კერამიკული ჭურჭლის შემკულობის ნიმუშები.

ტაბულა XXIV. შენაქო. ლითონის წვრილმანი ნივთები, მინის სამაჯურები და კერამიკული სარქველი.

ტაბულა XXV. შენაქო. ლითონის წვრილმანი ნივთები.

ტაბულა XXVI. შენაქო. რკინის დანა და ლითონის სხვა ნივთები.

## არეშის ნაქალაქარი

ტაბულა XXVII. საყდრის ყურის ეკლესია. 1. საკურთხეველი, გათხრის შემდეგ; 2. ჯვრიანი კრამიტები.

ტაბულა XXVIII. „უსახელო ბორცვი“. 1. საერთო ხედი გათხრამდე; 2, 3. ჩანავრეული სახურავი წმენდის პროცესში,

ტაბულა XXIX. „უსახელო ბორცვი“. 1. საკურთხეველი; 2. კანკელის ნაშთი.

ტაბულა XXX. 1. მოჭიქული ჭურჭლის იმიტაცია საყდრის ყურის ეკლესიიდან; 2. ვარდისფერკეციანი ჯამი „აკლდამიდან“; 3 მოჭიქული ჯამი „უსახელო ბორცვის“ კორდოვანი ფენიდან; 4. ბრინჯაოს ბალთა; შემთხვევითი მონაპოვარი; 5. ვერცხლის ბეჭდები საყდრის ყურის ეკლესიის მინაშენის იატაკში ჩაჭრილი სამარხიდან; 6. ვერცხლის მედალიონი წმ. გიორგის გამოსახულებით, საყდრის ყურის ტაძრის ჩრდილოეთი ეკლესიის იატაკში ჩაჭრილი სამარხიდან.

## ᲘᲔᲠᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ „ᲥᲕᲐᲑᲔᲑᲘ", ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲚᲝ

ტაბულა XXXI. 1. იერისხევის „ქვაბები", ვერცხლის მედალიონი; 2, 3. სამტრელო, შეღებილი და ფაიანსის ბურთულის ფრაგმენტები.

ტაბულა XXXII. 1. სამტრელო, რკინის სალესი; 2. კიანეთი, სარესტავრაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილი ბაზა.

# СПИСАНИЕ ТАБЛИЦ

## ОЗЕРО ПАРАВАНИ

Таблица I. 1. Навес «Паравани I», общий вид.
2. Комплекс пещер в ущелье р. Магаросхеви, общий вид.

Таблица II. 1. Навес «Паравани II», общий вид.
2. Навес «Паравани II», разведочная траншея.

Таблица III. 1. Жилая площадка перед пещерой в ущелье р. Магаросхеви.
2. Постройка на вершине горы Кара-даг.

Таблица IV. 1. Постройка на горе Кара-даг. 2. Постройка на Самсарском хребте.

## ХРАМИС ДИДИ ГОРА

Таблица V. Храмис диди гора; квадрат НС, общий вид раскопа 1976 года с сев.-востока.

Таблица VI. Храмис диди гора, 1, 2, 4. Зернотерки, песты, ступки. 3. Дворик помещений №№ 54 и 51.5. «Очаги».

Таблица VII. Храмис диди гора. 1—3. Антропоморфные фигурки. 4. Бычьи рога у стены № $41_1$.

Таблице VIII. Сиони. I. Погребение № 5. 2. Погребение № 7. 3. Погребение № 8. 4. Погребение № 10. 5. Погребение № 9.

## МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТИ

Таблица IX. 1. «Думенла», курган № 2. 2. Окамис гора, деталь северной стены.

Таблица X. «Хокуаант кожори». 1. Курган № 1. 2. Курган № 2.

Таблица XI. 1—3. «Думенла», курган № 2 — керемика. 4. «Хокуаант кожори» Курган № 2—керамика.

## НОСИРИ, МУХУРЧА, «КЕКЕЛУРИ ЗУГА»

Таблица XII. Мухурчский могильник, 1а, в — верхняя и нижняя погребальные площадки, с — раскопы № 12 и № 13, вид с юга; 2 а — раскоп № 12, в — канал SW—NO, с — канал W—0,1, вид с северо-запада; 3 а, в — раскопы № 1 № 2 и шурфы, вид с запада. 4. «Кекелури Зуга», общий вид с запада.

Таблица XIII. 1. «Кекелури Зуга», вид с северо-запада. 2. Носирский холм, раскоп № 1А (1976 г.): а—IV культурный слой коричневатой земли и желтоватой глины в вертикальном разрезе, в — III культурный слой черноватой земли, с брусчатой кладкой; с — глубокая часть раскопа на уровне I—II слоев черной земли и черной глины, вид с юго-востока; 3. Носирский холм — брусчатая кладка III слоя в западной части раскопа 1А, В, вид с востока.

Таблица XIV. Предметы из Мухурчского могильника: 1, 2 — пастовая и сердоликовая бусы из раскопа № 12; каменная буса из раскопа № 13; 4, 5 — бронзовые подвески и сердоликовая буса из коллективного погребения № 2; 6—8—керамика из коллективного погребения № 1; 9—15—керамика из коллективного погребения № 2.

Таблица XV. 1—10 — керамика из «Кекелури Зуга»; 11 — фрагмент горловины большого глиняного сосуда из Носирского холма; 12, 13 — бронзовый резец и плоский топор оттуда же (III слой).

## ДЕДОПЛИС МИНДОРИ

Таблица XVI. Дедоплис миндори. 1, 2 — расписные сосуды из западных ворот.

Таблица XVII. Дедоплис Миндори. 1 — глиняная миска из северного портика — айвана Главного храма; 2 — каменная ступка и пестик.

## НОКАЛАКЕВИ

Таблица XVIII. 1 — Антефиксы из дворца; 2 — фрагмент кувшина; 3 — фрагмент кувшина; 3 — фрагмент амфориска; 4 — кувшин из позднеэллинистического грунтового погребения № 1.

Таблица XIX. 1 — восточные ограды городища; 2 — каменные подпорки пола второй бани.

Таблица XX. 1 — амфоры из верхней крепости; 2 — кувшинное погребение; 3 — первое и второе грунтовые погребения позднеэллинистического времени; 4 — раннефеодальное грунтовое погребение № 3 (раскопки 1977 г.).

Таблица XXI. 1 — Ноджихеви, остатки тетраконха, 2 — Ноджихеви, развалины бани.

## МТАТУШЕТИ

Таблица XXII. Шенако. Образцы керамики.

Таблица XXIII. Шенако. Образцы декора керамики.

Таблица XXIV. Шенако. Мелкие металлические изделия, стеклянные браслеты и керамическая крышка.

Таблица XXV. Шенако. Мелкие металлические поделки.

Таблица XXVI. Железный нож и другие металлические предметы.

## ГОРОДИЩЕ АРЕШИ

Таблица XXVII. Церковь в Сакдрис-кури. 1. Алтарная абсида после раскопок; 2. Черепица с рельефными крестами.

Таблица XXVIII. «Усахело борцви». 1. Общий вид до начала раскопок; 2, 3. Процесс расчистки провалившейся кровли.

Таблица XXIX. «Усахело борцви». 1. Алтарь; 2. Остатки алтарной преграды.

Таблица XXX. 1. Имитация поливной посуды из церки Сакдрис-кури; 2. Глиняная чаша из «гробницы»; 3. Глазурованная чаша из дернового слоя «Усахело борцви»; 4, Бронзовая бляха, случайная находка; 5. Серебряные перстни из погребения пристройки церкви Сакдрис-Кури; 6, серебряный медальон с изображением св. Георгия из погребения северной церкви храма Сакдрис-кури.

## «КВА БЕБИ». САМТРЕДО

Таблица XXXI. 1. «Квабеби» Иорского ущелья, серебряный медальон; 2, 3. Самтредо, фрагменты окрашенной и фаянсовой посуды.

Таблица XXXII. Самтредо, железная точилка; 2. Кинанети, база, обнаруженная во время реставрационных работ.

# ტაბულები
# ТАБЛИЦЫ



1



2



1



2



1



2



1



2

v



VI





1



2



3



4

VIII



1



2



3



4



5



1



2



1



2


2
4
1
3



1



2



3



4



1




2



3

XIV




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13



1



2



1



2



1



3



2



4



1



2



1



2



3



4



1



2





XXIV







XXVI





1



2



1



2



3



1



2

XXX





1



2



3



1



2

## შინაარსი


1. დ. თუშაბრამიშვილი, ცუცხვათისა და წონის არქეოლოგიური ექსპედიციების 1976—1977 წწ. შედეგები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
2. ზ. ქიქოძე, ი. ქორიძე. ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წ. ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში . . . . . . . . . . . . . . 19
3. მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ზ. ქიქოძე. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976—1977 წლების მუშაობის შედეგები . . . . . . . . . . . . 27
4. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976—1977 წლების მუშაობის ანგარიში. 46
5. ე. გოგაძე, ლ. ფანცხავა, მ. დარისპანაშვილი, ე. ქორიძე. ნოსირი-მუხურჩის ექსპედიციის 1976—1977 წწ. მუშაობის ანგარიში. . . . . . . . . 53
6. ი. გაგოშიძე. დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის 1976—1977 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში . . . . . . . . . . . . . . . . . 62
7. პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე. ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976—1977 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში . . . . . . . . . 78
8. რ. დოლაბერიძე, მთათუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 88
9. ლ. ჭილაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა. არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. . . . . . . . . . . . . . . . . . 97
10. ბ. მჭედლიშვილი. ივრისპირის „ქვაბების" 1976 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 114
11. მ. სინაურიძე. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976—1977 წწ. მუშაობის ანგარიში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 124


## СОДЕРЖАНИЕ


1. Д. Тушабрамишвили. Итоги работ Цуцхватской и Цонской археологических экспедиций за 1976—1977 гг. . . . . . . . . . . . . . 5
2. З. Кикодзе, И. Коридзе. Краткий отчет работ, проведенных в 1977 г. Параванской разведочной экспедицией. . . . . . . . . . . . . 19
3. М. В. Менабде, Т. В. Кигурадзе, З. К. Кикодзе. Результаты работ Квемокартлийской археологической экспедиции (1976—1977 гг.) . . . . 27
4. О. М. Джапаридзе, Я. А. Киквидзе, Г. Б. Авалишвили, А. Т. Церетели. Отчет работ Месхет-Джавахетской археологической экспедиции за 1976—1977 гг. . . . . . . . 46
5. Э. М. Гогадзе, Л. Н. Панцхава, М. В. Дариспанашвили, И. Д. Коридзе. Результаты работ Носири-Мухурчской экспедиции за 1976—1977 гг. . . . . . . . . . . . . 53
6. Ю. М. Гагошидзе. Отчет археологических раскопок хромового комплекса II—I вв до. н. э. Дедоплис Миндори в 1976—1977 гг. . . . . . . . . . 62

7. П. Закарая, В. Леквинадзе, Г. Гвиничидзе. Отчет работ Нокалакевской археологической экспедиции, проведенных в 1976—1977 гг. 78
8. Р. Долаберидзе. Отчет работ Мтатушетской археологической экспедиции за 1976 г. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 88
9. Л. Чилашвили, Б. Мчедлишвили, Н. Абхазава. Отчет Арешской археологической экспедиции . . . . . . . . . . . . . . . . . . . 97
10. Б. Мчедлишвили. Отчет археологической экспедиции 1976 г. в «Квабеби» Иорского ущелья . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 114
11. М. Синауридзе. Отчет Казретской археологической экспедиции (1976—1977 гг). . . . . . . . . . . . . . . . . . . 124

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გადაეცა წარმოებას 27.5.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.11.78;
ქაღალდის ზომა $70\times108^{1}/_{16}$; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 11.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,41;

უე 01211; ტირაჟი 700; შეკვეთა № 1806;

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

XI